

178

1983

ISSN 0132-5981

საქართველოს  
საბჭოთავო

# საქართველო საბჭოთავო

63/178



1 1983

# საჭმომთა სამკრთაღი

იანვარი  
თებერვალი

1983 წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრიკაბუნიძისა და  
შვალაძის სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

## შინაარსი

საქართველოს პარტიული აქტივის კრება	3
არ დავფარდეთ გიღვრულს, გავაძლიეროთ; ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ	5
ბ. შუბანაშვილი — სიახლენი დამნაშავეობასთან ბრძოლის კანონმდებლობაში	11
ნ. შუბანაშვილი — სამართალწარმოების ეროვნული ენის კონსტიტუციური პრინციპის განვითარება	20
<b>აგროსამართლებრივი კომპლექსი — ყველას საზრუნავი</b>	
თ. საბიაშვილი — სოფლის იურიდიების საფუძვლიანი ამოცანები	29
<b>ფისკიბი ყველგან და ყველგან</b>	
თ. დონუაშვილი — განუხრავად დავიცვათ ქაენი მოკლევადიანი უხელფასო შვებულების მიცემის დროს	35
<b>დისკუსია, კოლემიკა, რეკლიკა</b>	
ბ. ნაზუბია — დავის საფუძველი არის	41
ბ. ბაბიანი, რ. გაჩეჩილაძე, მ. დიდუბაშვილი — სივრცობრივ-დღევანდობის პრინციპის გათვალისწინება დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის	49
<b>გეოგრაფიკის ტრანსპარენტის მრავალი წლისთავისათვის</b>	
ბ. ლომინაძე — საქართველოს მთავარმმართველთა უფლებამოსილებანი (1801- 1844 წ. წ.)	51
<b>გვინი კროფისის აღმდინებელი</b>	
ლ. მაისუბია — ცხოვრების მიზანი	61
<b>იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას</b>	
ნ. ლომინაძე — სიახლენი მშრომელთა საკენსიო უზრუნველყოფაში	64
ინფორმაციული მასალა	66
ინფორმაცია	71
ბიბლიოგრაფია	77
ცნობები ავტორთა შესახებ	80

# СОДЕРЖАНИЕ

1982  
308707093

Собрание партийного актива Грузии

Не довольствоваться достигнутым, всемерно усилить борьбу с преступностью 5

**А. Шушанашвили** — Новое в законодательстве о борьбе с преступностью 11

**И. Путкарაძე** — Развитие конституционного принципа национального языка судопроизводства 20

**Агро-промышленный комплекс — всеобщая забота**

**Т. Сабнашвили** — Насущные задачи сельских юристов 29

**Порядок везде и во всем**

**Т. Донджашвили** — Неуклонно соблюдать закон при предоставлении краткосрочного отпуска без содержания 35

**Дискуссия, полемика, реплика**

**Г. Начкебия** — Основание для спора имеется 41

**А. Габнани, Р. Гачечилаძე, М. Дидебулиძე** — Учет принципа пространственной дифференциации для предупреждения преступлений 49

**К 200-летию Георгиевского трактата**

**Р. Ломинаძე** — Полномочия главноуправляющих Грузией (1801 — 1844 гг.) 51

**Люди нашей профессии**

**Л. Майсураძე** — Цель жизни 61

**Юридическая консультация**

**И. Глonti** — Новое в пенсионном обеспечении трудящихся 64

Официальный материал 66

Информация 71

Библиография 77

Сведения об авторах 80



**სარედაქციო კოლეგია:**

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,
- ა. ხოჭოლავა, ხ. ჭორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1982 წ.

**რედაქციის მისამართი, თბილისი, კლავანოვის პ. 108. ტ. 95-58-87, 95-68-49.**

გადაცა ასაწყობოდ 17.1.83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.III.83 წ.  
 ფორმატი 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5  
 შეკვ. № 156 ტირაჟი 16.000 უგ 09209

საქ კვ ცუ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# საქართველოს კარტიული აქტივის კრეზა

5 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდო-  
მათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება. კრებაზე  
მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევ-  
რები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის სა-  
ქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შე-  
დიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქა-  
ლაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეები, მთელი რიგი  
სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საქართველოს სსრ, ავტო-  
ნომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების  
სამართალდაცვითი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, მასობრივი ინფორ-  
მაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პარტიუ-  
ლი, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მიერ მართლწესრიგისა და  
დისციპლინის განსამტკიცებლად 1982 წელს გაწეული მუშაობის შედეგები და  
იმსჯელეს 1983 წლის ამოცანებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის  
ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-  
მიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა**.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო  
კომიტეტის მდივანი **ჩ. რ. კუხალაშვილი**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა  
მინისტრი **გ. ი. გვეტაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილე, არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდო-  
მარე **ო. ე. ჩერქეზია**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტე-  
ტის მეორე მდივანი **ვ. ი. ალავიძე**, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავი-  
ციო ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **თ. მ. ბა-  
რიგინი**, საქართველოს სსრ პროკურორი **ა. მ. ბარაბაძე**, საქართველოს კომპარ-  
ტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ე. ჩიგოგიძე**, საქართვე-  
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, მუქთა-  
ხორობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საყოფაცხოვრებო დანაშაულის პროფი-  
ლაქტიკის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე **ვ. მ. სირაძე**, საქართველოს  
სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. გ. კარანაძე**, თბილისის №1  
სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსი. პირველი პარტიორგანიზაციის

მ. მარტისის სსრ. სსრ. სსრ  
სახელმწიფო მსახურს  
პ. ი. ს. ი. ს. ი. ს.



მდივანი **ნ. ე. ხაბუღიანი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ნ. შ. ენდელაძე**, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ნ. ორჯონიკიძე**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ა. გ. პარასტავეი**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. მ. რატიანი**, სამტრედიის რკინიგზის სადგურის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი **ვ. ი. მსხილაძე**, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი **დ. ნ. დვალისვილი**, რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ზ. ლ. ჩაღუნელი**, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **თ. ნ. ლოლაძე**.

საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. მ. ქაჯაიამ**, ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. კ. ლორთქიფანიძემ**, კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. რ. კვალიაშვილმა**, ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. ი. ხაზარაძემ** ილაპარაკეს იმ კონკრეტულ კრიტიკულ შენიშვნებთან დაკავშირებით, რომლებიც კრებაზე გამოითქვა რაიონებისა და ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მიმართ.

პარტიული აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შვეარდნაძემ**.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

კრების მონაწილეებმა დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ღონისძიებათა 1983 წლის კომპლექსური გეგმა.



ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი  
 ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი  
 თ. ნ. ლოლაძე  
 საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე  
 ზ. მ. რატიანი  
 საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი  
 დ. ნ. დვალისვილი  
 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი  
 ი. ნ. ორჯონიკიძე  
 საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის გამგე  
 ნ. შ. ენდელაძე  
 საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი  
 ა. გ. პარასტავეი  
 საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე  
 ზ. მ. რატიანი  
 სამტრედიის რკინიგზის სადგურის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი  
 ვ. ი. მსხილაძე  
 საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი  
 დ. ნ. დვალისვილი  
 რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი  
 ზ. ლ. ჩაღუნელი  
 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი  
 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
 თ. ნ. ლოლაძე

# პრ. ღაკვაქარაძეთი მიღწეულს, გააკაქლიქარქოთი ბრქოლუ ღაქნუშაქვერქობის ნინუაქლქვე


სქკბ ცენტრალური კომიტეტის პლენუშმა, რომელიც გაიმართა შარშან ნოემბერში, შეაქამა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის 1982 წლის შედეგები და შეიმუშავა ღონისძიებანი, რომლებაც უნდა განხორციელდეს სოციალისტური ეკონომიქის დაჩქარებული აღმავლობის, პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. პლენუმზე წარმოთქმულ თავის ვრცელ და ღრმაშინაარსიან მოხსენებაში სქკბ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა პარტიასა და საბჭოთა ხალხს დაუსახა გაზრდილი ამოცანები, რომელთა მიზანია სსრ კავშირის ეკონომიქური პროტენციალის და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, მოსახლეობის მზარდ სოციალურ და კულტურულ მოთხოვნალებათა უფრო სრული დაკმაყოფილება. ჩვენს ქვეყანას მძლავრი ეკონომიქური და მეცნიერულ-ტექნიქური ბაზის და მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრების წყალობით, ძალუქს ყველა ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც თავდადებით იღწვიან სქკბ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიზანდასახულობათა ხორცშესხმისათვის, ამ პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვის ფუქემდებლურ მითითებათა განსახორციელებლად, წარმატებებს აღწვევენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. 1972 წელთან შედარებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთიორად გაიზარდა. გადიღდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და დამზადება. ამ მიღწევებისათვის რესპუბლიქამ არაერთგზის დაიმსახურა სქკბ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მაღალი შეფასება.

თავისი წვლილი რესპუბლიქის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტაში შეაქვთ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაქებასაც, რომლებიც მიზანდასახულად შრომობენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ამხელენ სხვადასხვა ჭურის დამნაშავეთა საშიშ ჭგუფებს, ღრმავებენ და ამწვავებენ ბრძოლას სოციალიზმისათვის უცხო ისეთი ანტიპოდების წინააღმდეგ, როგორიც არის სახელმწიფო ქონების დატაცება, მექრთამეობა, ძარცვა, ქურდობა, სუექულაცია, ზულივნობა და სხვა. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ეკონომიქის აღმავლობისათვის და ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების განმტკიცებისათვის.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის კურსს, რომელსაც უკვე ათ წელზე მეტია მტკიცედ ადგას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, შედეგად მოჰყვა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღება, დადებითი პროცესები დამნაშავეობის სტრუქტურაში, საერთოდ რესპუბლიქაში ოპერატიული ვითარების გაუმჯობესება. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ის, რომ შარშან რესპუბლიქაში კვლავ გრძელდებოდა დამნაშავეობის შემციირების ტენდენცია, კერძოდ, განსაკუთრებით საშიში დამნაშაულისა. ამას გარდა, არის სხვა თვალსაჩინო და საგულისხმო დადებითი შედეგებიც.

მაგარამ ეს პოზიტიური ძვრები ჭერ კიდეც მთლიანად მყარი არ არის, არ იძლევა დამშვიდების საფუძველს, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ



წლეულს იანვრის შედეგებს მიხედვით რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარება დაიძაბა, იგი დამაკმაყოფილებელი არ არის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენს ყურადღებას მუდამ და უპირველეს ყოვლისა მიაპყრობს ხოლმე სწორედ ნაკლოვანებებს, გადაუჭრელ პრობლემებს. იგი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოებისაგან მოითხოვს შექმნან ყველა შრომით კოლექტივში სამართალდარღვევებისადმი შეუთრებლობის ატმოსფერო, არ დასჯდნენ მიღწეულს, გააძლიერონ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი, განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი დამნაშავეობის შესამცირებლად.

ამ საკითხებს, დამნაშავეობასთან ბრძოლის სრულყოფის ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელიც თბილისში მიმდინარე წლის 5 თებერვალს გაიმართა. კრებაზე ხაზგასმით ითქვა, რომ გაზრდილი ამოცანები, რომლებიც საბჭოთა ხალხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა დაუსახა, პარტიულ, საბჭოთა და სამართალდაცვის ორგანოებს ავალებს ყველაფერი იღონონ მუშაობის ეფექტიანობის ამოღებისათვის ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითკრიტიკულად შეაფასონ მთელი თავიანთი საქმიანობა, უფრო ნაყოფიერად იშრომონ დისციპლინის განმტკიცებისათვის, განუხრელად დაიცვან საბჭოთა სახელმწიფოს კანონები, შეუქმნან მშრომელებს ნორმალური საქმიანობისა და დასვენების პირობები. „საბჭოთა ხალხს, — თქვა აქტივის კრებაზე მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა, — სამართლიანად შეუძლია მოითხოვოს, რომ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი, რომ ყველა დანაშაული სათანადოდ გამოიძიონ და დამნაშავენი საკადრისად დასაჯონ“<sup>1</sup>.

რესპუბლიკაში დღეისათვის შექმნილი ოპერატიული ვითარების ანალიზი გვარწმუნებს, რომ იმ რეგიონებში, სადაც შემუშავებულია და მოქმედებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მწყობრი და ზუსტი სისტემა, სადაც ოპერატიულად და კონკრეტულად წყვეტენ დანაშაულის პროფილაქტიკისა და გახსნის საკითხებს, უნარიანად და საქმიანად ხელმძღვანელობენ დამნაშავეობასთან ბრძოლის პროცესებს, რეალურ წარმატებებსაც აღწევენ, ხოლო იქ, სადაც არ არის დაძლეული ფორმალიზმი, ზერელობა და არაორგანიზებულობა, სავალალო შედეგები მაშინვე იჩენს ხოლმე თავს.

ამით უნდა აიხსნას, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში კვლავ ხშირია მოქალაქეთა ბინის ქურდობისა და პირადი საკუთრების ავტომანქანების გატაცების შემთხვევები, რაც მშრომელთა შეშფოთებასა და სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ამ და სხვა ქონებრივ დანაშაულთა თავიდან აცილება კი შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური მიდგომით, ქმედით გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების გზით. სამართალდაცვითი ორგანოები კი, რომლებიც მოწოდებული არიან გულდაგულ გადაკეტონ დამნაშავეთა ხელშემწყობი არხები, ზოგჯერ ივიწყებენ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, არ რაზმევენ მთელ თავიანთ ძალებს, არ ახდენენ ვამიზნულ კოორდინაციას, ღრმად და სისტემატურად არ აანალიზებენ შექმნილ

<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 3 თებერვალი.



ოპერატიულ მდგომარეობას და ამიტომ ვერც ახერხებენ ვითარების სტაბილიზაციას, დანაშაულობათა თავიდან აცილებას, მათს შემცირებას. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ცუდი მდგომარეობა გორსა და რუსთავში, ადიგენის, ბოლნისის, გუდაუთის, გარდაბნის, ლავოდხის, მახარაძის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებში, სადაც კვლავ დიდია ჩადენილ დანაშაულთა, მათ შორის მძიმე დანაშაულის რაოდენობა.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში, სამინისტროებსა და უწყებებში სათანადოდ არ იყენებენ დანაშაულის თავიდან აცილების ისეთ მობილურ და ეფექტიან ფორმას, როგორც არის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ სერიოზული გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი, იბრძოლონ ყველგან მასშტაბურად, სისტემატურად, პრინციპულად და მიზანსწრაფულად. ამასთან ცალკეული ასეთი კომისიების საქმიანობაში დაძლეული არ არის დუბლირების ელემენტები. „პრაქტიკა მოწმობს, — აღნიშნა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, — რომ ბევრ ქალაქსა და რაიონში, ბევრ სამინისტროსა და უწყებაში საჭეუბნეო ჯგუფების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების საქმიანობას ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათი აქვს. არ არის სათანადო სიზუსტე და შეთანხმება თვით მუშაობის ორგანიზაციაში. შეიმჩნევა გარკვეული პარალელიზმი“<sup>2</sup>

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დამნაშავეობასთან ბრძოლის გლობალურ ამოცანებს რომ სახავს, იმით ხელმძღვანელობს, რომ ბოლო ხანს რესპუბლიკაში შექმნილია სამართალდარღვევათა აღკვეთის სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ხელსაყრელი ვითარება. ჩვენ უბრალოდ უფლება არა გვაქვს მაქსიმალურად არ გამოვიყენოთ ეს და დავთმოთ უკვე მოპოვებული პოზიციები. პირიქით, სამართალდაცვითი ორგანოები მოვალენი არიან შეინარჩუნონ ისინი და აქტიურად იბრძოლონ დამნაშავეობის შემცირებისათვის, უფრო მტკიცედ ებრძოლონ უსაქმურებსა და მუქთახორებს, მეტი მოთხოვნები წაუყენონ თავიანთ მუშაკებს. იმ რაიონების ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლებს, სადაც არ არის დამაკმაყოფილებელი ვითარება, პასუხი უნდა ვაგებინოთ შექმნილი მდგომარეობისათვის იმის გამო, რომ ცუდად ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოქალაქეობრივ და, ბოლოს, პარტიულ მოვალეობას.

პარტიული აქტივის კრებაზე ეს ხაზვასმით ითქვა. მომხსენებლებმაც და კამათში გამოსულმა ორატორებმაც აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ არის შეუწყნარებელი ნაკლოვანებანი და ხარვეზები პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების საქმიანობაში. რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები ურიგდებიან ამას, რომ ბევრი ჩადენილი დანაშაული გაუხსნელია. ვერ უზრუნველყოფენ მძარცველების, ქურდების, გამომძალველების მყარი ჯგუფების გამომჟღავნებას, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე დაუსჯელად დათარეშობენ, ვერ აღწევენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის საქმიანობის გააქტიურებას, სათანადო ადმინისტრაციულ ზედამხედველობას

<sup>2</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 9 თებერვალი.




არ აწესებენ შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან დაბრუნებული იმ პირებისადმი, რომლებიც მეთვალყურეობას საჭიროებენ.

ცნობილია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები საგანგებო მოთხოვნებს უყენებენ სამარხოლდაცვითი ორგანოების თანამდებობის პირებს, ამ მხრივ ბევრ რანგის აკეთებენ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებიც. მაგალითად, ბოლო ხანს პროკურატურის ორგანოებიდან სხვადასხვა დარღვევისათვის დათხოვნილია ათობით ადამიანი. მექრთამეობისათვის მხილებული და მსჯავრდადებულია შინაგან საქმეთა ორგანოების არაერთი მუშაკი. ვადაძღე იქნა გამოწვეული და აღარ აირჩიეს ახალი ვადით ბევრი სახალხო მოსამართლე. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები, რომლებიც დისციპლინის, წესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე უნდა იდგნენ, რომლებიც მოვალენი არიან უფრო კონკრეტული, თანამიმდევრული და შემტევი გახადონ დამნაშავეობასთან ბრძოლა, თვითონ ადგებიან დარღვევებისა და ბოროტმოქმედების გზას. მათი აღზრდისათვის, პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის კი დროულად არ ზრუნავენ. „ამოცანა ის არის,—თქვა აქტივის კრებაზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, — რომ დროულად შეგნიშნოთ ნაკლოვანებანი, არ დაუშვათ ჩვენი პრინციპებისაგან გადახვევა, არ მივიყვანოთ საქმე უკიდურესობამდე, როცა გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ მოვხსნათ ადამიანები სამუშაოდან, გავრიცხოთ პარტიიდან, მივცეთ ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში. ასეთი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ უფრო მიზანმიმართულად და უფრო კონკრეტულად“<sup>3</sup>. ამ სიტყვებიდან საჭირო დასკვნები გამოსატანი. კადრები ჩვენი მუდმივი და მთავარი საზრუნავია. უფრო სათუთად და მზრუნველად უნდა ვეკიდებოდეთ კადრებს — ჩვენი პარტიის ოქროს ფონდს, ვზრდიდეთ მათ ჯანსაღ ატმოსფეროში, პრინციპულობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყოველი ღონისძიებით ვამაღლებდეთ მათს პასუხისმგებლობას ხალხისა და პარტიის წინაშე, უზრუნველყოფდეთ კადრების კომპეტენტურობას, გერვილიანობას მუშაობაში. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკი თავისი ქცევით სამაგალითო უნდა იყოს არა მარტო სამუშაოზე, არამედ ყველგან — საზოგადოებაშიც, ოჯახშიც, ყოფაცხოვრებაშიც. თავისი დისციპლინიანობით, საქმისადმი ინიციატივანი, შემოქმედებითი მიდგომით იგი უნდა იმსახურებდეს ხალხის პატივისცემას, უზრუნველყოფდეს სამართალდაცვითი ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას. აქტივის კრებაზე შემთხვევით არ იყო ნათქვამი, რომ საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ ვინ არის რიგითი მილიციელიც კი, რომელიც მოქმედებს კანონის სახელით. სახელმწიფოს სახელით. იგი კულტურული, წიგნიერი პატიოსანი და წესიერი კაცი უნდა იყოს, ვინაიდან მასზე ბევრად არის დამოკიდებული, რომ კანონების ზუსტი დაცვა, კანონის პატივისცემა თითოეული ადამიანის პირად მრწამსად იქცეს.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობას. მხედველობაშია მისაღები, რომ კადრების მიმართ მომთხოვნელობა ნომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ საჭიროა სამართალდაცვითმა ორგანოებმა ამთავითვე შექმნან კადრების მყარი რეზერვი. გა-

<sup>3</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 8 თებერვალი.



მოიყენონ ისინი თავიანთი შექმნილი გედების გადასახლისებლად, რათა დააწინაურონ და წარმოაჩინონ ახალი, ნიჭიერი მუშაკები. ახალგაზრდა სპეციალისტებისაგან დღენიადაგ უნდა მოვიტხოვდეთ, რათა ისინი იცნობდნენ სამართლის მეცნიერების უახლეს მიღწევებს, სისტემატურად იმაღლებდნენ იდეურ-თეორიული და პროფესიული მომზადების დონეს, პირადად განუხრელად იცავდნენ ცხოვრების საბჭოურ წესს. სამართალდაცვითი ორგანოები მხოლოდ მაშინ შეივსება ღირსეული კადრებით, თუ მართლაც ვადაძკრულ ბრძოლას გამოვუცხადებთ ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს. პირფერობასა და მლიქვნელობას, რაც ხელს უშლის და აფერხებს ახალგაზრდა კადრების ფორმირებას, მათს აღზრდასა და წინსვლას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მეტად დიდი მოვალეობანი აკისრიათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, მათი მუდმივი კომისიები მოვალენი არიან გააქტიურონ თავიანთი საქმიანობა, გამოავლინონ ყველა უსაქმური და მუქთახორა. უზრუნველყონ მათი დასაქმება და შრომითს კოლექტივში დამკვიდრება, შეიმუშაონ მუქთახორების გამოვლენის კონტროლის ქმედითი სისტემა, განახორციელონ სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას დამნაშავეობასთან ბრძოლაში. პარტიული აქტივის კრებაზე ითქვა, რომ „მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში არ აღმოფხვრილა ფორმალიზმის ელემენტები მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნელა იწერება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის თავის ამოიდებელ პირთა გამოვლენის, შრომითი მოწყობისა და წარმოებაში დამკვიდრების ერთიანი სისტემა. ეს ეხება უწინარეს ყოვლისა, ქალაქ ზუგდიდს (რაისბუქოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. შ. შენგელია, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი გ. ლ. ხუხია), ზუგდიდის (ი. ი. კუტალია, ვ. ი. ბულია), ლაგოდების (ა. გ. კახანაძე, ვ. გ. ტურაშვილი), მახარაძის (მ. ვ. ქლენტი, დ. ს. შარაძე) ლანჩხუთის (დ. შ. ცინცაძე, გ. პ. ჩხაიძე), ბოლნისის (შ. მ. ყულიევი, ს. გ. გამყრელიძე), გეგეჭკორის (კ. თ. ასათიანი, ა. ტ. კვარაცხელია), ზესტაფონის (ლ. ვ. გველესიანი, დ. კ. ხომასურიძე) რაიონებს“.

სახალხო დეპუტატთა ამ საბჭოების აღმასკომებმა ყველაფერი უნდა იღონონ მდგომარეობის გამოსასწორებლად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, საბჭოების სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განიხილონ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, გააკონტროლონ და წარმართონ ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო, არასრულწლოვანებისა და სხვა კომისიების საქმიანობა, უფრო აქტიურად გამოიყენონ ამ კომისიებისა და დეპუტატების ავტორიტეტი მართლწესრიგის განმტკიცებაში. საბჭოების აღმასკომებმა უნდა მოსთხოვონ თანამდებობის ყველა პირს უცილობლად დაიცვან საბჭოთა კანონები, მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები.

საბჭოების დეპუტატებს და აქტივის ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ ეგრეთ წოდებული ყოფითი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, მეზობლური და ოჯახური კონფლიქტების მოსაგვარებლად. ის, რომ ბოლო წლებში დაისახა ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის შემცირების ტენდენცია, ჯერ კიდევ არ იძლევა დამშვიდების საბაბს, ვინაიდან მათი რიცხვი ჯერ კიდევ დიდია.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან საზოგად-

<sup>4</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წლის 3 თებერვალი.

დოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გააქტიურონ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოების, მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა, წარმართონ ამ საზოგადოებრივ ფორმირებათა მთელი მუშაობა.

აქტივის კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო მოზარდთა დამნაშავეობის პრობლემებს. აღინიშნა, რომ რესპუბლიკური კომისიის ეფექტიანმა მუშაობამ განაპირობა ის, რომ ჩვენში წლიდან წლამდე კლებულობს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის დონე. მაგრამ ამასთანავე ითქვა, რომ ზოგან ჯერ კიდევ არ არის დაძლეული უდარდებლობის განწყობილება არასრულწლოვანთა, ძნელად აღსაზრდელ მოზარდთა ბედის მიმართ, ეს კი შეუწყნარებელია. მოზარდთა დანაშაულის და მსჯავრდადების სტატისტიკის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ხშირად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ხვდებიან არასრულწლოვანები, რომელთა იზოლირება საზოგადოებისაგან, შრომითი კოლექტივისაგან აუცილებელი არ იყო. არის ფაქტები, როცა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ფორმალურად ეკიდებიან იმ პირთა გამოვლენას, რომლებმაც წააქეხეს და დანაშაულში ჩაითრათ მოზარდი. აღმოფხვრალი არ არის აგრეთვე კანონის უხეში დარღვევის, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უგულვებელყოფის ცალკეული ფაქტები.

აქტივის კრების მიზანწილებმა შეეფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ რესპუბლიკაში სათანადო ბრძოლა არ წარმოებს ავტოსატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ. ამ გაუფრთხილებელ დანაშაულს ყოველწლიურად დიდი მსხვერპლი მოსდევს. მართო შარშან ავტოავარიების რიცხვმა სამი ათასს გადააჭარბა. მათ შეიწირეს თითქმის 900 ადამიანი, დაახლოებით ოთხი ათასი კი მძიმედ დაშავდა. მდგომარეობა, მართლაც რომ, საგანგაშოა და მის გამოსასწორებლად საჭიროა საგანგებო ღონისძიებათა განხორციელება. ავტოსაგზაო შემთხვევის ყოველი ფაქტი. ითქვა აქტივის კრებაზე, აუცილებლად უნდა ვახდეს პარტიული კომიტეტების მსჯელობის საგანი, განხორციელდეს სათანადო ღონისძიებანი ავტოსატრანსპორტო საწარმოებში სრული წესრიგის დასამყარებლად, მძლოლთა დსციპლინის განსამტკიცებლად.

ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. პარტიული აქტივის კრებამ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს, მათ შორის ყურნალ „საბჭოთა სამართალსაც“ მოსთხოვა, რომ მეტი ადგილი დაუთმონ ისეთ გადაცემებსა და პუბლიკაციებს, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ექნება და ხელს შეუწყობს დამნაშავეობის წინააღმდეგ ფართო მასების დარაზმვას. რესპუბლიკური პრესა მოვალეა დღენიადაც და ღრმად აანალიზებდეს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობას, აკონტროლებდეს კრიტიკული გამოსვლების ქმედითობას, ეხმარებოდეს პარტიულ ორგანოებს მშრომელთა სამართლებრივ აღზრდაში.

ეკვი არ არის, რომ რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებების დადგენილება და რეკომენდაციები საფუძვლად დაედება სამართალდაცვითი ორგანოების მთელ საქმიანობას, ხელს შეუწყობს საზოგადოებრიობასთან მათი კავშირის გაღრმავებასა და განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამოღებას, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია.

# სიახლენი დაენაუაპოგასთან გრძლის კანონმდებლობაში

ა. ვუშანაშვილი,  
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შარშან მიიღო რამდენიმე ბრძანებულება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. ამ ბრძანებულებათა საფუძველზე, რომლებიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან, სათანადოდ მოწესრიგდა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა. შესაბამისი ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გასული წლის 29 დეკემბერს.

ახალი საკანონმდებლო ცვლილებანი სავსებით შეესაბამება საბჭოთა მართლმსაჯულების ძირითად საფუძვლებს, საბჭოთა სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკის პრინციპებსა და მიზნებს, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მიერ ბოლო ხანს მიღებული გადაწყვეტილებების მოთხოვნებს. საკანონმდებლო ცვლილებათა მიზანია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სისხლის სამართლის სასჯელისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა კმედიოობის ამაღლება, დამნაშავეთა დასჯის საკითხისადმი დიფერენციული მიდგომა, მათი აღზრდისა და გამოსწორების საქმის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

საკანონმდებლო სიახლეთა ერთი ნაწილი ეხება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებიდან გამომდინარე ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებებს, რომლებსაც სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და მათი დაწვრილებით ჩამოთვლაც არ არის აუცილებელი. ყური უკვე მიეჩვია იმ ამბავს, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ „მშრომელთა დებუტატების“ ნაცვლად იხმარება „სახალხო დებუტატთა“, „მშრომელთა კოლექტივი“ შეიცვალა „შრომით კოლექტივად“ და ა. შ. განსაკუთრებით საყურადღებოა კონსტიტუციიდან გამომდინარე ერთი დებულება, რომელსაც უადრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის მთელი რიგი ინსტიტუტების სწორად გაგებისა და შეფასებისათვის. ლაპარაკია, კერძოდ, საქართველოს სსრ სსკ მე-4 მუხლზე, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად ასე ჩამოყალიბდა: „არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლის სამართლის სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“. სსრ კავშირის კონსტიტუციის ამ დებულებამ, რომელიც თეორიაში ცნობილია არაბრალეულობის პრეზუმეციის სახელწოდებით, დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი გაგებული იქნა იმგვარად, რომ როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის, ასევე პირის ბრალეულად ცნობის უფლე-

ბას კონსტიტუცია ანიჭებს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს. ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი, რომ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და დამნაშავეს თავდებქვეშ გადაცემის, აგრეთვე პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის, ამხანაგურ სასამართლოსა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის საქმის მასალების გადაცემის უფლება ჩამორთმეოდა პროკურორს, გამომძიებელსა და მოკვლევის ორგანოს და ეს უფლება დარჩენოდა მხოლოდ სასამართლოს.<sup>1</sup>

მომხდარი ცვლილებებით ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებენ არამარეაბილიტირებელი საფუძვლებით საქმის შეწყვეტას, შეტანილ იქნა საგულისხმო კორექტივები. სახელდობრ, დანაშაულს, რომლის გამოც წყდება საქმე ეწოდა ქმედობა, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ხოლო დანაშაულის ჩამდენ პირს — ისეთი ქმედობის ჩამდენი პირი, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემოღებული ეს ახალი ცნებები მოითხოვს დამოუკიდებელ შესწავლასა და გამოკვლევას. ჩვენი აზრით, ერთი რამ კი ცხადად გამოიკვეთა: აღნიშნული საფუძვლებით საქმის შეწყვეტა არ ნიშნავს პირის ბრალეულად, დამნაშავედ ცნობას. არაბრალეულობის პრეზუმფციის თანახმად, პირი შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. ეს კიდევ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პროკურორს, მოკვლევ პირსა და გამომძიებელს არავითარი მტკიცების მოვალეობა არ აკისრიათ არამარეაბილიტირებელი საფუძვლით საქმის შეწყვეტისას. აღნიშნული საფუძვლით საქმე შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ქმედობა ნამდვილად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და არსებობს კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა გარემოება, რაც აუცილებელია მოცემული საფუძვლით საქმის შეწყვეტისათვის. რადგანაც ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არსებობა წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს, ვფიქრობთ, რომ წინასწარი გამოკვლევის სტადიაში არამარეაბილიტირებელი საფუძვლით საქმის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდეც, ე. ი. ბრალდების წაყენებამდე.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სსკ 51-ე მუხლს დაემატა მეტად მნიშვნელოვანი დებულება იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემასთან, აგრეთვე თავდებქვეშ გადაცემასთან და საქმის მასალების ამხანაგური სასამართლოსათვის ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის გადაცემასთან დაკავშირებით არ დაიშვება, თუ ისეთი ქმედობის ჩამდენი პირი, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ამის წინააღმდეგაა.

ერთ-ერთ საგულისხმო საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს სრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ განაჩენის აღსრულების გადადება. ამ ღონისძიე-

<sup>1</sup> В. М. Савицкий. Проблемы социалистического правосудия в свете новой Конституции СССР. «Проблемы правосудия и уголовного права». М.: 1978. стр. 10; А. Д. Кокарев. Конституция СССР — основа развития и совершенствования нового статуса личности в уголовном судопроизводстве. «Конституция СССР и дальнейшее укрепление законности и правопорядка». М.: 1979. стр. 149; И. Либус. Презумпция невиновности в советском уголовном процессе. Ташкент. 1981. стр. 194—195.

ბამ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იქნა შემოღებული არასრულწლოვანთა მიმართ, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. როგორც ჩვენი, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ განაჩენის აღსრულების გადადება წარმოადგენს არასრულწლოვან დამნაშავეთა აღზრდისა და გამოსწორების მეტად ეფექტიან საშუალებას.<sup>2</sup> ამჟამად მსჯავრდადებულის ასაკის მიუხედავად, სასამართლოს შეუძლია ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, მსჯავრდადებულის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, აგრეთვე მისი გამოსწორებისა და საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე ხელახლა აღზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით გადადოს განაჩენის აღსრულება ისეთი პირის მიმართ, რომელსაც პირველად ედება მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. არასრულწლოვანის მიმართ განაჩენის აღსრულების გადადება დასაშვები იყო ნებისმიერ საქმეზე, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სახისა და სიმძიმისა. ამჟამად კი გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. განაჩენის აღსრულების გადადება არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის, განზრახი მკვლელობისათვის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურებისა და ხულიგნობისათვის, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელთან ერთად ენიშნებათ ალკოპოლიზმის ან ნარკომანიის ძიულებითი მკურნალობის ზომები, ან რომლებსაც არ გაუვლიათ ვენერიული დაავადების მკურნალობის სრული კურსი.

თუმცა ამ შეზღუდვებში არ არის დასახელებული ისეთი საშიში დანაშაულები, როგორც არის ქურდობა, ვაძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალავა, ავტომობილტრანსპორტის საშუალებათა გატაცება, ნარკომანია და ა. შ. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ დანაშაულთა ჩამდენ პირთა მიმართ, განსაკუთრებით როცა დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებშია ჩადენილი, განაჩენის აღსრულების გადადების ფართოდ გამოყენება არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. ასეთი ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამონაკლისის სახით, განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას.

განაჩენის აღსრულების გადადება არასრულწლოვანის მიმართ ადრე ხდებოდა ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. ამჟამად კი ეს ვადა განსაზღვრულია ერთიდან ორ წლამდე. გამოსაცდელი ვადის გაზრდა გამოწვეულია იმით, რომ შესაბამის ორგანოებს შესაძლებლობა მიეცეთ უფრო ეფექტიანი კონტროლი განახორციელონ იმ პირის ყოფაქცევისადმი, ვის მიმართაც გადაიღო განაჩენის აღსრულება. ამავე მიზნით მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ვალდებულებათა წრე, რასაც სასამართლო აკისრებს მსჯავრდადებულს განაჩენის აღსრულების გადადებისას. განსაზღვრულ ვადაში მიყენებული ზარალის ანაზღაურების, მუშაობის ან სწავლის დაწყების ვალდებულებების გარდა სასამართლოს უფ-

<sup>2</sup> В. Сидорова. Условное осуждение и отсрочка исполнения приговора несовершеннолетним. «Социалистическая законность», 1980, № 6, стр. 20; Г. Анашкин. Практика применения судами отсрочки исполнения приговора несовершеннолетнему. «Советская юстиция», 1981, № 6, стр. 7; З. Вышинская, Т. Орешкин, Н. Веляева. Отсрочка исполнения приговора несовершеннолетнему. «Советская законность», 1981, № 6, стр. 51.

ლება მიეცა მსჯავრდადებულს დაავალოს არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი შინაგან საქმეთა ორგანოსთან შეუთანხმებლად, აცნობოს ამ ორგანოებს სამუშაო ან სწავლის ადგილის შეცვლის შესახებ, პერიოდულად გამოცხადდეს შინაგან საქმეთა ორგანოში რეგისტრაციისათვის. სასამართლოს შეუძლია დაავალოს მსჯავრდადებულს არ იაროს გარკვეულ ადგილებში, შინაგან საქმეთა ორგანოსათვის შეუტყობინებლად არ წავიდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში გაიაროს ბკურნალობის კურსი. სასამართლოს კვლავინდებურად შეუძლია განსაზღვრულ შრომითს კოლექტივს ან პირს, მათი თანხმობით, დააკისროს მოვალეობა, მეთვალყურეობა გაუწიოს მსჯავრდადებულს და მასთან გასწიოს აღმზრდელობითი მუშაობა.

კონტროლს იმ სრულწლოვან მსჯავრდადებულთა ყოფაქცევისადმი, რომელთა მიმართ განაჩენის აღსრულება გადადებულია, ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო არასრულწლოვანთა ყოფაქცევისადმი — აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები. წინათ მოქმედი კანონმდებლობით განაჩენის აღსრულების გადადების გაუქმება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდადებული არ ასრულებდა სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობას ან არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. ამჟამად, განაჩენის აღსრულების გადადება შეიძლება გაუქმდეს შრომის დისციპლინის დარღვევისთვისაც. გარდა ამისა, თუ წინათ სასამართლოს შეეძლო გაუქმებინა განაჩენის აღსრულების გადადება მსჯავრდადებულის მიმართ ადმინისტრაციული ზომების გამოყენების შემთხვევაში, ამჟამად მას შეუძლია გააუქმოს გადადება მსჯავრდადებულის მიმართ დისციპლინური თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შემთხვევაშიც.

განაჩენის აღსრულების გაუქმების შესახებ წარდგინების შეტანის უფლება შინაგან საქმეთა ორგანოსა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გარდა მიენიჭა აგრეთვე შრომითს კოლექტივს, რომელსაც დაკისრებული აქვს მსჯავრდადებულის ყოფაქცევისადმი მეთვალყურეობა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება.

ახალი კანონით უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა განაჩენის აღსრულების გადადების ვადაში მსჯავრდადებულის ქცევის შედეგების განსაზღვრის წესი. დადგინდა, კერძოდ, რომ განაჩენის აღსრულების გადადების ვადის გასვლის შემდეგ მსჯავრდადებულის ყოფაქცევისადმი კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წარდგინებით, გამოსაცდელ ვადაში მსჯავრდადებულის შრომისადმი ან აწვავლისადმი დამოკიდებულებისა და ყოფაქცევის მიხედვით, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასჯელისაგან მსჯავრდადებულის განთავისუფლების ან განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მისი გაგზავნის შესახებ.

არსებითი ხასიათის ცვლილებანი და დამატებანი შეტანილი სისხლის სასამართლოს კანონის იმ ნორმებში, რომლებიც ადგენენ თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შეფარდების წესსა და პირობებს. წინათ თუ სასჯელის ეს ღონისძიება ინიშნებოდა ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით, ახლა მისი დანიშვნა შეიძლება ორი თვიდან ორ წლამდე ვადით. არსებითი სიახლეა აგრეთვე საქართველოს სსრ სკკ 28-ე მუხლში ახალი ნაწილის დამატება.

სადაც ნათქვამია, რომ თუ პირი, რომელიც მსჯავრდადებულია თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოებით მუშაობის ადგილის მიხედვით, თავს არიდებს სასჯელის მოხდას, სასამართლოს, შინაგან საქმეთა ორგანოს წარდგინებით, ანდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობით შეუძლია ეს პირი სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს გამასწორებელი სამუშაოების აღსრულების განმგებელი ორგანოების მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილებში, მაგრამ მსჯავრდადებულის საცხოვრებელ რაიონში.

გამასწორებელი სამუშაოების ვადის გაზრდასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ექვს მუხლში გაუქმდა თავისუფლების აღკვეთა, თერთმეტ მუხლში თავისუფლების აღკვეთასთან ერთად გათვალისწინებულ იქნა გამასწორებელი სამუშაოებიც, ხოლო სამოცდაექვს შემთხვევაში გაიზარდა გამასწორებელი სამუშაოების ვადები.

ცვლილებანი შევიდა სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების წესსა და პირობებში. წინათ ჯარიმის საერთო ფარგლები, როგორც წესი, არ იყო განსაზღვრული კანონით. ჯარიმის მინიმუმი (10 მანეთი) განსაზღვრული იყო მხოლოდ თურქმენეთსა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსებში, ხოლო მინიმუმიც და მაქსიმუმიც (10-მანეთიდან 100 მანეთამდე)—ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსით. ჯარიმის ოდენობა დადგენილი იყო მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებდნენ სასჯელის ამ ღონისძიებას. ახალი კანონით ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ორმოცდაათიდან სამას მანეთამდე ფარგლებში, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის — ათას მანეთამდე ფარგლებში. სსრ კავშირის კანონმდებლობით გამოწვევის შემთხვევებში ცალკეული დანაშაულისათვის შეიძლება დაწესდეს უფრო დიდი ჯარიმა. ამ ზოგადი პრინციპის საფუძველზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში გაიზარდა როგორც ჯარიმის ოდენობა, ისე იმ დანაშაულის შემადგენლობათა რაოდენობა, რისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება ჯარიმის გამოყენება. კოდექსის 23 მუხლს სასჯელის სახედ დამატა ჯარიმა, ხოლო სამოცდაშვიდ შემთხვევაში გაიზარდა ჯარიმის ოდენობა.

გამასწორებელი სამუშაოების ვადისა და ჯარიმის ოდენობის გაზრდა არ ნიშნავს დასჯით პოლიტიკის გამკაცრებას. პირიქით, ეს საშუალებას მოგვცემს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად უფრო ფართოდ გამოვიყენოთ გამასწორებელი სამუშაოები და ჯარიმები, რომლებიც დაკავშირებული არ არის პიროვნების საზოგადოებიდან იზოლაციასთან. ლიტერატურაში არაერთხელ დაუყენებიათ სასჯელის აღნიშნული ღონისძიებების გაზრდისა და ფართოდ გამოყენების საკითხი<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სოციალისტურ სახელმწიფოში უკვე დიდი ხანია იყენებენ ხანგრძლივ გამასწორებელ სამუშაოსა და დიდი ოდენობის ჯარიმებს. მაგალითად. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიძლება გამასწორებელი სამუშაოების შეფარდება ორ წლამდე ვადით, ხოლო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობად

<sup>3</sup> Эффективность уголовноправовых мер борьбы с преступностью, М., 1968.

<sup>4</sup> კობახიძე, ჯარიმის როგორც სასჯელის გამოყენების საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1980, № 4, გვ. 23-30.



დაწესებულია ასი ათასი მარკა, რაც საბჭოთა ფულის კურსით ორმოცი ათას მანეთს აღემატება.

მთელი რიგი ცვლილებანია შეტანილი პირობითი მსჯავრის ეფექტიანობისა და ქმედითობის ასამაღლებლად. აღრინდელი კანონმდებლობით განაჩენი არ მოიყვანებოდა სისრულეში, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდადებული არ ჩაიდენდა ახალ განზრახ დანაშაულს. ამჟამად განაჩენი აღსრულდება მაშინაც თუ მსჯავრდადებული ჩაიდენს გაუფრთხილებელ დანაშაულს და სანიმუშო ყოფაქცევით და პატიოსანი შრომით არ გაამართლებს მისდამი გამოცხადებულ ნდობას. დაწესდა აგრეთვე, რომ პირობით მსჯავრდადებულთა ყოფაქცევას კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო არასრულწლოვანთა ყოფაქცევას — არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებიც. წინათ პირობითი მსჯავრის დადების დროს არ შეიძლებოდა დამატებითი სასჯელის დანიშვნა, გარდა ჯარიმისა. ამჟამად კი პირობით მსჯავრდადებისას შეიძლება დაინიშნოს ყველა სახის დამატებითი სასჯელი გადასახლების, გასახლების და ქონების კონფისკაციის გარდა. ეს ნიშნავს, რომ პირობით მსჯავრდადებულს შეიძლება დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნოს გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, თანამდებობიდან დათხოვნა, სამხედრო ან სპეციალური წოდების, აგრეთვე მშობლის უფლების ჩამორთმევა. უფრო მკაცრი პირობები დაწესდა პირობით მსჯავრდადებულის გამოსწორების უზრუნველსაყოფად. დადგინდა, რომ თუ პირობით მსჯავრდადებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში სისტემატურად დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, რასაც მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენება, შინაგან საქმეთა ორგანოს, ხოლო არასრულწლოვანის მიმართ აგრეთვე არასრულწლოვანის საქმეების კომისიის წარდგინებით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება პირობითი მსჯავრდადების გაუქმებისა და განაჩენით დანიშნული სასჯელის მოსახდელად მსჯავრდადებულის გაგზავნის შესახებ. ასეთივე გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სასამართლომ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობის საფუძველზე თუ გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად მათთვის გადაცემულმა პირობით მსჯავრდადებულმა არ გაამართლა მათი ნდობა, არ შესრულა დაპირება სანიმუშო ყოფაქცევით და პატიოსანი შრომით დაამტკიცოს თავისი გამოსწორება, ანდა დატოვა შრომითი კოლექტივი, საზოგადოებრივი ზემოქმედებისაგან თავის არიდების მიზნით.

გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც არ გამოიყენება სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლება შრომაში სავალდებულო ჩაბმით. დადგინდა, კერძოდ, რომ აღნიშნული ღონისძიებანი, გარდა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების და ზოგიერ-

თი კანონში მითითებული მიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისა, არ გამოიყენება აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელიც წინათ ორზე მეტად იყო მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის ან რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან წინათ განთავისუფლებული იყო ვადაზე პირობით ან პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით და რომელმაც კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული სასჯელის მოუხდელი ნაწილის ან მუშაობის სავალდებულო ვადის განმავლობაში.

მეტად მნიშვნელოვანი სიახლეა ახალი სახის სასჯელის შემოღება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან მაწანწალობას და მათხოვრობას, ანდა სხვაგვარ პარაზიტულ ცხოვრებას. ამ პირთა მიმართ საქმის გარემოებათა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სასჯელის სახით გამოყენებულ იქნეს შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში გაგზავნა ერთიდან ორ წლამდე ვადით. მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში, სამუშაოსაგან თავის არიდების, ან დისციპლინის ან ქცევის დადგენილი წესებით ბოროტი ან სისტემატური დარღვევისათვის პროფილაქტორიუმში ყოფნის მოუხდელი ვადა სასამართლოს განჩინებით შეეცვლება იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

17541  
 სასჯელის მინიმალური ზღვარის გაზრდით გაძლიერდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცებისთვის ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის გზით, დაზუსტდა ამ დანაშაულის შემადგენლობა, კერძოდ, ცალკე სახის დანაშაულად ჩამოყალიბდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, გაძარცვა და ყაჩაღობა სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის შემადგენლობას მაკვალიფიცირებელ გარემოებად საცხოვრებელ სადგომში შეღწევა დაემატა ჯერ კიდევ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 მაისის ბრძანებულებით. ჩვენი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამ სიახლემ, რომელიც ახლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობამ გაიზიარა და სოციალისტური საკუთრების დატაცების კვალიფიცირებულ შემადგენლობაშიც აისახა, კარგი შედეგი მოგვცა და მოწონება დაიმსახურა კავშირის მასშტაბით. შეეხო რა აღნიშნულ საკითხს, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. რეკუნოვმა აღნიშნა: „საკანონმდებლო ცვლილებანი ემყარება მოკავშირე რესპუბლიკებში უკვე არსებულ გამოცდილებს ყოველმხრივ ანალიზს მაგალითად, საქართველოში გაზრდილი პასუხისმგებლობა იყო დადგენილი საცხოვრებელ სადგომში შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის. ამ ღონისძიებამ გაამართლა, ახლა ასეთი ნორმა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებშიც გამოჩნდა“.<sup>4</sup>

4 А. Рекунов Без снисхождения. «Правда», 9 января 1983 года.

გადლიერდა პასუხისმგებლობა სპეკულაციისათვის, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ნასამართლევია სპეკულაციისათვის. ეს დანაშაული ახალი კანონით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით. დაწესდა იმ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებსაც განაჩენით ჩამორთმეული ჰქონდათ ვარკვეული თანამდებობის დაკავების ან ვარკვეული საქმიანობის უფლება, მაგრამ არ შეასრულეს განაჩენის მოთხოვნა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემიან ის თანამდებობის პირებიც, რომლებიც სამუშაოდ მიიღებენ აღნიშნული კატეგორიის მსჯავრდებულებს.

ასეთია, ძირითადად, რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებათა არსი. ეს საკანონმდებლო სიახლენი, და, რაც მთავარია, მათი სწორად გაგება და გამოყენება ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებას, მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და აღზრდის საქმეს.

პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება, პარტიული, სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება წარმოუდგენელია, თუ მნიშვნელოვნად არ გააქტიურდა და არ გამკაცრდა ბრძოლა დამნაშავეობასთან, რომელიც უდიდეს ეკონომიკურ და მორალურ ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი აქვსრია სასამართლოებსა და იუსტიციის ორგანოებს. სამწუხაროდ, ამ ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზებია. სასამართლოებში ზოგჯერ უხეშად ირღვევა საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადები. ზოგიერთი მოსამართლე არავითარ მონაწილეობას არ იღებს საქმის განსახილველად მომზადებაში და ეს საკითხი სხდომის მდივნის, კანცელარიის მუშაკებისა და საქმის განხილვით დაინტერესებული პირებისათვის აქვს მინდობილი. ზოგ სასამართლოში გაუმართლებლად ჭიანჭურდება სასამართლო პროცესები, ირღვევა შრომის დისციპლინა, დროულად არ იწყება და არ მთავრდება სასამართლო სხდომები, ცხადდება ხანგრძლივი შესვენებანი, ეკონომიურად და ოპერატიულად არ ტარდება პროცესუალური მოქმედებანი.

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი. ჯერ კიდევ ბევრ განაჩენსა და გადაწყვეტილებას აუქმებენ ან ცვლიან ზემდგომი სასამართლოები. ხშირად ეს ხდება ისეთი პროცესუალური დარღვევების გამო, რომელთა შემჩნევა და გასწორება ადვილად შეიძლებოდა, სასამართლოს თავმჯდომარე გულდასმით რომ კითხულობდეს და ასწორებდეს სხდომის ოქმს. სასამართლოები უფრო კრიტიკულად უნდა ეკიდებოდნენ წი-

ნასწარი გამოძიების მასალებს. არცთუ იშვიათად სასამართლოში იგზავნება საქმე, რომელზეც წინასწარი გამოძიება არ არის ჩატარებული სრულად და ობიექტურად, არ არის გამოკვლეული დანაშაულის ყველა ეპიზოდი, დადგენილი და პასუხისგებაში მიცემული არ არის ყველა დამნაშავე. სასამართლოები ყოველთვის სწორად ვერ იყენებენ სასჯელის ღონისძიებებს. არის შემთხვევები, როდესაც საშიშ დამნაშავეს აშკარად ღმობიერი სასჯელი ეფარდება, ხოლო მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ჩამდენი ზედმეტად მკაცრად ისჯება.

საგრძობლად უნდა გაუმჯობესდეს სასამართლოების ანალიტიკური და პროფილაქტიკური საქმიანობა, ამაღლდეს სამართლებრივი პრობაგანდის ეფექტიანობა. ხშირად სასამართლოს გამსვლელი სესია, კერძო განჩინება, ამომჩიველებთან შეხვედრა, პრესაში გამოსვლა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიება ფორმალური ხასიათისაა, არ არის მიზანმიმართული, საქმის ინტერესებს კი არ ემსახურება, არამედ მიზნად ისახავს სტატისტიკური მაჩვენებლების გაზრდასა და შელამაზებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოქალაქეთა საჩივრებზე მუშაობისა და მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებას. სასამართლოებსა და იუსტიციის ორგანოებში ეს საკითხები ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ მშრომელებს შეეძლოთ მათთვის მოსახერხებელ დროს ცხადდებოდნენ მიღებაზე, საჩივრებსა და განცხადებებზე ღებულობდნენ დროულ და დასაბუთებულ პასუხებს. უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში მოქალაქეთა მიღების პრაქტიკა. გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა მიმართ გულგრილობისა და უხეშობის ფაქტები.

სასამართლოების და იუსტიციის ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა ღრმად შეისწავლონ შეტანილი სიახლენი, სწორად გამოიყენონ ისინი დამნაშავეობასთან ბრძოლაში, ფართო პრობაგანდა გაუწიონ მათ და ამით უზრუნველყონ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება.



სიახლენი  
ღონისძიების  
კატორი  
მნიშვნელობის  
ფაქტორები  
ბუნებრივი  
ფილიტონი  
სიახლენი  
ღონისძიების  
კატორი  
მნიშვნელობის  
ფაქტორები  
ბუნებრივი  
ფილიტონი  
სიახლენი  
ღონისძიების  
კატორი  
მნიშვნელობის  
ფაქტორები  
ბუნებრივი  
ფილიტონი



# სამართალწარმოების ეროვნული ენის კონსტიტუციური პრინციპის განვითარება\*

ი. ფუტყარაძე.

რუსეთის იმპერიაში კანონმდებლობისა და საქმის წარმოების ერთადერთი სახელმწიფო ენის პრინციპი ბატონობდა. სამართალწარმოება ყველგან, იმპერიის ეროვნულ ნაწილებშიც, ოფიციალურ — რუსულ ენაზე წარიმართებოდა.

ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ენობრივი უთანასწორობა და საბჭოთა მართლმსაჯულებაშიც ეროვნული ენის პრინციპი დაამკვიდრა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და საბჭოთა კონსტიტუციითაც განმტკიცდა სამართალწარმოების ეროვნული ენის ინსტიტუტი, რომელიც სოციალისტური მართლმსაჯულების ერთ-ერთი დემოკრატიული საფუძველია. სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლით<sup>1</sup>, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოში სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმის მონაწილე პირებს, რომლებმაც არ იციან ეს ენა, უზრუნველყოფილი აქვთ საქმის მასალების სრული გაცნობის უფლება, სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა თარჯიმნის მეშვეობით და სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მართლმსაჯულების ქართულ ენაზე განხორციელება რესპუბლიკის კონსტიტუციის 171-ე მუხლით არის განმტკიცებული. სათანადო აქტებით დადგენილია აგრეთვე მართლმსა-

ჯულების განხორციელება აფხაზეთის ასრესპუბლიკაში აფხაზურ, ან ქართულ, ან რუსულ ენაზე, აჭარის ასსრ-ში ქართულ ენაზე, სამხრეთ ოსეთში ავტონომიური ოლქის ენაზე ან ქართულ ენაზე.

სამართალწარმოების ეროვნული ენის პრინციპის განვითარება წინამდებარე სტატიაში ქართული საკანონმდებლო მასალის მიხედვით განიხილება. საქართველოს სსრ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის რუსეთის ფედერაციის შემდეგ ყველაზე მეტ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულს მოიცავს დამისი გამოცდილება სამართალწარმოების ენის საკანონმდებლო მოწესრიგების მიმართულებით უთუოდ საყურადღებოა იმართული და საინტერესოა გზის სრული წარმოჩენისათვის, რომელიც ხსენებულმა პრინციპმა განვლო სოციალისტური ფედერალიზმის საფუძველზე შექმნილ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოში.

საბჭოთა საქართველოში სამართალწარმოების ეროვნული ენის ინსტიტუტს საფუძველად დაედო სახელმწიფო ენის კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც თავიდანვე მტკიცედ დაამკვიდრა რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა<sup>2</sup>. საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ცალკე მუხლითაც განმტკიცდა რესპუბლიკის პირველ (1922 წ.) ძირითად კანონში. კონსტიტუციაში, რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ერთი წლის მანძილზე განხორციელებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მშენებლობის პრაქტიკის გათვალისწინებით, დაკანონდა, რომ „საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად

\* საქართველოს სსრ საკანონმდებლო მასალების მიხედვით.

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ძირითად კანონთა შესაბამისი მუხლები.

<sup>2</sup> ამ მხრივ აღსანიშნავია, კერძოდ, რევკომის ბრძანება — სახელმწიფო ენა საქართველოში (იხ.: გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 15 მარტი, № 11, გვ. 3; ქურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 2, გვ. 9).

ითვლება ქართული ენა“. ამასთანავე, თანდართული ძენიშენით დადგენილი იყო, რომ „ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ... სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულს, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“<sup>3</sup>. რესპუბლიკის სახელმწიფო ენის განმსაზღვრელი მუხლი შემდგომაც, კიდევ უფრო სრულყოფილ-განვითარებული სახით, ტრადიციულად შევიდა ყველა მომდევნო ძირითად კანონში. კონსტიტუციური ნორმების დაკონკრეტების, მართლმსაჯულების სფეროსადმი მათი მისადაგების გზით ჩამოყალიბდა სამართალწარმოების ენის ინსტიტუტი, რომელიც აისახა რესპუბლიკის სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში.

საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელმაც საგანგებოდ, უშუალოდ განამტკიცა მართლმსაჯულების ეროვნულ ენაზე განხორციელება, იყო დებულება სახალხო სასამართლოს შესახებ. იგი 1921 წლის 30 ივლისის დაამტკიცა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა<sup>4</sup>. მალე დებულება კონსტიტუციით პირდაპირ, სახელდებით გათვალისწინებულ აქტად იქცა. რესპუბლიკის 1922 წლის ძირითადი კანონის XVIII თავში („სასამართლოს შესახებ“, მუხ. 99) აღინიშნა, რომ სახალხო სასამართლოს ორგანიზაცია და სამართალწარმოების წესები განისაზღვრება საქართველოს სსრ „სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ დებულებაში“. ამ გარემოებით, ცხადია, კიდევ უფრო გაიზარდა დებულების იურიდიული მნიშვნელობა.

რესპუბლიკის სახალხო სასამართლოში სამართალწარმოების წესებს ეძღვნება ხსენებულ

ნებულად დებულების მეორე განყოფილება, რომლის პირველ თავში ჩამოყალიბებულია სამართალწარმოების ზოგადი საწყისები. აქ უპირველესად სწორედ სამართლის წარმოების ენა განისაზღვრება<sup>5</sup>. ეს გარემოება თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდა ქართული სოციალისტური სახელმწიფო სამართალწარმოების ენის საკითხს.

დებულების ძალით (მუხ. 21), სამართალწარმოება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოში მიმდინარეობდა სახელმწიფო (ქართულ) ენაზე. მაზრებისათვის, სადაც შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა, დებულება ადგენდა თავისუფალი სასამართლო სჯა-პაექრობის პრინციპს; თითოეულ სასამართლო რაიონში, რომელშიც შერეული მოსახლეობა იყო, სამართალწარმოების ენა განისაზღვრებოდა საქართველოს რევკომისადმი სამაზრო რევკომის წარდგინების მიხედვით.


საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოს 1921 წლის დებულების ზემოთ წარმოდგენილ, 21-ე მუხლში ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: სახელდებით აღნიშვნა იმისა, რომ (1) რესპუბლიკაში სამართალწარმოება უნდა მიმდინარეობდეს „სახელმწიფო (ქართულ) ენაზე“, ხოლო (2) შერეული მოსახლეობით დასახლებული თითოეული სასამართლო რაიონისათვის სამართლის წარმოების ენის განსაზღვრა განეკუთვნოს შესაბამისი სამაზრო რევკომისა და საქართველოს რევკომის ერთობლივ კომპეტენციას.

ქართულისადმი როგორც სამართალწარმოების სახელმწიფო ენისადმი, აგრეთვე სა-

<sup>3</sup> საქართველოს სსრ კონსტიტუცია, ტფ., 1922, მუხ. 6.

<sup>4</sup> სახალხო სასამართლოს დებულების ტექსტი გამოცემა სტამბური ეგზემპლარის მიხედვით, დაბეჭდილია დოკუმენტებისა და მასალების კრებულში (რუსულ ენაზე) — „საქართველოს რევოლუციური კომიტეტები საქმითა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1921 წ. თებერვალი — 1922 წ. მარტი)“, შემდგენელი ი. ახალაია, სოხუმი, 1963 (გვ. 139-154). გამოცემაში არაა დასახელებული დებულების ზუსტი თარიღი. კრებულში (იხ. გვ. 139) ზოგადად არის აღნიშნული, რომ დებულება დამტკიცდა რესპუბლიკის რევკომის მიერ „არა უადრეს 1921 წ. 26 ივლისისა“. ამგვარად, აქ დებულება 1921 წ. 26 ივლისიდან 31 დეკემბრამდე (უფრო მეტიც: თვით საქართველოს რევკომის არსებობის სულ ბოლო ხანამდე) შუა პერიოდის რომელიღაც რიცხვში დამტკიცებულ აქტად იყარაუდება. დებულების დამტკიცების ზუსტი თარიღი — 1921 წ. 30 ივლისი, რომელიც დასახელებულია წინამდებარე სტატიაში, ფიქსირებული არის ისეთ სარწმუნო, ოფიციალურ წყაროში, როგორც არის, მაგალითად, საქართველოს ცაკის 1923 წ. 17 აგვისტოს № 52 დადგენილება (იხ. საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1923, № 2, მუხ. 10).

<sup>5</sup> Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — март 1922 г.), сборник док. и мат. Сухуми, 1963. с. 142—43.



მართლის წარმოების ენად სხვა რომელიმე ენის განსაზღვრისადმი ყურადღების გამახვილება იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით აიხსნება და საერთოდ რესპუბლიკაში ეროვნული ენის მართებულად ხმარების ჯეროვნად მოწინააღმდეგის საკითხს უკავშირდება. საქმე ის იყო, რომ რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს ამ მიმართულებით რამდენიმე ქმედითი ღონისძიების განხორციელება მოუხდათ. სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები ხალხის უმთავრესი გამოწვევისა და საბჭოთა ხელისუფლების დასუსტების მიზნით პროვოკაციულად შლიდნენ ქართულ წარწერებს სხვადასხვა აბრიდან. „იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთ დაწესებულებებიდან“. ამგვარ მეთად საშიშ ქმედობათა აღსაკვეთად საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ენერგიულ ზომებს მიმართავდა<sup>6</sup>.

რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს 1921 წლის 36 ივლისის დებულება ორ წელიწად-ნახევარზე ცოტა მეტ ხანს მოქმედებდა. იგი გაუქმდა საქართველოს ცაკის 1924 წლის 28 თებერვლის დადგენილებით რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ<sup>7</sup> დებულება „მოთად“ გაუქმდა და, ცხადია, ძალა დაკარგა მისმა 21-ე მუხლმაც, რომელიც სამართალწარმოების ენას შეეხებოდა.

საქართველოს ცაკის 1923 წლის 17 აგვისტოს № 52 დადგენილებით 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა იმავე წლის 21 ივნისს მიღებული დებულება რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების შესახებ<sup>8</sup>. მალე დებულება საქართველოს ცაკის მე-2 მოწვევის მე-2 სესიაზე 1924 წლის 24 თებერვალს მიღებული დადგენილების რედაქციით გამოიცა<sup>9</sup>, გაუქმებულად კი იგი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წ. 16 ივლისის ბრძანებულებით გამოცხადდა (დებულებამ დროთა განმავლობაში ბევ-

რი ცვლილება განიცადა)<sup>10</sup>. დებულებაში არაფერი არ იყო ნათქვამი სამართალწარმოების ენის შესახებ, რაც ამ საკანონმდებლო აქტის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენდა.

1924 წლის 4 აპრილს გამოიცა საქართველოს ცაკის დეკრეტი „რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის და მცხოვრებთა უმრავლესობისა და ეროვნული უმცირესობის ენის ხმარების შესახებ“ (დეკრეტი განიხილა და მიიღო ცაკმა 1924 წლის 27 თებერვალს; იგი ძალაში შევიდა იმავე წლის 1 მაისიდან, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 8 იანვრის ბრძანებულებით)<sup>11</sup>. დეკრეტი მიღებულია ამიერკავკასიის სფსრ ცაკის იმ დეკლარაციის შესაბამისად, რომელიც ფედერაციაში გაერთიანებული ყოველი რესპუბლიკის შესაბამის ორგანოს ავალბდა ეროვნული უმცირესობის ენის დაცვის მიზნით გამოეცა სათანადო აქტი და განეხორციელებინა იგი.

დეკრეტში არ არის პირდაპირ ნათქვამი, თუ რომელი ენა გამოიყენებოდა სახელდობრ სამართალწარმოებაში. რამდენადაც დეკრეტში ლაპარაკია საერთოდ სახელმწიფო დაწესებულებებზე და ეს ცნება, რალა თქმა უნდა, მართლმსაჯულების ორგანოებსაც მოიცავს, ამდენად იგულისხმებოდა, რომ აქ ჩამოყალიბებული წესები, ბუნებრივია, სასამართლოსაც შეეხებოდა. დეკრეტის სათაურის 1-2, 5-9 და 13 მუხლების მიხედვით სამართალწარმოებაში ძირითადი ანუ სახელმწიფო (ე. ი. ქართული) ენის გარდა შეიძლებოდა ხმარება არაქართველი ეროვნების მცხოვრებთა უმრავლესობის ენისა და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ენისა, როგორც იყო რუსული, სომხური და თურქული ენა. საქმისწარმოებას მცხოვრებთა უმრავლესობის ენაზე და ეროვნული უმცირესობის სახმარ ენას მახარის დაწესებულებებში შესაბამისი აღმას-

6 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ი. ფუტყარაძე, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, თბ., 1969, გვ. 44—46.

7 იხ. საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, ტფ., 1924, გვ. 3.

8 საქ. სსრ კან. კრ., 1923, № 2, მუხ. 10.

9 იხ.: საქ. სსრ კან. კრ., 1924, № 1, მუხ. 20; საქართველოს სსრ „სასამართლოს წყობილების დებულება“, ტფ., 1924.

10 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1960, № 8, მუხ. 79.

11 იხ.: საქ. სსრ კან. კრ., 1924, № 1, მუხ. 10; გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 6 აპრილი, № 78; სრულიად საქართველო ცაკის II მოწვევის I, II და III სესია (სტენოგრაფ. ანგ.), ტფ., 1925, გვ. 38—44; „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1960, № 1, მუხ. 3.

კომის წარდგენით განსაზღვრავდა რესპუბლიკის ცაკი. იმ პირს, რომელიც არ ეკუთვნოდა ეროვნებას, რომლის ენაც სახმარად ცნობილი იყო მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან რომელსამე მაზრაში, ნება ეძლეოდა ყველა დანესებულებაში ეხმარა რუსული ენა (მუხ. 12).

უშუალოდ კი სამართალწარმოების ენა რესპუბლიკის სასამართლო დანესებულებებში, დეკრეტის მე-13 მუხლის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით განისაზღვრებოდა.

დეკრეტის ძალით, პროცესის მხარეს, რომელმაც არ იცოდა სახელმწიფო ენა ან ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავლესობის ენა, უფლება ეძლეოდა: ა) საჩივარი, განცხადება და, საზოგადოდ, სამართალწარმოების ყოველგვარი ქალაქი შეეტანა მოცემულ მაზრაში ეროვნული უმცირესობის სახმარ ენაზე; ბ) იმავე ენაზე მიეცა სიტყვიერი ახსნა-განმარტება; გ) მოეთხოვა, რომ სასამართლოს ამავე ენაზე სიტყვიერად თარგმნით, უშუალოდ ან თარჯიმნის მეშვეობით, გაეგებინებინა სამართალწარმოების ყოველგვარი მოქმედება, მონიშნულმა მხარის განცხადება და შუამდგომლობა, საპროკურორო ზედამხედველობის დასკვნა, სასამართლო ორგანოს განაჩენი, გადაწყვეტილება და დადგენილება, მონშის ჩვენება და მცოდნე პირის დასკვნა; დ) მოეთხოვა მისცემოდა ამ ენაზე გადათარგმნილი სასამართლო ორგანოს განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების, ოქმისა და სამართალწარმოების სხვა აქტის ასლი, აგრეთვე მოწმობა და ცნობა და ე) მოეთხოვა ამ ენაზე გაგზავნოდა დაბარების უწყება და განცხადება.

ამგვარად, დეკრეტის მიხედვით, სახელმწიფო ენის ან ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავლესობის ენის არამცოდნეთათვის იმ ენათა წრე, რომლებითაც მათ შეეძლოთ საქმის განხილვაში მონაწილეობა, რუსულით, სომხურიითა და თურქულით შემოიფარგლებოდა. საკითხი, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, უკეთესად იყო გადაწყვეტილი იმდროინდელ საპროცესო კო-

დექსებში, რომლებიც მიმდინარე სამართალწარმოების ენის არცოდნის შემთხვევისათვის პროცესში დედაენის გამოყენებას აკანონებდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 20-30-იანი წლების მიჯნაზე ერთი ლოკალური დანიშნულების საგანგებო აქტიც კი შემუშავდა. სახელდობრ, საქართველოს ცაკმა და სახკომსაბჭომ 1929 წლის 15 დეკემბერს მიიღეს დადგენილება „ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმისწარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ“ (ძალადაკარგულად იგი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 8 იანვრის ბრძანებულებით გამოცხადდა)<sup>12</sup>.

სამართალწარმოების ეროვნული ენის საკანონმდებლო განმტკიცების გზაზე მნიშვნელოვან აქტებად წარმოგვიდგება საქართველოს სსრ პირველი სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები.

რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისა და სამოქმედოდ შემოღების დრო ზემოხსენებული „სასამართლოს წყობილების დებულების“ შესაბამის თარიღებს ემთხვევა<sup>13</sup>. სამართალწარმოების ენის განსაზღვრელი ნორმები ჩამოყალიბებულია კოდექსის 22-ე მუხლში<sup>14</sup>: სისხლისსამართლებრივი საქმე წარიმართება ქართულ ენაზე ან ამა თუ იმ ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე; უკეთუ ბრალდებულმა, დაზარალებულმა, მონშემ ან ექსპერტმა არ იცის ეს ენა, სასამართლო ვალდებულია მიიწვიოს თარჯიმანი; ასეთ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნა და სხვა დოკუმენტი ბრალდებულს ჩაბარდება მის დედაენაზე გადათარგმნილი და გამოცხადებითაც, თუ ბრალდებულს მოითხოვს, მის დედაენაზე უნდა გამოეცხადოს; ყოველგვარი ქალაქი და განცხადება ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარადგინოს თავის დედაენაზე, თუ დამტკიცდა, რომ მან არ იცის ის ენა, რომელზეც საქმე წარმოებს.

12 იხ.: ვაზ. „კომუნისტი“, 1929 წ. 25 დეკემბერი, № 297; საქ. სსრ კან. კრ., 1930, № 1, მუხ. 3; „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1960, № 1, მუხ. 3.

13 იხ. საქ. სსრ კან. კრ., 1923, № 2, მუხ. 11.

14 იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ცვლილებითა და დამატებით 1927 წ. იანვრის 1-მდე), ტფ., 1927.



სასისხლო სამართალწარმოების ენის განმსაზღვრელი ნორმები, რომლებიც ზემოთ არის წარმოდგენილი, რსფსრ-ის იმდროინდელი თანამოსახელე კოდექსის სათანადო მუხლის შესატყვისად არის ჩამოყალიბებული<sup>15</sup>.

საქართველოს სსრ პირველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1924 წლის 11 აპრილს დამტკიცდა რესპუბლიკის ცაკის დადგენილებით და სამოქმედოდ იმავე წლის 1 მაისიდან იქნა შემოღებული. კოდექსი განსაზღვრავდა, რომ სამოქალაქო „საქმე წარმოებულ უნდა იქნეს სათანადო ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. უკეთეს მხარემ, მონემ და ექსპერტმა არ იცის ის ენა, რომელზედაც საქმე წარმოებს, სასამართლო მოვალეა მოიწვიოს თარჯიმანი და მისი მეშვეობით გააგებინოს დაინტერესებულ პირთ ყოველი თავისი მოქმედება“<sup>16</sup>.

ციტირებულ მუხლში არსებითი ხარვეზია იმ მხრივ, რომ აქ სახელდებით არ არის აღნიშნული ქართული ენა — უგულებელყოფილია მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი ენის განმსაზღვრელი ნორმა, რომელიც აუცილებლობით გამომდინარეობდა რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მე-6 მუხლიდან და მანამდეც უადრესად მკაფიოდ იყო ასახული 1921 წლის 30 ივლისის დებულებაში სახალხო სასამართლოს შესახებ (მუხ. 21).

სამართალწარმოების ეროვნული ენის ინსტიტუტის ეს მეტად მნიშვნელოვანი ხარვეზი 1931 წელს შეივსო, როდესაც საქართველოს ცაკის პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოს 17 მაისის დადგენილებით გაუქმდა მანამდე მოქმედი (1924 წ.) სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და ძალაში შევიდა (1 ნოემბრიდან) მისი ახალი რედაქცია (დამტკიცებულია საქართველოს ცაკის 1932 წ. 17 ივნისის დადგენილებით)<sup>17</sup>. კოდექსში ახლა უკვე მართებულად იყო მითითებული<sup>18</sup>, რომ სამოქალაქო „საქმე წარმოებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე ან სათანადო ადგილის მოსახლეობის უმეტესობის ენაზე“.

მაღე სამართალწარმოების ეროვნული ენის განმსაზღვრელი რესპუბლიკური ნორმები სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის დადგუძნა. მანამდე საერთო-საკავშირო კანონმდებლობა, კერძოდ კი სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების 1924 წლის 29 ოქტომბრის საფუძვლები<sup>19</sup> არ შეიცავდა ნორმას სამართალწარმოების ენის შესახებ.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 110-ე მუხლით დაკანონდა სამართლის წარმოება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ანდა ავტონომიური ოლქის ენაზე იმ პირობით, რომ აღნიშნული ენების არამცოდნეთ უზრუნველყოფილი ჰქონოდათ საქმის მასალების სრული გაცნობა თარჯიმნის მეშვეობით, აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება. ამის შესაბამისად განისაზღვრა სამართალწარმოების ენა აგრეთვე 1938 წლის 16 აგვისტოს კანონში სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ („სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1938, № 11).

საკავშირო ძირითადი კანონის საფუძველზე საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციით დადგინდა, რომ „სასამართლოს წარმოება საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ანდა ავტონომიური ოლქის ენაზე; იმ პირობით, რომლებმაც ეს ენები არ იციან, უზრუნველყოფილია საქმის მასალების სრული გაცნობა მთარგმნელის საშუალებით და აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება“<sup>20</sup>.

ბუნებრივია, საქართველოს სსრ საპროცესო კოდექსთა ნორმები სამართალწარმოების ენის შესახებ რესპუბლიკის კონსტიტუციის ამ მუხლს უნდა შეთანხმებოდა. ეს კი არ გაკეთდა, ისევე როგორც სხვა მხრივაც ვერ განხორციელდა იმდროინდელი საპროცესო კოდექსების სათანადო სრულყოფა.

<sup>15</sup> Уголовно-процессуальный кодекс РСФСР, Л.-М., 1926, стр. 22.

<sup>16</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, ტფ., 1924, მუხ. 11.

<sup>17</sup> საქ. სსრ კან. კრ.: 1931, № 19, მუხ. 205; 1932, № 19, მუხ. 154.

<sup>18</sup> საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (1931 წ. რედაქცია), ტფ., 1931, მუხ. 11.

<sup>19</sup> СЗ СССР, 1924, № 23, ст. 203.

<sup>20</sup> საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), საქ. კბ (ბ) კვ პარტგამომცემლობა, 1937, მუხ. 124.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც დასაბუქდად რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მოამზადა 30-იანი წლების მეორე ნახევარში, სარდაქციო კოლეგია წინათქმაში იუსყებოდა: „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი რამდენიმე წლის განმავლობაში ოფიციალურად თითქმის არ შეცვლილა, მიუხედავად მთელი რიგი გამოცემული როგორც საერთო, ისე სპეციალური ხასიათის კანონებისა, რომელთაც გავლენა უნდა მოეხდინათ მის ზოგი დებულების შეფარდებაზე. ამის გამო კოდექსის ტექსტი ხშირად მოძველებულია და არ არის შეთანხმებული შემდგომ კანონმდებლობასთან“<sup>21</sup>. კერძოდ, კოდექსის 22-ე მუხლს, სადაც განსაზღვრულია სასისხლო სამართალწარმოების ენა, რედკოლეგიის შენიშვნის სახით ერთვის საქართველოს სსრ 1937 წ. კონსტიტუციის 124 მუხლი (სამართალწარმოების ენა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე).

ანალოგიურად იყო წარმოდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლიც, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოების ენას შეეხებოდა<sup>22</sup>.

სამართალწარმოების ენის განმსაზღვრელი ნორმების დასისტემება მოძველებული საპროცესო კოდექსების ახლით შეცვლამდე ვერ განხორციელდა. საქართველოს სსრ პირველი — 1923 წლის სისხლის სამართლის საპროცესო და 1931 წლის რედაქციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსები მათი თანამოსახელე ახლა მოქმედი აქტების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, სახელდობრ კი, შესაბამისად, 1961 და 1965 წლებში გაუქმდა<sup>23</sup>. ახალი საპროცესო კოდექსებით მართლმსაჯულების განხორციელების ენის მომწესრიგებელი ნორმები რეს-

პუბლიკის 1937 წლის კონსტიტუციისა და სათანადო საერთო-საკავშირო კანონმდებლობის შესატყვისად განმტკიცდა. ეს უთუოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სამართალწარმოების ენის ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფა-განვითარების საქმეში.


საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედ სპეციალურ დარგობრივ საკანონმდებლო აქტებს, რომლებთაც განმტკიცებულია სამართალწარმოების ეროვნული ენის ინსტიტუტის შემადგენელი სამართლებრივი ნორმები, განეკუთვნება სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლები (ახალი რედაქცია დამტკიცდა 1980 წ., მუხლ. 11; 1958 წ. რედაქციაში — მუხ. 10) და კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ (ახალი რედაქცია მიღებულია 1981 წ., სამოქმედოდ შემოღებულია 1982 წ. 1 თებერვლიდან, მუხ. 13; 1960 წ. რედაქციაში — მუხ. 10), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლები (1958 წ., მუხ. 11) და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (დამტკიცდა 1960 წ. 30 დეკემბერს, შემოღებულია სამოქმედოდ 1961 წ. 1 მარტიდან, მუხ. 15). სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლები (1961 წ., მუხ. 10) და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 1964 წ. 26 დეკემბერს, სამოქმედოდ კი შემოღებულია 1965 წ. 1 ივლისიდან, მუხ. 9)<sup>24</sup>. ამათგან სასამართლო წყობილების კანონმდებლობის, სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლები საერთო-საკავშირო აქტები არის, სხვები კი მათი შესატყვისი რესპუბლიკური კანონებია.

21 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 1938, გვ. 3.

22 იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (1931 წ. რედაქცია): თბ., 1938 (დასაბუქდად მოამზადა საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა), გვ. 12—13; 1956 (მოამზადა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ), გვ. 7.

23 იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“: 1961, № 10, მუხ. 170; 1965, № 19, მუხ. 396.

24 იხ.: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 27, მუხ. 545; გაზ. „კომუნისტი“, 1981, № 278, 1982, № 5; „სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, მიღებული სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე (1958 წ. 22-25 დეკემბერი)“, თბ., 1959; „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1960, № 6, მუხ. 62; საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 1965; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ცვლილებებით და დამატებებით 1971 წ. 1 იანვრამდე და სისტემატიზებული მუხლობრივი მასალებით), თბ., 1971; Основы законодательства Союза ССР и союзных республик, М., 1971.



„ენა, რომელზედაც სამართალწარმოება მიმდინარეობს“, საერთო-საკავშირო აქტებში ზოგადი სახით განისაზღვრება. აქ უპირველესად დადგენილია სამართლის წარმოება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა თუ ოკრუგის, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. შემდეგი ნორმა ითვალისწინებს თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობის უფლებისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის, აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლების უზრუნველყოფას იმისთვის, ვინც არ იცის სამართალწარმოების ენა. ასეთი პირისათვის სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებით უზრუნველყოფილია უფლება განცხადება შეიტანოს, ახსნა-განმარტება თუ ჩვენება მისცეს, სასამართლოში გამოვიდეს და შუამდგომლობა განაცხადოს დედაენაზე. ამასთანავე, სათანადო დოკუმენტები, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, უნდა ჩაბარდეს დედაენაზე ან ახვა გასაგებ ენაზე თარგმნილი.

საერთო-საკავშირო საფუძვლების ნორმათა ერთი ნაწილი, ბუნებრივია, უცვლელად არის გადმოტანილი რესპუბლიკურ აქტებში, სხვათა შინაარსი კი დაკონკრეტებული და განვითარებულია. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები.

ტექსტუალურად არის შესული რესპუბლიკის სასამართლო წყობილების კანონში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში შესაბამისი საკავშირო საფუძვლების ნორმები თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის, დედაენაზე სასამართლოში გამოსვლის, განცხადებების შეტანის, ახსნა-განმარტებისა თუ ჩვენების მიცემისა და შუამდგომლობის აღძვრის, კანონით განსაზღვრულ პირთათვის თარგმნილი საგამოძიებო თუ სასამართლო დოკუმენტების ჩაბარების შესახებ.

სამართალწარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე — ასეთი კონკრეტული სახით არის ფიქსირებული ზემოხსენებულ რესპუბლიკურ აქტებში საერთო-საკავშირო საფუძვლების სახელმძღვანელო საწყისი მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე სამართლის წარმოების შესახებ.

საერთო-საკავშირო საწყისებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის საპროცესო კოდექსებში შეტანილია მუხლი — თარჯიმნისათვის მისი მოვალეობის განმარტება. კერ-

ძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით (მუხ. 159) სასამართლოში საქმის გარჩევისას თავმჯდომარე განუმარტავს თარჯიმანს მის მოვალეობას — თარგმნოს სამართალწარმოების ენის არამცოდნე პირთა განმარტებანი, ჩვენებანი, განცხადებანი და უთარგმნოს მათ განმარტებათა, ჩვენებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე თავმჯდომარის განკარგულებანი, სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალით თარჯიმანს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის წარმოებაში, როდესაც აღმოჩნდება, რომ იგი საკმარისად ვერ ფლობს იმ ენებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია თარგმნისათვის (მუხ. 58).

სამართალწარმოების ეროვნული ენის ზოგადი პრინციპის კონკრეტისაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა აგრეთვე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში განმტკიცებული ნორმა — წინასწარი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა იმ პირთა საქმეებზე, ვინც არ იცის ენა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება. ამ შემთხვევაში თუ თვით ბრალდებულს, {სამართალში მიცემულს ან მისი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ, სასამართლო ან შესაბამისი გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში.

ახალი ეტაპი სამართალწარმოების ენის ინსტიტუტის განვითარებაში დაიწყო 1977-1978 წლებში, როდესაც შემუშავდა და ძალაში შევიდა სსრ კავშირის, მოკავშირე (და ავტონომიური რესპუბლიკების) ამჟამად მოქმედი კონსტიტუციები.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში სამართალწარმოების ენის ინსტიტუტს, როგორც დასაწყისშივე ითქვა, ეძღვნება 159-ე მუხლი. იგი მოთავსებულია მე-20 თავში „სასამართლო და არბიტრაჟი“, რომელიც, თავის მხრივ, გაერთიანებულია VII კარში („მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა“). მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ძირითადი კანონებიდან აქ საკმარისი იქნება საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების სათანადო მუხლებზე მითითება. სამართალწარმოების ეროვნული ენის პრინციპი ჩამოყალიბებულია სა-

ქართველოს სსრ ძირითადი კანონის 171-ე და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შესაბამისი აქტების 150-ე მუხლებში (იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის IX კარის 21-ე თავი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებში კი — კარი VII, თავი 15).

განვითარებული სოციალიზმის ძირითად კანონებში წინამორბედი კონსტიტუციებიდან გადმოტანილია სამართალწარმოების ენის განმსაზღვრელი ყველა დანაწესი და ამასთან ერთად მოცემულია ახლად ჩამოყალიბებული დებულებები — ასახულია განსახილველი ინსტიტუტის შემადგენელი სხვა ნორმებიც, მათ შორის ისეთიც, რომელსაც წინათ საერთო-საკავშირო მასშტაბით მხოლოდ მიმდინარე კანონმდებლობა ითვალისწინებდა. ქვემოთ წარმოდგენილია ამ სიხლდა დამადასტურებელი მონაცემები.

ახლად არის ჩამოყალიბებული საკავშირო და რესპუბლიკურ კონსტიტუციებში ნორმა: საქმის მონაწილე პირებს, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზუწველყოფილი აქვთ თარჯიმნის მეშვეობით სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა<sup>25</sup>. ეს დებულება სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების ახალი რედაქციითაც დაკანონდა. იგი აისახა აგრეთვე საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის შესაბამისი რედაქციის მე-13 მუხლში.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციასა და შესაბამის რესპუბლიკურ ძირითად კანონებში, ისევე როგორც სასამართლო წყობილების განმსაზღვრელ შესატყვის აქტებში აღნიშნულია, რომ სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირთათვის უზრუნველყოფილია საქმის მასალების სრული გაცნობა თარჯიმნის მეშვეობით<sup>26</sup>. აქ „გაცნობა“ ნათქვამია ზოგადად და ამის გამო იგი მოვალეობადაც განიხილებოდა, რაც,

თავისთავად ცხადია, მართებულად ვერ ჩაითვლება. ახალი კონსტიტუციებითა და სასამართლო წყობილების ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ეს პროცესუალური მოქმედება, სავსებით სწორად, საქმის მონაწილე პირთა უფლებადაც არის მიჩნეული.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში, 1936 წლის ძირითად კანონთან შედარებით, დამატებით დაკანონებულია სამართლის წარმოება ავტონომიური ოკრუგის ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. ამგვარი დანაწესი კავშირის მასშტაბით 1977 წლის კონსტიტუციამდე განმტკიცებული იყო სასამართლო წყობილების კანონმდებლობის (1958 წ.), სისხლის სამართალწარმოების (1958 წ.) და სამოქალაქო სამართალწარმოების (1961 წ.) საერთო-საკავშირო საფუძვლებში — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ძირითადი კანონებით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის. ასეთი რედაქცია, რაღა თქმა უნდა, აღარ შეესაბამება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით დაკანონებულ დებულებებს. მოქმედი ძირითადი კანონის ხსენებული დანაწესი უკვე აისახა სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების ახალ, 1980 წლის რედაქციაში.

ზემოაღნიშნული ორი დანაწესიდან მეორეს — ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე მართლმსაჯულების განხორციელების განმსაზღვრელ ნორმას ამჟამად, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი კანონი ითვალისწინებს. ეს ნორმა ასახულია აგრეთვე საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის ახალ, 1981 წლის რედაქციაში (მუხ. 13). რაც შეეხება საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციას, იგი ასეთ დანაწესს არ შეიცავდა. ამიტომ, განსახილველი ნორ-

<sup>25</sup> ამ ნორმის ქართული ტექსტის თაობაზე იხ.: ი. ფუტყარაძე, სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის ქართული ტექსტისათვის („საბჭოთა სამართალი“, 1981, № 5).

<sup>26</sup> სსრ კავშირის 1936 წ. ძირითადი კანონის, აგრეთვე თავდაპირველად საქართველოს სსრ 1937 წ. კონსტიტუციის, ისევე როგორც რესპუბლიკის სასამართლო წყობილების 1960 წ. კანონისა და მისი ამოსავალი საერთო-საკავშირო აქტის ქართულ ტექსტებში უგულებელყოფილია ფორმალური ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული „თარჯიმანი“ და მის ნაცვლად სიტყვა „მოთარგმნელი“ არის გამოყენებული (იხ.: სსრ კავშირის კონსტიტუცია, თბ., 1965, მუხ. 110; „საქართველოს სსრ მშრომელთა დემუტატების საბჭოების ყრილობები“, 1921-1937 წწ., დოკუმენტების კრებული, თბ., 1980, გვ. 380; „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1960, № 6, მუხ. 62; „სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, მიღებული სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე“ 1958 წ. 22-25 დეკემბერს, თბ., 1959, გვ. 82).

მა არ არის შეტანილი საქართველოს სსრ 1960 წლის სასამართლო წყობილების კანონში (მუხ. 10), აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, რომლებიც მიღებულია რესპუბლიკის 1937 წლის კონსტიტუციის მოქმედების პერიოდში და მის საფუძველზე. ასეთი ვითარება სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მოქმედების დროს და მისი შესატყვისი სასამართლო წყობილების კანონმდებლობის, სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების სათანადო დანაწესის გათვალისწინებით სავსებით ბუნებრივად მიიჩნეოდა. ამჟამად კი საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლები (სამართალწარმოების ენის შესახებ) ნაწილობრივ აღარ შეესაბამება სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 159-ე და საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის 171-ე, აგრეთვე სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების 1980 წლის რედაქციის მე-11 და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების 1981 წლის კანონის მე-13 მუხლების მოთხოვნებს — მათ უნდა დაემატოს მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე სამართლის წარმოების განმსაზღვრელი ნორმა, რომელიც ტრადიციულად არსებობდა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში.

ამ იმის თქმაც აუცილებელია, რომ საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების ახალი კანონის მე-13 მუხლის ქართული ტექსტი მართებულად ჩამოყალიბებულად ვერ ჩაითვლება. ის ისევე უნდა დაზუსტდეს და შესწორდეს, როგორც სამართალწარმოების ენის განმსაზღვრელ მუხლთა ქართული ტექსტები სხვა სათანადო საკანონმდებლო აქტებში<sup>27</sup> (იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1981, № 5 — სტატია „სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის ქართული ტექსტისათვის“). ამ კანონში

უმართებულად არის მოცემული ხსენებული მუხლის თვით სათაურიც („ენა, რომელზეც სამართალწარმოება ხორციელდება“), რომელიც ამოსავალ აქტში — სასამართლო წყობილების 1980 წლის საერთო-საკავშირო საფუძვლებში სწორად, სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის შესატყვისად, არის წარმოდგენილი („ენა, რომელზედაც სამართალწარმოება მიმდინარეობს“). უფრო მეტიც, იგი მართებული სახით არის საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების 1960 წლის კანონის, რესპუბლიკის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ქართულ ტექსტებში.


ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების ახალი კანონი მოქმედი წესის არსებითი დარღვევით გამოქვეყნდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 29 ივლისის ბრძანებულების ძალით<sup>28</sup>, რესპუბლიკის კანონები ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს შვიდდღიანი ვადისა მათი მიღების შემდეგ. სასამართლო წყობილების ხსენებული კანონი კი, რომელიც მიღებულია 1981 წლის 25 ნოემბერს, მხოლოდ 1982 წლის 7 იანვარს გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“, ხოლო 8 იანვარს — „ზარია ვოსტოკაში“. რაც შეეხება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ 1981 წ. ნოემბრის თვის — მე-13 ნომერს, რომელშიც აღნიშნული კანონი დაისტამბა (მუხ. 292), იგი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1982 წ. 11 მარტს. ასეთი ვითარება, რაღა თქმა უნდა, ყოვლად შეუწყნარებელია.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ სამართალწარმოების ეროვნული ენის კონსტიტუციური პრინციპის გაწესრულ დაცვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. მისი უზღუდელყოფა საგამოძიებო თუ სასამართლო პრაქტიკაში კანონის ისეთ სერიოზულ დარღვევად განიხილება, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია<sup>29</sup>.

<sup>27</sup> ასევე უნდა დაზუსტდეს და შესწორდეს აგრეთვე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ კანონის 65-ე მუხლის ქართული ტექსტი.

<sup>28</sup> იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 7, მუხ. 219.

<sup>29</sup> იხ., კერძოდ: «Вопросы уголовного права и процесса в практике Верховных Судов СССР и РСФСР (1938—1978 гг.)», М., 1980, стр. 270-71, 282-83, 334, 411; «Уголовный процесс», «Юридическая литература», М., 1972, стр. 87; «Бюллетень Верховного Суда СССР», 1978, № 4, стр. 4-5, 10-11.



## სოფლის იურისტების საფლისო ამოცანები

თ. საბიაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი  
მუშაობის განყოფილების უფროსი

სკკბ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებებმა ახალი, გაზრდილი ამოცანები დაუსახა სოფლის იურისტებს. სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა, რომელიც პლენუმმა დაამტკიცა, გათვალისწინებულია 1990 წლამდე პერიოდისათვის. მისი განხორციელებისათვის აუცილებელია მიზნობრივი კომპლექსური მიდგომა, რაც გულისხმობს როგორც თვით სოფლის მეურნეობის, ისე მისი მომსახურე მრეწველობის, ტრანსპორტის ვაჭრობისა და სხვა ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციას.

სასურსათო პროგრამის გადაწყვეტა მოითხოვს აგროსამრეწველო კომპლექსის იურიდიული ჯგუფების საქმიანობის გაუმჯობესებასაც, სოფლის იურიდიული სამსახური მოვალეა ღრმად გააანალიზოს, თუ რა იწვევდა აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარებაში წინათ არსებულ დისპროპორციებს, გამოავლინოს ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და შენახვის, ტრანსპორტირების, ვადამუშავებისა და ვაჭრობის დარგში, სამართლებრივ საშუალებათა გამოყენებით უზრუნველყოს ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარება.

სასურსათო პროგრამაში ხაზი აქვს გასმული ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას — სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, გადაჭრით გადასვლას ზრდის უპირატესად ინტენსიურ ფაქტორებზე. ამას სოფლის იურისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის მართვაში უწყებრივ დაქსაქსულობას მოჰყვება სერიოზული ნაკლოვანებანი დაგეგმვაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, წარმოების სპეციალიზაციასა და რაციონალურ განლაგებაში, რამაც გართულა სოფლად კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტა. წარმოიშვა პარალელიზმი და დუბლირება. მოხდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის მეტისმეტი რეგლამენტირება, გაძლიერდა ადმინისტრირება ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების საზიანოდ.

ასეთ პირობებში ნაკლებად ეფექტიანი აუცილებული სამსახურის საქმიანობაც. ხშირად ერთ მიზანს ვერ ემსახურებოდა ისეთი სამინისტროებისა და უწყებების იურიდიული სამსახურების საქმიანობა, როგორც არის სოფლის მეურნეობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის, მეღორაადაცისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების, სამინისტროები. სოფლის მეურნეობის საწარმოო ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი და სხვა.

სასურსათო პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა გულისხმობს როგორც

მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას, ისე გადამშეშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა ზრდასაც, მაგრამ ეს არის ერთი მხარე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარე, — საწარმოო ურთიერთობის სრულყოფა.

იურისტებს დიდი როლის შესრულება შეუძლიათ, რათა მართვისა და დავგემვის ახალმა მეთოდებმა, მატერიალურმა სტიმულირებამ, სამეურნეო მექანიზმმა შექმნას დიდნაყოფიერი შრომის პირობები. რაიონულ რგოლში უწყებრივი ბარიერების მოსპობამ ტერიტორიული, დარგობრივი და მიზნობრივი დაგეგმვის შენახებამ, რაიონის სპეციფიკათა გათვალისწინებამ დადებითი შედეგები მოგვცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში. გაიზარდა დასაქმებული მუშახელის დაინტერესება.

ახლა მთელი კავშირის მასშტაბით ხორციელდება ღონისძიებანი, რათა შეიქმნას სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულების პირობები. იურისტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, როგორც სოფლის მეურნეობის მთავარი რგოლების, სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა. ეს ქმნის მათი ეფექტიანი საქმიანობის ხელშემწყობ ეკონომიკურ და სოციალურ-ორგანიზაციულ პირობებს.

პლენუმის გადაწყვეტილებით დასახულია გაიზარდოს სოფლის მეურნეობის წარმოების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა შემოქმედებითი აქტიურობა, მათი გერგილიანობა და პასუხისმგებლობა წარმოების ზრდის, მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულებითათვის.

იმისათვის, რომ განხორციელდეს სამინისტროებისა და უწყებების ადგილობრივი ორგანოებისა და საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობს კოორდინაცია, გაერთიანებული ძალით წარიმართოს მეცადინეობა მთელი რესურსების სრულად გამოყენებისათვის, განუხრელად გაიზარდოს პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის მოცულობა, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, უზრუნველყოფილ იქნეს კომპლექსის დარგების მაღალი ეფექტიანობა, მთელი კავშირის მასშტაბით შეიქმნა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი, რომლებშიც შევიდნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, სამეურნეობათა შორის ფორმირებანი, სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოები, აგრეთვე მათი მომსახურე და სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და პროდუქციის გადამშეშავებასთან დაკავშირებული საწარმოო ორგანიზაციები. საქართველოს რამდენიმე რაიონში (აბაშა, მახარაძე და ქობულეთი) წლების მანძილზე ექსპერიმენტის სახით განხორციელებულმა ღონისძიებებმა გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ეს ფორმა პროგრესულია და დიდი მომავალი აქვს.

ცნობილია, რომ გაერთიანებაში შემავალი საწარმოებიც და ორგანიზაციებიც ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებსა და უწყებრავ კუთვნილებას.

ამიტომ ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს იურიდიული სამსახური შემდგომი ორგანიზაციებიდან უზრუნველყოფილი იქნება საუწყებო ნორმატიულ-საცნობარო მასალით, მეთოდოლოგიური რეკომენდაციებითა და ინსტრუქციული წერილებით. თვით გაერთიანების იურიდიული სამსახურის საქმიან-



ნობა მასში შემავალი სხვადასხვა უწყებრივი ორგანიზაციის მიხედვით გამრავალფეროვნდება.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების უმაღლესი ორგანო წარმომადგენლობითია და ეწოდება გაერთიანების საბჭო, მას ქმნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან თვით რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

აგროსამრეწველო კომპლექსის რაიონული რგოლები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან. რამდენადაც რაიონული საბჭოების აღმასკომები პასუხისმგებელი არიან გაერთიანებათა საქმიანობისათვის, აღმასკომების იურისკონსულტები მონაწილეობას მიიღებენ ისეთი საკითხების მომზადებასა და აღმასკომის სხდომებზე განხილვაში, რომლებიც აგროსამრეწველო გაერთიანებებს ეხება.

იურიდიული სამსახურის გადაუდებელი ამოცანაა შეიმუშაოს წინადადებანი აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების იურიდიული მომსახურების სრულყოფის შესახებ. კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი თვით გაერთიანებათა აპარატებიც.

სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის გათვალისწინებით საჭიროა შემუშავდეს მეთოდიკური რეკომენდაციები იურიდიული სამსახურის მუშაობის შესახებ. ახალი მოთხოვნების შესაბამისად უნდა დაიხვეწოს სახელმწიქრელებო საქმიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო პერიოდულად აწყობს სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების იურიდიული სამსახურის მუშაკთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა ზონალურ თათბირ-სემინარებს, რომლებიც ეძღვნება სამართლებრივი მუშაობის სწორად მოწყობის საკითხს, აგროსამრეწველო გაერთიანებაში და მასში შემავალ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, იურისკონსულტებს ვაწვდით რეკომენდაციებს, თუ როგორ გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, საკოლმეურნეო წესდებისა და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა განხორციელების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

სამეურნეო მართვის სრულყოფის პირობებში კიდევ უფრო იზრდება სოციალისტური კანონიერების როლი, რომლის განმტკიცებაც ბევრად არის დამოკიდებული იურიდიულ სამსახურსა და სამეურნეო ხელმძღვანელთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებაზე.

სოფლის იურისტების ყურადღების გაძლიერებას მოითხოვს აგრეთვე აგროსამრეწველო გაერთიანებაში მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა შრომის ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების, აღრიცხვისა და კონტროლის დარგშიც. განსაკუთრებით მტკივნეულია გაერთიანებაში შემავალ მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა.



ცნობილია, რომ სამეურნეო კავშირი გაერთიანებაში შემავალ რგოლებს შორის სხვადასხვა ხელშეკრულებებით არის მოწესრიგებული, ეს ხელშეკრულებანი სხვადასხვა იურიდიული ძალისაა. რომელთა დარღვევასა თუ შეუსრულებლობას სხვადასხვა შედეგი მოსდევს. ამყამად საჭირო ხდება მათი ერთიან სისტემაში მოქცევა, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების განუხრელ დაცვას. საჭიროა ამ ხელშეკრულებათა ბუნებაში სწორად ერკვეოდეს სოფლის მეურნეობაში მომუშავე ყველა იურისტი. წამოიჭრა სხვა პრობლემებიც. მაგალითად, აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობა ადვილად წყვეტს მისთვის საჭირო საკითხებს კოლმეურნეობის საერთო ან რწმუნებულთა კრებებზე.

შედარებით რთულად წყდება იგივე საკითხები გაერთიანებაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებში, სადაც სახელმწიფოს მიერ ზუსტად არის რეგლამენტირებული ხელფასის ფონდი, საშუალო განრავი და სხვა. დასახულია ამოცანა მეურნეობის დირექტორები უფრო გაბედულად დაადგენენ ნოვატორობის გზას, მოარგონ საბჭოთა მეურნეობაში გაერთიანების პრინციპებს სწორედ აქ არის საჭირო იურისტის მახვილი თვალი, რათა არ დაირღვეს სოციალისტური კანონიერება, ზიანი არ მიადგეს მეურნეობას, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

იურისტის ჩარევას საჭიროებს აგრეთვე მშენებლობის საკითხი აგროსამრეწველო კომპლექსის პირობებში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იქ, სადაც გაერთიანება ეკონომიკურად უფრო მძლავრია, მას შეიძლება მიეცეს დამკვეთის ფუნქცია და ჰყავდეს დამპროექტებლების მცირე ჯგუფი. ეს მას საშუალებას მისცემს დააპროექტოს და ააშენოს წვრილი საწარმოები, ზოგან თავისი ძალებით შექმნას ახალი რგოლი, მაგალითად, გარდაბნის აგროსამრეწველო გაერთიანებაში შეიქმნა მეცნიერების განყოფილება. იქ თვითონ ნერგავენ სიახლეებს, ახორციელებენ და იქვე აწყობენ ექსპერიმენტებს, ასეთი ახალი რგოლების იურისდიქციის განსაზღვრაში თავიანთი აზრი უნდა გამოთქვან იურისტებმა.

საჭიროა დადგინდეს აგრეთვე, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ სხვადასხვა სამეურნეო რგოლებს შორის წარმომოხილ დავას განიხილავს თვით ეს გაერთიანება. შედარებით უფრო რთულდება საკითხი, როდესაც იგი ეხება სხვადასხვა გაერთიანებას შორის, ანდა გაერთიანებასა და საკარმიდამო მეურნეობებთან ურთიერთობის დროს წამოჭრილი დავის გადაწყვეტას. ყველაფერი ეს ზუსტ სამართლებრივ რეგლამენტაციას საჭიროებს.

სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა მოუწევს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურს, რათა უახლოეს ხანში შეიმუშაოს სოფლის იურიდიული სამსახურის მეცნიერულად დასაბუთებული, ახალი პირობების გათვალისწინებით დახვეწილი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, განაზოგადოს ცალკეული იურიდიული სამსახურების მუშაობის დადებითი გამოცდილება, ახალი პირობების გათვალისწინებით შეიტანოს სათანადო ცვლილება იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების პროგრამაში.

ახლახან საქართველოს კომპარტიის XII პლენუმზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობისა და მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა წინაშე რთული პრობლემები დგას. მათ უნდა დაძლიონ შარშანდელი სტიქიური უბედურების შედეგები. სოფლის იურიდიულ სამსახურს მოუწევს თავისი საქ-

მიანობის ფორმების გადასინჯვა. რადგანაც ახლახან ცნობილი გახდა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მოიწონა რესპუბლიკის წინადადება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე მართვის ერთიანი ორგანოს — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ, ესე იგი შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებებისადმი ხელმძღვანელობის ერთიანი რესპუბლიკური რგოლი, რომელიც მთლიანად პასუხს აგებს საქმის ვითარებისათვის სოფლის მეურნეობაში.

საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამ პლენუმზე ხაზი გაესვა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ოპერატიული მუშაობის სტილის არსებითი გარდაქმნის აუცილებლობას. დასამალი არ არის, რომ ზოგჯერ ჩვენი თვალთახედვის არიდან გვრჩება ცალკეული რეგიონების, შრომითი კოლექტივების პერსპექტიული განვითარების პრობლემები. აქ მოიყვანეს რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის — ჭიათურის ზონის მაგალითი, სადაც წარმოების დონე ქვეთდება. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი პროცესები მოწმობს, რომ არ შეიძლება რეგიონის ეკონომიკის განვითარება მხოლოდ ერთი დარგის საფუძველზე. ყოველდღიური კონტროლი მუშაობის სტილის სრულყოფის საუკეთესო ფორმაა. ეკონომიკის ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების უნარიანი შეხამება ემყარება აგრეთვე იურიდიული სამსახურის მოქნილ საქმიანობასაც, როგორც ცნობილია, ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანია სოციალისტური კანონიერებისა და სამართლებრივ საშუალებათა გამოყენებით მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა. ამ მიზნების მისაღწევად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა განუხრელი შესრულება. იურისტები აქტიურად უნდა ჩაებნენ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში უნდა შემუშავდეს და თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას შრომის შინაგანაწესი, ხელმძღვანელ მუშაკთათვის შემუშავდეს სპეციალური სამახსოვროები შრომის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე.

იურიდიული სამსახური პერიოდულად უნდა აანალიზებდეს ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობასა და მის ეფექტიანობას.

როდესაც საუბარია სოფლის იურისტების სადღეისო ამოცანებზე, არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ამჟამად გაშლილი საინტერესო ექსპერიმენტი, — კოოპერირება. ეს არის სოფლის საზოგადოებრივ მეურნეობასა და მოსახლეობას შორის კოოპერირების ახალი ფორმა, რომელიც ჯერ აბაშის, შემდეგ მახარაძისა და სხვა რაიონებში დაინერგა.

როგორც ამ საქმის შესწავლამ გვიჩვენა კოოპერირება სასოფლო სამეურნეო პროდუქტების სიუხვის წყაროა, საზოგადოებრივი მეურნეობისა და საკარმიდამო მეურნეობის მშრომელთა გარჯის ურთიერთშერწყმა. უფრო კონკრეტულად კი სოფლის მშრომელი კოლმეურნეობასთან ან საბჭოთა მეურნეობასთან ხელშეკრულების საფუძველზე ზრდის მსხვილფენა რქიან პირუტყვს, ცხვარსა და ღორს, ფრინველს (მას შეუძლია პირუტყვი და საკვები მიიღოს მეურნეობიდან ან თავისი პირუტყვი ჩააბას კოოპერირებაში) და ამ გზით ადიდებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. კოოპერირება ვრცელდება

სასოფლო სამეურნელო-მცენარეულ კულტურაზეც; სანაცვლოდ მშრომელი დიდ-  
 ქალ ანაზღაურებას იღებს, რომელიც ბიუჯეტს ამდიდრებს, ოჯახს ეკონომიკუ-  
 რად აძლიერებს, რაც მთავარია, კოოპერირებაში ებმებიან ოჯახის ხელმძღვა-  
 ნელები, პენსიონერები, მცირეწლოვანი შვილების პატრონი ქალები, მოსწავლე  
 ახალგაზრდობა კი შრომას ეჩვევა.

იურიდიული სამსახური ვალდებულია მოსახლეობას განუმარტოს კოოპე-  
 რირების არსი და მისი სარგებლანობა ხელშეკრულების დამდები ორივე მხა-  
 რისათვის. იზრუნოს ხელშეკრულების კანონიერებისათვის, რათა არ იქნას შე-  
 ლახული რომელიმე მხარის ინტერესები. სამართლებრივი საშუალებანი აქტი-  
 ურად უნდა იქნეს გამოყენებული აგრეთვე ასეთ ხელშეკრულებათა შესრულე-  
 ბისათვის, ხოლო მისი პირობების დარღვევის შემთხვევაში დროულად იქნეს,  
 გამოყენებული ქონებრივი პასუხისმგებლობის ზომები.

მეურნეობის მართვის ახალ სისტემასთან დაკავშირებით უნდა გადაისინ-  
 ჯოს სოფლად სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დღეისათვის არსებულ  
 ფორმები და მეთოდები. სალექციო საკითხების თემატიკა, სალექციო თემათა  
 შინაარსი.

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და აგროსამრეწველო გაერ-  
 თიანების სხვა საწარმოებში უნდა მოეწყოს ლექცია საუბრები, კითხვა-პასუ-  
 ხის საღამოები. მშრომელებს უნდა განუმარტავდეთ სოფლად სახელმწიფო და  
 შრომის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობას, სოფლის მეურნეობის  
 მართვის ახალი სისტემის ეფექტიანობას და სასურსათო პროგრამის ძირითად  
 მოთხოვნებს.

ამ მიზნით იუსტიციის სამინისტროს გათვალისწინებული აქვს სამართლებ-  
 რივი ცოდნის პროპაგანდის მიზნით დეკადებისა და კვირეულების მოწყობა,  
 უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო ობიექტებში, კოლმეურნეობებში და საბჭო-  
 თა მეურნეობებში.

ამასთან ერთად, საჭიროა ადგილებზე აგროსამრეწველო გაერთიანებების  
 იურიდიულმა სამსახურმა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის საქმეში აქტი-  
 ურად ჩააბას რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკები, სხვადასხვა დარ-  
 გის სპეციალისტები. ამ მიზნით აქტიურად უნდა ვიყენებდეთ პრესას, რადი-  
 ოს, ტელევიზიას.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ სოფლის იურიდიული სამსახური სამართ-  
 ლებრივ საშუალებათა გამოყენებით აქტიურად ჩაებმება სასოფლო-სამეურნეო  
 პროდუქციის სიუხვისათვის გაშლილ ბრძოლაში და თავის წვლილს შეიტანს  
 სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მოთხოვნათა ცხოვრებაში  
 განხორციელების საქმეში.

## განხილვად დაიხსნათ კანონი მოქალაქეების შეფასებულ შვედურების მიხედვით დროს

თ. დონაშვილი

შრომის რესურსების დეფიციტის დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოებში დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას, ყოველგვარი შრომითი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. ფაქტები მოწმობს, რომ რესპუბლიკის ბევრი გაერთიანების საწარმოს დირექცია უგულბეღელყოფს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს, თავისი ინიციატივით ან მუშების თხოვნით ხანგრძლივი დროით ათავისუფლებს მათ სამსახურიდან, თუმცა კანონით ზუსტად არის რეგლამენტირებული მოქალაქეადიანი შვედურების მიცემისა და გამოყენების წესი.

შარშან შრომის რესურსების რაციონალური გამოყენების წყალობით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს შეეძლოთ გამოეშვათ 60 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია. დანაკარგების ერთი ნაწილი მოქალაქეადიანი შვედურების არასწორი გამოყენების ბრალია.

წინამდებარე სტატიაში კონკრეტული ფაქტების მოშველიებით ნაჩვენებია, თუ რა დიდ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილებაში „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“ აღნიშნულია, რომ „თანამედროვე პირობებში, როცა მატულობს წარმოების მასშტაბი, რთულდება სამეურნეო კავშირ-ურთიერთობა და ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო დროის ყოველ საათს, ყოველ წუთს, შინაგანაწესის განუხრელ დაცვას, წარმოების ყოველ უბანზე სტაბილური კადრების შექმნას“<sup>1</sup>.

საბჭოთა საზოგადოებისათვის „განსაკუთრებით შეუწყნარებელია ისეთი ნაკლოვანებანი როგორც არის სამუშაო დროის დანაკარგები და მოცდენები, არარტიკული მუშაობა, შრომისა და ტექნოლოგიის სუსტი დისციპლინა, კადრების დიდი დენადობა მთელ რიგ საწარმოებში“<sup>2</sup>.

როგორც სტატისტიკური მონაცემები მიწმობს რესპუბლიკის მრეწველობაში 1975 წლიდან 1979 წლის ჩათვლით გაცდენებით, მოცდენებით და ადმინისტრაციის ნებართვით გაცემული შვედურლებებით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები 1,4-ჯერ შემცირდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1979 წელს 1978 წელთან შედარებით ეს შემცირება უმნიშვნელოა. თუ 1978 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში ერთ მუშაზე სამუშაო დროის დანაკარგები საშუალოდ შეადგენდა 3,64 დღეს, 1979 წელს იგი შეადგენდა 3 დღეს.

<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1980 წლის 12 იანვარი.

<sup>2</sup> სკკპ X XV ყრილობის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976 წ., გვ. 60—61.

შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მიზეზებით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში 1,6-ჯერ აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს<sup>3</sup>.

სამუშაო დროის დანაკარგების დიდი წილი მოდის ადმინისტრაციის ნებართვით მუშების სამუშაოზე გამოუცხადებლობით გამოწვეულ დანაკარგებზე.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობა — ეს არის გაცდენილი კაცდღეები, რომლებიც გამოწვეულია: მუშაკისათვის მოკლევადიანი უხელფასო შვებულებების მიცემით, დაქორწინების, ბავშვის დაბადების ან სხვა ოჯახური პირობების გამო<sup>4</sup>.

სამართლებრივი თვალსაზრისით, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობა არ შეიძლება მივაკუთვნოთ სამუშაო დროის დანაკარგებს, ვინაიდან უხელფასო მოკლევადიანი შვებულება გათვალისწინებული და დაშვებულია საბჭოთა შრომის კანონმდებლობით.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 74-ე მუხლით (საფუძვლების 35-ე მუხლი), ოჯახური პირობების და სხვა საპატიო მიზეზების გამო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელის ნებართვით მუშას ან მოსამსახურეს მისი განცხადებით შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება, რომელიც ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით).

მაგრამ თუ არსებითად ჩავწვდებით საკითხს, დავინახავთ, რომ ადმინისტრაციის ამ ნებართვით ხშირად იფარება სამუშაო დროის დანაკარგები. მოკლევადიანი უხელფასო შვებულებების მიღმა ხშირად იმალება მთელდღიური მოცდენები, გაცდენები და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევები.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით, რესპუბლიკის მრეწველობაში, 1980 წლის მონაცემებით, ადმინისტრაციის ნებართვით მიცემული შვებულებებით გამოწვეულ სამუშაო დროის დანაკარგებს მეორე ადგილი უჭირავს სამუშაო დროის მთელდღიურ დანაკარგებს (გამოწვეულს ავადმყოფობით, გაცდენებით, მოცდენებით, შვებულებებით) შორის, აღემატება მთელდღიური მოცდენებით და გაცდენებით გამოწვეულ დანაკარგებს და შეადგენს 8,9 პროცენტს. მათ სამუშაო დროის მაქსიმალურად შესაძლო ფონდის 0,5 პროცენტი შეადგინეს.

ადმინისტრაციის ნებართვით გაცემული შვებულებებით გამოწვეულმა სამუშაო დროის დანაკარგებმა რესპუბლიკის მრეწველობაში ერთ მუშაზე საშუალოდ 1979 წელს 1,2 კაცდღე შეადგინა, ხოლო 1980 წელს 1,1 კაცდღე.

ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობა უმეტესად გაუმართლებელი მიზეზებით არის გამოწვეული. არცთუ ისე იშვიათად საწარმოს ურიტმო მუშაობის გამო ადმინისტრაცია თვითონ სთავაზობს მუშას ახლოს უხელფასო შვებულება (უფრო ხშირად თვის პირველ დეკადაში). ამასთანავე, „შესაფერისა“ სურათის შენარჩუნებისათვის ასეთ შვებულებებს მუშებს არცთუ იშვიათად აძლევენ წერილობითი ვანცხადების გარეშე, არ აფორმებენ შვებულებას ბრძანებით.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მასალები.

<sup>4</sup> М. Г. Назаров, Н. С. Партенко, В. Н. Румянцев — Статистика труда. М. «Финансы и статистика», 1981, с. 56.

ზოგიერთ საწარმოში მოწყობილი გამოკვლევების მიხედვით, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევები უფრო ხშირია მენარდე მუშებს შორის, ვიდრე დროებრივ მუშებს შორის, თუმცა ამ მუშების შემადგენლობა და რიცხვი თითქმის თანაბარია. საქმე ის არის, რომ მენარდეს უნდა აუნაზღაურდეს მოცდენის დრო და რამდენადაც მოცდენები საკმაოდ ხშირია, ადმინისტრაციამ გამოძებნა მათი ლიკვიდაციის იოლი გზა: სამუშაოს უქონლობისას მუშას ეძლევა თავისუფალი დრო. დროებრივ მუშებთან ეს პრობლემა უფრო იოლად წყდება: მიუხედავად იმისა, დატვირთულია თუ ცდება მუშა, მას აუნაზღაურდება თითოეული გამოსვლა. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს რომ ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევები განპირობებულია შრომის ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებითაც<sup>5</sup>.

სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 13 დეკემბრის დადგენილებამ „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“ განსაზღვრა, რომ უხელფასო შვებულებები მიეცემა მუშებსა და მოსამსახურეებს მხოლოდ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელის ან საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელის ნებართვით და ფორმდება შესაბამისი ბრძანებით (განკარგულებით).

ამიტომ საკავშირო პროფსაბჭოს სამდენომ და სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა თავის 1980 წლის 3 ოქტომბრის განმარტებაში მიუთითეს, რომ უხელფასო შვებულება უნდა გაფორმდეს გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოო ერთეულის ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით), ამასთან სავალდებულოა ბრძანებაში (განკარგულებაში) მითითებული იყოს შვებულების ვადა და მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია მისი მიცემის აუცილებლობა. განმარტებაში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ ადმინისტრაცია მოვალეა უზრუნველყოს უხელფასო შვებულების გაცემის ზუსტი აღრიცხვა და შეიტანოს შესაბამისი ჩანაწერები მუშაკის პირად ბარათში.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების პრაქტიკა მოწმობს, რომ ადმინისტრაციის ნებართვით გაცემულა შვებულებებით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგების ზრდას ხელს უწყობს უკონტროლობა თვით ადმინისტრაციის მხრივ.

მაგალითად, რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო კომიტეტის გამოკვლევით თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „ვანთიადში“ 1979 წელს 1978 წელთან შედარებით ადმინისტრაციული შვებულებების რაოდენობის ზრდის (ერთ მუშაზე გაანგარიშებით 1978 წელს შეადგენდა 1,4 დღეს, ხოლო 1979 წელს 1,8 დღეს) მიზეზი იყო ადმინისტრაციის მხრივ უკონტროლობა. 1980 წლის დამდევს გაერთიანებაში დაწესდა კონტროლი მოკლევადიანი უხელფასო შვებულებების კანონიერებისადმი. ისინი გაიცემოდა მხოლოდ მუშაკის წერილობითი განცხადებით შესაბამისი მიზეზების აღნიშვნით, საამქროს ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის შუამდგომლობით. და სა-

<sup>5</sup> Ю. Волков, В. Гудков, Ф. Рейдерман — «Крепить дисциплину труда — НОТ и дисциплина труда — Свердловск, 1968, с. 7.

თანადო ბრძანების გაფორმებით. ამის შედეგად, 1980 წლის პირველ კვარტალში 1979 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის რიცხვი 186 კაცდღით შემცირდა.

ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოებში მოკლევადიანი, უხელფასო შევებულებების გაცემის პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბევრგან უხეშად ირღვევა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები. კერძოდ, ასეთი შევებულება მუშაკებს ხშირად ეძლევათ ხანგრძლივი ვადით. ზოგჯერ მათი ხანგრძლივობა აღემატება ყოველწლიური კუთვნილი შევებულების ხანგრძლივობას.

მაგალითად, ქ. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ დირექტორის 1980 წლის 5 მაისის № 42-პ ბრძანებაში აღნიშნულია: „ფეოდოროვა ნაზი ლაზარეს ასული, ფაბრიკის კურიერს ა/წ 8.05-დან 26.05-ს ჩათვლით მიეცეს 1979-80 წ. წ. პერიოდის კუთვნილი შევებულება 15 სამუშაო დღით, ხოლო ა/წ 27.05-დან 22.06-ს ჩათვლით მიეცეს უფასო შევებულება, 22 სამუშაო დღით“ (ბრძანების ტექსტის სტილი დაცულია). გარდა იმისა, რომ ნ. ფეოდოროვას უხელფასო შევებულება მეტია კუთვნილ შევებულებაზე, ბრძანებაში არ არის მითითებული უხელფასო შევებულების გაცემის მიზეზი.

ქ. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის 1979 წლის 2 მარტის № 14 ბრძანებით მეამპრეტურე ე. ო. ჩერტკოვეას მიეცა უხელფასო შევებულება იმავე წლის 1 მარტიდან 30 მარტამდე, 1980 წლის 3 ივლისის № კ 46 ბრძანებით ცვლის ბრიგადირს ც. ვ. ნადირაძეს მიეცა უხელფასო შევებულება 1980 წლის 3 ივლისიდან 19 აგვისტომდე და ა. შ.

ასეთი დარღვევები უხელფასო შევებულებების გაცემის პრაქტიკაში გამოწვეულია იმითაც, რომ კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს უხელფასო შევებულების ხანგრძლივობას.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორი არ არის, როცა „მოკლევადიან“ უხელფასო შევებულებებს პრაქტიკაში ზოგჯერ განსაზღვრავენ „არა უმეტეს ყოველწლიური შევებულების ხანგრძლივობისა“, „არა უმეტეს ორი კვირისა“, „არა უმეტეს სამი-ხუთი დღისა“ და ა. შ. ასეთი შევებულების დღეების რიცხვი დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: 1. შევებულების მოთხოვნის მიზეზი უნდა იყოს საპატიო და 2. საწარმოს უნდა შეეძლოს იოლად გავიდეს მუშაკის გარეშე განსაზღვრული დროის განმავლობაში<sup>6</sup>.

ჩვენი აზრით, დაუშვებელია „მოკლევადიანი“ შევებულება აღემატებოდეს კანონით დადგენილ ყოველწლიური შევებულების ხანგრძლივობას, რომლის მინიმალური ხანგრძლივობა შრომის კანონმდებლობის მიხედვით 15 სამუშაო დღეა (სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 33-ე მუხლი).

ამიტომ მოკლევადიანი უხელფასო შევებულების ხანგრძლივობა არ შეიძ-

<sup>6</sup> А. В. Ярхо — Отпуска рабочих и служащих (пособие для профактива), М., Профиздат, 1982, с. 128.

ლება აღემატებოდეს ორ კვირას. ეს მოსაზრება გაბატონებულია თანამედროვე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში<sup>7</sup>.

პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც მუშაკს წლის განმავლობაში არაერთხელ აძლევენ უხელფასო შვებულებას.

მაგალითად, ქ. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის 1980 წლის 11 მარტის №-კ 18 ბრძანებით ცვლის ოსტატს ა. დ. პიტოევას მიეცა უხელფასო შვებულება 15 სამუშაო დღით, ამავე წლის 21 აპრილს №-კ 28 ბრძანებით 10 სამუშაო დღით. ბრძანებებში არ არის მითითებული შვებულების მიცემის მიზეზი. ამასთანავე ა. პიტოევას ადრე 1980 წლის 31 იანვრის №-კ 10 ბრძანებით 1980 წლის 25 იანვრიდან 4 თებერვლამდე მიცემული ჰქონდა უხელფასო შვებულება ავადმყოფობის გამო.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი, წლის განმავლობაში რამდენჯერ შეიძლება მუშაკს მიეცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება და რა ხანგრძლივობით.

ჩვენი აზრით, წლის განმავლობაში მუშაკს აღნიშნული სახის შვებულება შეიძლება მიეცეს საჭიროების მიხედვით (რაოდენობრივად არ არის შეზღუდული), მაგრამ მისი საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თითოეული მოკლევადიანი უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3-5 დღით, თუკი მუშაკს ჯერ არ უსარგებლია ყოველწლიური კუთვნილი შვებულებით. თუ საჭირო გახდა, მას შეუძლია უხელფასო შვებულების დამთავრების შემდეგ ისარგებლოს კუთვნილი შვებულების დღეებით.

მოკლევადიანი უხელფასო შვებულებების მიცემის პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ჩვენის აზრით, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 74-ე მუხლში (საფუძვლების 35-ე მუხლი), საჭიროა შეტანილ იქნეს დებულება იმის თაობაზე, რომ მოკლევადიანი უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა წლის განმავლობაში არ შეიძლება აღემატებოდეს ორ კვირას.

ხშირად საწარმოთა ხელმძღვანელები ბრძანებაში არ მითითებენ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია უხელფასო შვებულების მიცემის აუცილებლობა.

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქ. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ადმინისტრაციამ 1980 წელს 26 მუშაკის მიმართ გამოცემული ბრძანებებიდან მხოლოდ 4 მუშაკის მიმართ მითითა უხელფასო შვებულების მიცემის მიზეზი.

1980 წლის 19 თებერვლის № -კ 13 ბრძანებაში აღნიშნულია: „მიეცეს უხელფასო შვებულება — ვაშლომიძე მარინე თომას ას, მქსოველს 2 დღე

<sup>7</sup> Коршунов Ю. Н., Лившиц Р. З., Румянцева М. С. — Советское законодательство о труде: справочник, 3-е изд. М., 1980, с. 191, Комментарий к законодательству о труде, под ред. В. И. Теребилова, М., 1981, с. 136, Б. К. Бежиев (совместно Н. Г. Александровым) — Рабочее время и время отдыха, в кн.: Советское трудовое право, под ред. А. Д. Зайкина, М., 1979, гл. IX, с. 297, Т. В. Иванкина. Рабочее время и время отдыха, в кн.: Советское трудовое право — под ред. А. С. Паткова — М., 1976, гл. VIII, с. 297.



ა-წლის 15.II-დან 18.II-მდე“. ამავე წლის 10 ივნისის №-კ — 40 ბრძანებაში აღნიშნულია: „მიეცეს უხელფასო შვებულება — ძებნაიური ბეჟან მიხეილის ძეს კოჭების მზიდავს მ/წლის 06.VI-დან 21.VI-მდე“ და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“.

შრომის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მოკლევადიანი უხელფასო შვებულების მიცემის მიზეზების წრეს. კანონში ზოგადად მითითებულია, რომ ასეთი შვებულება მუშაკს მიეცემა ოჯახური პირობების და სხვა საპატიო მიზეზების გამო. ასეთად ჩაითვლება მაგალითად, დაქორწინება, ახლობელი ადამიანების გარდაცვალება და ა. შ. საკითხს იმის შესახებ, ჩაითვლება თუ არა მუშაკის თხოვნა, საპატიოდ, წყვეტს ხელმძღვანელი, რომელსაც უფლება აქვს მისცეს პირს ასეთი შვებულება.

პრაქტიკა მოწმობს, რომ მუშათა კადრების დიდი დენადობის პირობებში, საწარმოთა ხელმძღვანელები იძულებული არიან შეეგუონ გაცდენებს თუ სამუშაოს თვითნებურად მიტოვების ფაქტებს, ამასთან ასეთ მუშებს უწვდიან „დახმარების ხელს“, არ „უფუჭებენ“ მათ შრომითს ბიოგრაფიას და შრომის წიგნაკს, აღრინდელი რიცხვით უფორმებენ უხელფასო ან კუთვნილ შვებულებას.

ასეთ ფაქტებს ხშირად ვაწყდებით ქ. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანში“. მაგალითად, ფაბრიკის დირექტორის 1979 წლის 9 იანვრის № 20-პ ბრძანებაში აღნიშნულია: „ცალხელაშვილი ელისო ვლადიმერის ასულს მესამე შემკერავი საამქროს მუშას 1978 წლის 30.XII-ს გაცდენილი დღე ჩაეთვალოს უფასო შვებულებაში“. 1979 წლის 8 მაისის № 128-პ ბრძანებაში აღნიშნულია § 4 — „ბუნატიანი ნინა მირზას ას. მესამე შემკ. საამქროს მუშას ა/წ 19.IV-დან 25.IV-მდე გაცდენილი დღეები ჩაეთვალოს უფასო შვებულებაში“ და ა. შ. ხშირად აქ ბრძანებები უხელფასო შვებულების მიცემის შესახებ ფორმდება დავიანებით.

მაგალითად, ქ. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის №-კ 13 ბრძანებით, მქსოველს მარინე თომას ასულ ვაშალომიძეს მიეცა უხელფასო შვებულება 2 სამუშაო დღით, 1980 წლის 15 თებერვლიდან 18 თებერვლამდე, ბრძანება გაფორმებულია 1980 წლის 19 თებერვალს, ე. ი. შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ. ბრძანებაში მითითებული არ არის შვებულების მიცემის მიზეზი. № 33 ბრძანებით მქსოველს ნინა გრიგოლის ას. მეგრელიშვილს მიეცა უხელფასო შვებულება 1980 წლის 18 აპრილიდან 19 ივნისამდე. ბრძანება გაფორმებულია 1980 წლის 8 მაისს. მასში არ არის მითითებული უხელფასო შვებულების მიცემის მიზეზი.

შრომის დისციპლინის დარღვევისადმი ამგვარი დამოკიდებულება თუმცა ქმნის კადრების სტაბილობის მოხვენებათობას, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს შრომითი კოლექტივის მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებაზე.

ადმინისტრაციის ნებართვით გაცემული შვებულებებით გამოწვეულ სამუშაო დროის დანაკარგებს თავისი სოციალური წანამძღვრებიც აქვს. მათი უმრავლესობა გამოწვეულია პირადი ან საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარების აუცილებლობით ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომელთა მუშაობის დროც ხშირად არ ემთხვევა კოლექტივის წევრების მუშაობის დროს.



# დისკუსია, პოლემიკა, რეპლიკა

## ღაპის საფუძველი არის

დიდი დრო არ არის, რაც ფართო მკითხველისათვის მისაწვდომი ფორმით გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება მეცნიერების შესახებ. ამ მოხსენების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი სულისკვეთებით უნდა მოხდეს არა მარტო მეცნიერების გლობალური განვითარება, არამედ ყოველი კონკრეტული ნაშრომის შეფასებაც, მეცნიერების სადისკუსიო პრობლემებისადმი მეცნიერთა დამოკიდებულების ანალიზიც. ეს ეხება საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებასაც, სადაც არაერთი სადისკუსიო პრობლემაა, ხოლო დისკუსია, თუ ის მეცნიერების განვითარების ინტერესებით არის წარმართული, „მეცნიერული პროგრესის კატალიზატორია“.<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ბრალის პრობლემისადმი მიძღვნილი დისკუსია, რომელიც ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე მიმდინარეობს. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ა. მიქაძის სადისკუსიო ნაშრომს<sup>2</sup> პირველი გამოეხმაურა ო. გამყრელიძე.<sup>3</sup> ჩვენ არ შევეუდგებით ამ წერილების დაწვრილებით განხილვას. შევეხებით მხოლოდ ორ ძირითად საკითხს — რამდენად დემოკრატიულად, რამდენად მეცნიერების ინტერესებისათვის არის წარმართული ეს დისკუსია და რამდენად აკმაყოფილებს იგი მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს?

დავიწყით პირველი საკითხის განხილვით. დისკუსიის მონაწილენი შემოიფარგლნენ ტრადიციული თვალსაზრისების ანალიზით და რატომღაც არ შეეხნენ თვალსაზრისს, რომელიც ტრადიციული თვალსაზრისების საპირისპიროა. ასეთ პირობებში არ შეიძლება ითქვას, რომ დისკუსია ნორმალურად წარიმართა. როდესაც მეცნიერებაში წამოყენებულია თეორია, რომელიც ტრადიციული თვალსაზრისის საპირისპიროა, დისკუსიის მონაწილენი ვალდებული არიან გააანალიზონ იგი, მიიღონ, ან დასაბუთებულად უარყონ. ამას მოითხოვდა არა მარტო დისკუსიის ეთიკა, არამედ მეცნიერების ინტერესები, მეცნიერების დემოკრატიზმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მეცნიერება ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული დარგია. ამიტომ ნამდვილ მეცნიერ ლიდერს კარგად უნდა ესმოდეს, ბოლომდე უნდა ჰქონდეს შეგნებულობა, რომ, იტოვებს რა უფლებას საბოლოოდ გადაწყვიტოს ესა თუ ის სამეცნიერო პრობლემა დასკვნით ეტაპზე, მანამდე, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველაფერი უნდა იდონოს, რათა რაც შეიძლება ფართოდ, რაც შეიძლება

<sup>1</sup> М. Г. Ярошевский, Дискуссия как форма научного общения, «Вопросы философии», 1978, № 3, стр. 98.  
<sup>2</sup> ა. მიქაძე, არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, 1981, № 6  
<sup>3</sup> ო. გამყრელიძე, არის თუ არა დავის საფუძველი, „საბჭოთა სამართალი“, 1982, № 3.

დემოკრატიულად განიხილონ ყოველივე, რაც დაკავშირებულია მეცნიერების შემდგომ განვითარებასთან“.<sup>4</sup>

ეს მოთხოვნა რიგით მეცნიერ მუშაკებზეც უნდა გავრცელდეს. არაფერ არ უნდა მისცეს თავის თავს ახალი, თუნდაც სადავო, მეცნიერული აზრის იგნორირების ან დევნის უფლება. „მაგრამ სამწუხაროდ, დღესაც თავს იჩენს ისეთი ანომალური მოვლენა, როგორც არის მონოპოლიზმი მეცნიერებაში, რაც არა მარტო აფერხებს მეცნიერების განვითარებას, არამედ რყვნის კიდევ სამეცნიერო კოლექტივის მერყევ ნაწილს, სუსტი ნებისყოფის მუშაკებს უბიძგებს შემრიგებლობისაკენ, მლიქვნელობისა და მამებლობისაკენ, მორალურად ასახიჩრებს ადამიანებს“.<sup>5</sup>

მეცნიერება საზოგადოების კუთვნილებაა და არა პირადი განდიდების უზრუნველყოფის საშუალება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ა. მიქაძის ნაშრომი. უდავოდ მისასაღმებელია ავტორის ცდა დაინახოს მეცნიერებაში სიძნელე, არ დაეთანხმოს ცნობილ მეცნიერებს და მაძიებლური სტუდიისკვეთებით გადაჭრას პრობლემა. ამგვარი მიდგომის გარეშე მეცნიერების განვითარება შეუძლებელია.

მაგრამ იმის გამო, რომ ავტორი მხოლოდ ტრადიციული თვალსაზრისების ანალიზით შემოიფარგლა, იგი წინააღმდეგობაში მოექცა. ამ თვალსაზრისით ო. გამყრელიძე ნაწილობრივ მაინც მართალია: განუდგე ტრადიციულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დანაშაული ნებისმიერი ქცევაა და ამავე დროს საბოლოოდ თითქმის იგივე დასკვნა გამოვიდეს, ცხადია, წინააღმდეგობაა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ა. მიქაძეს დავის საფუძველი თითქოს არ ჰქონდა, როგორც ამას ო. გამყრელიძე ამტკიცებს. ა. მიქაძეს დავის საფუძველი უეჭველად ჰქონდა. ან ვინ აკრძალა ნებისმიერი ტრადიციული თვალსაზრისის კრიტიკა? ნუთუ ბრალის შესახებ ტრადიციულ თვალსაზრისში ეჭვის შეტანა არ შეიძლება? ნუთუ მეცნიერებაში შესაძლებელია უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება? რატომ უგულვებელყოფს ო. გამყრელიძე იმ გარემოებას, რომ ბ. ხორნაბუჯელის თვალსაზრისის მიხედვით გაუმართლებელია შემდეგი დებულება: „...პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე მიზნად ისახავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას და მამასადამე, ეს შედეგი მისი სურვილის საგანს შეადგენს“.<sup>6</sup>

საქმიანი, ობიექტური, პირუთვნელი დისკუსია, როგორც ითქვა, ამ ახალი თვალსაზრისის ანალიზსაც მოითხოვდა. თუ ყოველ მეცნიერულ დისკუსიას მეცნიერების განვითარების ინტერესები უნდა წარმართავდეს, იქნებ, მართლაც სწორია თვალსაზრისი, რომლის თანახმად, დანაშაული ქცევა კი არ არის, როგორც ეს მიღებულია საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში, არამედ ქცევის განხორციელების ხერხია.<sup>7</sup> აკი ნათქვამია, რომ პირდაპირი გან-

4. ე. ა. შვეარდნაძე, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება, გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წლის 5 ივნისი, გვ. 4-5

5. იქვე, გვ. 5

6. ო. გამყრელიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 26

7. Бежан Хорнабуджели, Психологическая сторона вины, «Ганатлеба», Тб., 1981, стр. 6, 27, 34.

ზრახვისათვის დამახასიათებელია, როგორც წესი; არა საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის სურვილი, არამედ ამ შედეგის დადგომის აუცილებლად მიჩნევა, ხოლო ევენტუალური განზრახვისათვის — სავარაუდო გათვალისწინება.<sup>8</sup>

თვითკრიტიკის სახით აღვნიშნავთ, რომ ბ. ხორნაბუჯელმა ბრალის და დანაშაულებრივიქცევის შესახებ ჩვენი თვალსაზრისიც გააკრიტიკა, მაგრამ ნაშრომს ჩვენ მაინც შემდგომ მაღალი შეფასება მიეცეით.

ჩვენ თავს ნებას არ მივცემთ ვამტკიცოთ, რომ ეს ახალი თვალსაზრისი საბოლოოა, ხოლო ყველა სხვა მისი საწინააღმდეგო შეხედულება — „მეტაფიზიკური“ (როგორც ამას, მაგალითად, ა. მიქაძე ამტკიცებს თავისი თვალსაზრისის დასაცავად).<sup>9</sup> ამგვარი კატეგორიული მსჯელობა დისკუსიის ბუნებას ეწინააღმდეგება. ჩვენ დისკუსიაში ვრთავთ ახალ თვალსაზრისს, რომ დანაშაული, როგორც ნებელობითი ქცევის განხორციელების ხერხი, განხილულა უნდა იქნეს ერთი კონკრეტული ფსიქოლოგიური ქცევის ფარგლებში. ქცევა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მოტივისა და მიზნის გარეშე უაზროა. ქცევის შეცვლა მისი განხორციელების ხერხის შეცვლაზე, ე. ი. თვით დანაშაულის ხასიათზე (იქნება ეს თაღლითობა, მკვლელობა და ა. შ.) არ არის დამოკიდებული. მთავარია ის, რომ ეს ხერხი ემსახურებოდეს მოცემული ქცევის ფარგლებში იმ მიზანს, რომლის გულისთვისაც მიღებულია გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კონკრეტული ქცევის მოტივი, მიზანი, ხერხი და საშუალება.<sup>10</sup>

იმისათვის, რომ საკითხის არსი სწორად იქნეს გაგებული, თავს ნებას მივცემთ მოკლედ მაინც აღვნიშნოთ შემდეგი: დ. უზნაძესთან დავას არ იწვევს „ქცევისა“ და „მოქმედების“ განსხვავება. ერთი და იგივე მოქმედებით შესაძლებელია არაერთი ქცევის განხორციელება. მაგალითად, როდესაც ადამიანი მეორე ადამიანს თოფს უმიზნებს, ეს შეიძლება ხდებოდეს მკვლელობის ან სხეულის დაზიანების მიზნით, მისი დაშინების მიზნით, თოფის „ლამაზად შემართვისა“ ან „სისწრაფის“ დადასტურების მიზნით და ა. შ. ამ შემთხვევაში მოქმედება — თოფის დამიზნება — ერთია, ხოლო იმდენია ქცევა, რამდენიც მოტივი და მიზანია ამ მოქმედების აღმძვრელი. ფსიქოლოგიურად ერთი ქცევაა მკვლელობის მიზნით თოფის დამიზნება, მეორეა იგივე მოქმედების ჩადენა დაშინების მიზნით და ა. შ. თვით ქურდობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ანგარების, ისე ახლობლისადმი მატერიალური დახმარების მოტივით.<sup>11</sup> ქურდობა, როგორც სხვისი ნივთის (ქონების) ფარული გატაცება, ორივე შემთხვევაში ერთია (როგორც მოქმედება), მაგრამ სხვადასხვაა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მაშასადამე, „ქურდობა, როგორც სხვისი ქონების ფარული გატაცება“, არის მოქმედება, რომელიც შეიძლება სხვადასხვა მოტივს, მაშასადამე, სხვადასხვა ქცევას გამოხატავდეს. ამის გამო „დანაშაულისა“ და „ქცევის“ გაიგივება დიდ უხერხულობას იწვევს. „დანაშაული“, რომ „ქცევა“ იყოს, ფსიქოლოგიის საგანი იქნებოდა. მეორე მხრივ, დანაშაული რომ ქცევა იყოს, ყოველ

8 ბ. ხორნაბუჯელის დასახელებული ნაშრომი, გვ. 32-34, 40-60.

9. ა. მიქაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 15

10. ბ. ხორნაბუჯელის დასახელებული ნაშრომი, გვ. 68.

11 იქვე, გვ. 6.

კონკრეტულ დანაშაულს თავისი საკუთარი მოტივი ექნებოდა. მაგრამ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სპეციალისტებს კარგად მოეხსენებათ, რომ პრაქტიკაში ანგარების მოტივით ხორციელდება ხოლმე ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, სპეკულაცია, მექრთამეობა, მითვისება-გაფლანგვა, ყალბი ფულის დამზადება, ზომა-წონაში მოტყუება, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ზოგჯერ ჯანმრთეობაც ა. შ. ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ ჩამოთვლილი დანაშაულობანი ქცევები კი არ არის, არმედ ფსიქოლოგიური ქცევის (ანგარების მოტივის) განხორციელების ხერხებია?

გარდა ამისა, საექვოა მტკიცება, რომ „პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე მიზნად ისახავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას და, მაშასადამე, ეს შედეგი მისი სურვილის საგანს შეადგენს“.<sup>12</sup> ზემოთ ჩამოთვლილი ანგარებითი დანაშაულობანი პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, მაგრამ საექვოა, რომ ამ ტიპის დამნაშავენი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის სურვილით მოქმედებდნენ. დამნაშავეებს სურთ ანგარების დაკმაყოფილება. ქცევას ანგარების მოტივი აღძრავს. სასურველი სწორედ მატერიალური გამორჩენაა. დამნაშავეებს შეგნებული აქვთ, რომ მათი მოქმედებით ზიანი ადგება საზოგადოებას, მაგრამ მათი სურვილი ეს რომ იყოს, მაშინ ისინი ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური მტრები იქნებოდნენ. ნუთუ ეს დასკვნა პოლიტიკურად არ არის საშიში? ნუთუ სერიოზულად შეიძლება იმის მტკიცება, რომ დედა, რომელიც შვილის დანაშაულს ფარავს, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის ჩაშლის სურვილით მოქმედებს?

ერთი სიტყვით, დავის საფუძველი არის და საჭირო იყო არა მხოლოდ ტრადიციული თვალსაზრისისაკენ დაბრუნება, არამედ პრობლემის გადაჭრის სხვა, შესაძლებელი გზის მოსიზგვა. მით უმეტეს, რომ ა. მიქაძის სტატიაში დამოუკიდებელი ნებელობითი ქცევის სტატუსით მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული ხასიათდება, ხოლო ევენტუალური განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულობანი დამოუკიდებელ ფსიქოლოგიურ ქცევებს იმდენად არ წარმოადგენს, რამდენადაც ისინი დამოუკიდებლად არ აღიძვრიან; ისინი აღიძვრიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქცევა ძირითადი შედეგის დადგომის სურვილით აღიძრება.<sup>13</sup> მაშასადამე, ევენტუალური განზრახვა და გაუფრთხილებლობა ფსიქოლოგიურად ქცევებს არ წარმოადგენენ. მაგრამ მაშინ რას წარმოადგენენ ისინი? ან კი როგორ შეიძლება პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული ნებისმიერი ქცევა იყოს, თუ ერთი და იგივე მოტივით მრავალის ხვადასხვა დანაშაული ხორციელდება?

ო. გამყრელიძე ა. მიქაძეს უმტკიცებს, რომ ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ბუნება გადაწყვეტილების მიღების აქტშია საძიებელი.<sup>14</sup> მაგრამ როგორაა შესაძლებელი „ევენტუალური“, „არაპირდაპირი“ გადაწყვეტილება?<sup>15</sup> ნებისმიერი ქცევა მართლაც გადაწყვეტილების აქტში ჩანს, მაგრამ განა საექვო არ არის „ევენტუალური“, „არაპირდაპირი“ ნებელობითი ქცევა?

ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ საექვო გარემოებაზე მივუთითეთ, მაგრამ ესეც კმარა იმისათვის, რომ დამტკიცდეს: დავის საფუძველი იყო და არის. ამ თვალ-

12. ო. გამყრელიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 26

13. ა. მიქაძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 14

14. ო. გამყრელიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

15. ბ. ხორნაბუჯელის დასახელებული ნაშრომი, გვ. 30-31, 40.

საზრისით ო. გამყრელიძეს ვერ დავეთანხმებით. ვერ დავეთანხმებით, ვერც ა. მიქაძეს, როდესაც მან, ახალი თვალსაზრისი ცოველგვარი ანალიზის გარეშე, „მეტაფიზიკურ“ თვალსაზრისებში გააერთიანა. ეს როგორც ითქვა, დისკუსიის ერთ-ერთ ნაკლად მიგვაჩნია.

მოკლედ შევეხებით აღნიშნული დისკუსიის მეთოდოლოგიურ მხარეს. ამ თვალსაზრისით თავს ნებას მივცემთ უფრო კატეგორიულად ვიმსჯელოთ, რადგან საქმე მეცნიერების რომელიმე სადავო პრობლემას კი არ ეხება, არამედ მის საფუძველს, მის ყოფნა-არყოფნას, ნააზრევის მეთოდოლოგიურ გამართულობას, რომელიც იდეოლოგიურ პრობლემასაც უკავშირდება. მით უმეტეს, რომ დისკუსიის მონაწილენი ერთ ფრიად საეჭვო პუნქტში თანხმდებიან. სახელდობრ, ო. გამყრელიძეს მეთოდოლოგიურად სწორად მიაჩნია ა. მიქაძის მტკიცება, რომ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, საბოლოოდ მაინც, არ შეუძლია მოგვეცეს მოქმედების ისეთი მზამზარეული ცნება, რომელიც პირდაპირ გამოიყენებოდეს სამართალში და ამიტომ კრიმინალისტი თავისუფალი როდია დანაშაულის ფსიქოლოგიური სტრუქტურის შესწავლისაგან. ო. გამყრელიძე, თავის მხრივ, აკრიტიკებს თვალსაზრისს, რომლის თანახმად „ნორმატივისტია ის, ვინც ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფსიქოლოგთა გამოკვლევებით და თავისი სპეციფიკის მიხედვით აყალიბებს ზოგიერთ ცნებას“.<sup>16</sup> მაშასადამე, ო. გამყრელიძის აზრით, „სისხლის სამართალი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფსიქოლოგთა გამოკვლევებით და თავისი სპეციფიკის მიხედვით აყალიბებს ზოგიერთ ცნებას“.

ჯერ ერთი, ვის ედავება ავტორი? რატომ არ უთითებს წყაროს? საქმიანი, ობიექტური განსჯა „მიზარვით“ კრიტიკას კი არა, ღია, საჯარო კრიტიკას მოითხოვდა; მეორეც, რომელ ცნებას ქმნის სისხლის სამართალი თავისი სპეციფიკის მიხედვით? ფსიქოლოგიურ ცნებას ზომ არა? დიახ, ამ კითხვას ო. გამყრელიძე დადებითად უპასუხებს. სანიმუშოდ იმისა, თუ როგორ ქმნის სისხლის სამართალი თავისი სპეციფიკის მიხედვით ფსიქოლოგიურ ცნებებს, ავტორი ასახელებს მიზეზობრიობის ფილოსოფიურ ცნებას, რომლის საფუძველზე, თურმე, „სამართლისმცოდნე შეიმუშავებს მიზეზობრიობის ისეთ ცნებას, რომელიც გამოსადეგია სამართლის მიზნებისათვის“. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს მე-19 საუკუნის გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემუშავებული მიზეზობრიობის „ეკვივალენტური“ და „ადეკვატური“ თეორიები. მოკლედ ჩერდება რა მიზეზობრიობაზე საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, ავტორი ასკვნის: „სისხლის სამართლის მეცნიერება ფილოსოფიის მიერ მოწოდებულ მასალას თავისებურად გადაამუშავებს, საკუთარ ქურაში გადაადნობს და შექმნის მიზეზობრიობის ისეთ ცნებას, რომელიც გამოსადეგია სისხლის სამართლის პრაქტიკული მიზნებისათვის“.<sup>17</sup>

ამრიგად, ო. გამყრელიძის აზრით, სისხლის სამართლის მეცნიერება არ კმაყოფილდება მხოლოდ ფსიქოლოგთა ან მხოლოდ ფილოსოფოსთა გამოკვლევებით და თავისი სპეციფიკის მიხედვით ქმნის ზოგიერთ ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ცნებას. განა ეს შესაძლებელია? ცნობილი ფაქტია, რომ ყოველი მეცნიერება სპეციფიკურ ცნებათა სისტემაა. ფილოსოფიაში განმსაზღვრელია „მატერიის“, „ცნობიერების“, „მიზეზობრიობის“ და ა. შ. კატეგორიები;

16 ო. გამყრელიძის დასახელებული ნაშრომი. გვ. 26.

17 ო. გამყრელიძის დასახელებული ნაშრომი. გვ. 27.

ფსიქოლოგიაში — „მოტივის“, „მიზნის“, „ქცევის“, „ნებისყოფის“, „მეხსიერების“ და ა. შ. ცნებები; სისხლის სამართლის მეცნიერებაში — „დანაშაულის“, „სასჯელის“, „მცდელობის“, „თანამონაწილეობის“ და ა. შ. ცნებები. თუ სისხლის სამართლის მეცნიერება თავისი სპეციფიკის მიხედვით ქმნის ზოგიერთ ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ცნებას, მაშინ ნუთუ ლოგიკური არ არის დასკვნა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება ფსიქოლოგიის ან ფილოსოფიის კერძო ნაწილია? ფსიქოლოგიურ ცნებას ქმნის ფსიქოლოგია, მაგრამ, თუ ზოგიერთ ფსიქოლოგიურ ცნებას თავისი სპეციფიკის მიხედვით ქმნის სისხლის სამართლის მეცნიერებაც, მაშინ, ჯერ ერთი, უნდა დავუშვათ ყოველი ფსიქოლოგიური ცნების გაორება (ერთი ფსიქოლოგიაში, ხოლო მეორე — სისხლის სამართლის მეცნიერებაში), რაც დუალიზმია, მეორეც, სისხლის სამართლის მეცნიერება სპეციფიკური ფსიქოლოგია აღმოჩნდება. ეს კი ფსიქოლოგიზმია, რომელიც ნორმატივიზმში გადადის (ფსიქოლოგიური ცნებების ნორმატიული კონსტიტირების თეორია). თავს ნებას მიეცემთ განვაცხადოთ, რომ ო. გამყრელიძემ დაუსახელებლად გააკრიტიკა ერთი ჩვენი ნაშრომიც. ჩვენ შევეცადეთ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დაგვემტკიცებინა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება მოტივის ფსიქოლოგიურ ცნებას კი არ ქმნის, არამედ იყენებს მას თავისი ამოცანების მიხედვით. ო. გამყრელიძე კი, როგორც ვხედავთ, აკრიტიკებს ამ აზრს და გვიმტკიცებს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ, მაგალითად, მოტივის საკუთარი ცნება უნდა ჩამოაყალიბოს. ნუთუ ეს კელზენი-სეული ნორმატივიზმი არ არის?“<sup>18</sup>

რაკი ო. გამყრელიძე (იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ქმნის სისხლის სამართლის მეცნიერება თავის სპეციფიკის მიხედვით ზოგიერთ ფსიქოლოგიურ ცნებას) მიზეზობრიობის პრობლემას მიმართავს, ჩვენც ეს საკითხი განვიხილოთ. გავიხსენოთ ავტორის მტკიცება, რომ მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნების საფუძველზე სამართლის მეცნიერება (სისხლის სამართლის მეცნიერებაც) ქმნის მიზეზობრიობის ისეთ ცნებას, რომელიც გამოსადეგია სამართლის პრაქტიკული მიზნებისათვის. ჯერ ერთი, დებულება, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება ქმნის მიზეზობრიობის ისეთ ცნებას, რომელიც მისთვის პრაქტიკულად გამოსადეგია, ლოგიკურად ნიშნავს შემდეგს: მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნება სისხლის სამართლის პრაქტიკული მიზნებისათვის გამოსადეგი არ არის. იგი ასეთად სისხლის სამართლის მეცნიერებამ უნდა აქციოს. მაგრამ ნუთუ ამით თავად ფილოსოფია არ არის უარყოფილი? მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნება პრაქტიკულადაც გამოსადეგია ყველგან, სადაც კი მოვლენათა ახსნა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების საფუძველზეა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ფილოსოფიური ცნება ვერ იქნება; მეორეც, თუ სისხლის სამართლის მეცნიერება მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნების გვერდით ქმნის მისთვის პრაქტიკულად გამოსადეგი მიზეზობრიობის ცნებას, მაშინ

<sup>18</sup> გ. ნაჭყებია, „დანაშაულის მოტივი სისხლის სამართლებრივი ჯერარსობის მისედვიო. „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ. № 4, 42-43. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სტატიის სათაური „დანაშაულის მოტივი სისხლის სამართლებრივი ჯერარსობის მიხედვით“ ზუსტი არ არის. უნდა იყოს არა „დანაშაულის მოტივი“ (ვინაიდან დანაშაული ქცევა არ არის. და მაშასადამე, მას საკუთარი მოტივი არა აქვს), არამედ „დამნაშავის ქცევის მოტივი, ბ. ხორნაბუჯელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

სისხლის სამართლის მეცნიერებაც ფილოსოფიის კერძო ნაწილია, ან იგი ქმნის მიზეზობრიობის წმინდა იურიდიულ, ხელოვნურ, ნორმატიულ ცნებას.

იმისათვის, რომ ბევრი არ გავაგრძელოთ, მივმართოთ პროფ. თ. წერეთლის ერთ ცნობილ დებულებას. „პირველი დებულება, — ხაზგასმით აღნიშნავს პროფ. თ. წერეთელი, — რომელიც ურყევად არის აღიარებული საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში, არის ის, რომ სამართლის მეცნიერებამ არ უნდა შექმნას მიზეზობრივი კავშირის ხელოვნური, წმინდა იურიდიული ცნება, არამედ უნდა გამოიყენოს ის ცნება, რომელიც დადგენილია დიალექტიკური მატერიალიზმის მიერ“.<sup>19</sup> (ხაზგასმა პროფ. თ. წერეთლისაა. გ. ნ.).

ვერ ვიტყვი, რომ ო. გამყრელიძე პროფესორ თ. წერეთლის ნაშრომებს სათანადოდ არ იცნობდეს. მაშ როგორ მოხდა, რომ მან დაივიწყა ეს ცნობილი დებულება და მეთოდოლოგიურად სრულიად მიუღებელი აზრი განავითარა? საინტერესოა ის, რომ პროფ. თ. წერეთელი იქვე, სქოლიოში, შენიშნავს: „ბურჟუაზიულ სამართლის მეცნიერებაში, პირიქით, მეტად გავრცელებულია შეხედულება, რომ სამართლის მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის საკუთარი ცნება უნდა შეიმუშაოს“. „ამასთან დაკავშირებით, განაგრძობს იგი, ბურჟუაზიულ სამართალში შექმნილია მთელი რიგი თეორიები, რომელთაც მიზეზი ესმით წმინდა იურიდიულად და არა ფილოსოფიურად. ასეთია, მაგალითად „ადეკვატური მიზობრივი კავშირის“. ვულგარული მიზეზების, „პირობითი საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის“ მიზეზის და სხვ. მისთ“.<sup>10</sup>

ნუთუ ნათელი არ არის, რომ მაგალითი, რომელსაც ო. გამყრელიძე პრობლემის პოზიტიური გადაჭრისათვის იყენებს, სრულიადაც არ გამოდგება საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში? განა ცხადი არ არის, რომ ავტორი ნორმატივისტულ თვალსაზრისს გვთავაზობს?

მაშასადამე, მართლაც ნორმატივისტია ის, ვინც ამტკიცებს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება არ კმაყოფილდება მხოლოდ ფსიქოლოგთა ან ფილოსოფოსთა გამოკვლევებით და თავისი სპეციფიკის მიხედვით ქმნის ზოგიერთ ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ცნებას. გასაგებია, რომ სადისკუსიო პრობლემის გადაჭრის ის გზა, რომელსაც ო. გამყრელიძე გვთავაზობს, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუმართავია. იგი შეუძლებელს ხდის მეცნიერებათა ურთიერთობის, მეცნიერებათა სავნობრივი პრინციპებით დაფუძნებისა და ცნებობრივი აპარატის პრობლემის გადაჭრას.

მეცნიერებაში ცნებათა აღრევა ყოველად დაუშვებელია.<sup>21</sup> „დანაშაულის“ ცნებას ვერც ფსიქოლოგიის მონაცემები ააგებს და ვერც რომელიღაც სხვა მეცნიერებისა. ის კრიმინალისტმა უნდა ააგოს. ფსიქოლოგიის ცნებები („მოტივი“, „მიზანი“, „ქცევა“ და ა. შ.) სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ დამნაშავის ქცევის ფსიქოლოგიური მხარე, სოლო იმას, თუ რა არის „დანაშაული“, ცხადია „ქცევის“ ფსიქოლოგიური ცნება ვერ გვეტყვის. აი რატომ არ შეიძლება „ქცევისა“ და „დანაშაულის“ გაიგივება. იგივე ითქმის ბრალის შესახებ. ფსიქოლოგიაში ბრალის ცნება არ არსებობს, სოლო სისხლის

<sup>19</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ.ჩ 1960, გვ. 260.

<sup>20</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე დასახელებული ნაშრომი გვ. 260.

<sup>21</sup> ამ მხრივ შენიშვნას იწვევს ა. მიქაბის სტატია. ავტორი წერს, რომ ქუჩის რეკონსტრუქციის მიზნით სახლის დანგრევა „სამართლიანია“, ცხადია, „მართლზომიერი“ აჯობებდა.



სამართლის მეცნიერებაში — ბრალის ცნებისათვის საჭირო ფსიქოლოგიური მასალა. მაშასადამე, ბრალი შეფასებითი მომენტის გარეშე შეუძლებელია. ფსიქოლოგიას კი შეფასებასთან არავითარი საქმე არა აქვს. მაგრამ, მეორის მხრივ, ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემების გარეშე ბრალი წმინდა ნორმატიული ცნება იქნებოდა. როგორც ჩანს, აქ არაერთი სიძნელე იქმნება. მაგრამ ამ სიძნელეების დაძლევისათვის საჭიროა ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც დიალექტიკური მონიშმის პრინციპებზეა აგებული.

ბრალის საკითხებზე დისკუსია, იმედი გვაქვს, გაგრძელდება, მაგრამ სადისკუსიო წესების შესაბამისად. დისკუსია კრიტიკაც არის ხოლმე, ხოლო როგორც თავად ო. გამყრელიძე ამბობს, „პირუთვნელი, საქმიანი კრიტიკა ის სარკეა, სადაც ყოველი ჩვენგანი საკუთარ სახეს დაინახავს და უფრო სრულყოფილად შეიცნობს თავს.“<sup>22</sup> შესანიშნავად არის ნათქვამი, ოღონდ სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ცალკეული თვალსაზრისების კრიტიკით გატაცებისას არ უნდა გამოგვრჩეს ყველაზე მთავარი — მეცნიერების ინტერესები და ნააზრევის მეთოდოლოგიური გამართულობა.

<sup>22</sup> ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.

## სიკრძობრივი ღიფერენსიასიის პრინციპის გათვალისწინება ღაგნაშაპოგის პრეზილაქსიკაში\*

განვითარებული სოციალიზმის პირობებში მრავალი ეკონომიკური და სოციალური პროცესი განსაკუთრებული სირთულითა და დინამიკურობით გამოირჩევა. ეს აიხსნება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებით, მისი ისეთი შედეგებით, როგორც არის ურბანიზაცია, მოსახლეობის მიგრაცია, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენს თანამედროვე საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროზე. უმნიშვნელოვანესი სოციალური პროცესების რთული ურთიერთქმედებით არსებითი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაში.

ურბანიზაციის პროცესისა და სხვა დემოგრაფიული ფაქტორების სპეციფიკის გამო სოციალური განვითარება არაერთგვაროვანია ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიებზე. ზოგჯერ ეს განსხვავება საკმაოდ არსებითია. ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშით აისახება მოსახლეობის ცხოვრების წესში და წარმოშობს მთელ რიგ პრობლემებს იდეოლოგიური მუშაობისა და კულტურის სფეროში.

სწორედ ამიტომ ბევრი სოციალური პრობლემების მეცნიერულად გააზრებისა და ეფექტიანი პრაქტიკული გააწყვეტისათვის აუცილებელია დიფერენცირებულად მივუდგეთ ცალკეულ რეგიონებს. ეს საშუალებას მოგვცემს ვავითვალისწინოთ მოსახლეობის ეთნიკური და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, განათლებისა და კულტურის დონე და ა. შ.

დიფერენცირებული მიდგომის ერთ-ერთ პრინციპად გვევლინება სივრცობრივი დიფერენციაციის პრინციპი. ეს არის სხვადასხვა ტერიტორიებისადმი შერჩევითი მიდგომა, სადაც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული პროცესები თავისი განვითარების ხასიათით არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

საქართველოში მთელი რიგი რაიონები (მაგალითად, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მთის რაიონები) ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარების გეოგრაფიული და ისტორიული პირობებით, სახალწო-სამეურნეო პროფილითა და ეკონომიკური პოტენციალით, დემოგრაფიული სტრუქტურით, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დონით. ზოგჯერ ეს განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განაპირობებს მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ცხოვრების თავისებურებას, რაც ვლინდება ადამიანთა ქცევით, სოციალური განწყობილებით, ღირებულებებითი ორიენტაციით, ყოფითი ტრადიციებით და ა. შ.

ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ითქვა, რომ რესპუბლიკის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობ-

\* იბეჭდება სპეციალურ დახმობის წესით.

ლემების გადაჭრისას აუცილებელია დიფერენცირებული ტერიტორიული-მიდგომის პრინციპის გამოყენება<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, საჭირო გახდა საქართველოს ტერიტორიის ისეთი დარაიონება, როდესაც რეგიონები გამოიყოფა ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ნიშნებით, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მთელი რიგი სოციალური პრობლემების გადაწყვეტისას. რესპუბლიკაში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ამ ამოცანებს ყოველთვის ვერ უპასუხებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია შეეცადა რესპუბლიკის ტერიტორია დაეყო რეგიონებად, რომელთაგანაც თითოეულს აქვს რამდენიმე ისეთი ერთგვაროვანი ნიშანი, რაც მის ცალკე რეგიონად გამოყოფის საშუალებას იძლევა. საქართველოს ტერიტორიის რეგიონებად დაყოფის ამგვარ ნიშნებად ჩვენ მივიჩნით: რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე და ხასიათი, ურბანიზაციისა და მიგრაციის პროცესების ხასიათი, მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა, მისი კულტურისა და განათლების დონე, განვითარების გეოგრაფიული პირობები<sup>2</sup>.

რესპუბლიკის ტერიტორიის სივრცობრივი დიფერენციაციისას ჩვენ კერძო ამოცანის გადაწყვეტას ვისახავდით მიზნად. გვსურდა დაგვედგინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებანი დამნაშავეობის ხასიათის მიხედვით სხვადასხვა რეგიონში, რათა უფრო ეფექტიანად გადაგვეწყვიტა რესპუბლიკაში სამართალდარღვევებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ამოცანა.

ჩვენ დავამუშავეთ გარკვეული ემპირიული ინფორმაცია საქართველოში დამნაშავეობის შესახებ. ამ მასალის დამუშავებისა და გაანალიზების შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებანი დამნაშავეობის დონესა და სტრუქტურაში რეგიონების მიხედვით. მაგალითად, დამნაშავეობის დონის მიხედვით ქალაქის — რეგიონები ზოგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან 2-ჯერ, ხოლო სოფლის რეგიონები კი 3-ჯერაც კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანია აგრეთვე დანაშაულთა სახეობების, დანაშაულის ჩამდენ პირთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, რეგიონების შიგნით კი სტრუქტურა თითქმის ერთგვაროვანია. ვფიქრობთ, რომ სივრცობრივი დიფერენციაციის პრინციპის გათვალისწინება გამსხვილებული რეგიონების მიხედვით ხელს შეუწყობს სოციალური განვითარების დაგეგმვის შემდგომ გაუმჯობესებას, საჭირობოროტო პრობლემების უკეთ გააზრებას.

ა. გაბიანი,  
 რ. გაჩეჩილაძე,  
 მ. დიდებულიძე

<sup>1</sup> იხ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანხანა ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. საქართველოს კ. ც. კ. -ის გამომცემლობა. თბ., 1978 წ., გვ. 118-119.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ ტერიტორიის რეგიონებად დაყოფა მოცემულია ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1978 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ ა. გაბიანისა და მ. დიდებულიძის სტატიაში. დამნაშავეობის გეოგრაფიის შესწავლის ზოგიერთი საკითხი. გვ. 44-54.

## საქართველოს მთავარმმართველთა უღაბამოსილაბანი (1801—1844 წ.წ.)

### 6. ლომინაძე

ქართლ-კახეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ მეფის თვითმპყრობელობამ აქ შემოიღო მისი ინტერესების შესაფერა მმართველობის ახალი სისტემა. ამ სისტემის სტრუქტურისა და საქართველოში განხორციელებული ადმინისტრაციული პოლიტიკის შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს 1801-1844 წლებში საქართველოს და ამიერკავკასიის ადმინისტრაციის მეთაურების — მთავარმმართველების უფლებამოსილების გარკვევას. დღემდე გამოქვეყნებულ მცენიერულ ლიტერატურაში დასმული საკითხი ამომწურავად არ არის გაშუქებული, ვინაიდან მთავარმმართველთა უფლებამოსილების განსაზღვრისას მკვლევარები უმეტესად ცერდნობიან მხოლოდ 1801 წლის 12 სექტემბრის დადგენილებებს ქართლ-კახეთში მმართველობის მოწყობის შესახებ და 1840 წლის ადმინისტრაციული რეფორმის აქტებს. ამიტომ მთავარმმართველთა კომპეტენცია 1840 წლის რეფორმამდე თითქმის უცვლელად არის მიჩნეული, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხინამდვილეს არ შეეფერება.

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობის საკითხი საბოლოოდ XVIII საუკუნის მიწურულში ვადაწყდა და თვითმპყრობელობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაც ამ ქვეყანაში იმავდროულად განისაზღვრა. ეს პოლიტიკა იმპერიასთან საქართველოს მთლიან შერწყმას ითვალისწინებდა და ამ გზით მის გადაქცევას მოსერებულ სტრატეგიულ და ეკონომიკურ ბაზად მთელი კავკასიის შემოერთებისათვის. შესაბამისად უნდა მოწყობილიყო ქართლ-კახეთის მმართველობაც, რათა უკეთესი პირობები შექმნილიყო ამ ამოცანის განსახორციელებლად. სახელმწიფო ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაციის მიმხრე იმპერატორი პავლე I შეეცადა ერთი ხელის მოსმით მიეღწია მიზნისათვის. 1801 წლის 6 მარტის ბრძანებულებით აღმოსავლეთ საქართველო მან რუსეთის იმპერიის „ქართულ გუბერნიად“ გამოაცხადა და მას სათავეში ჩაუყენა გენერალ-გუბერნატორი. ამ თანამდებობაზე მან დანიშნა კიდევ გენ. კ. ფ. კნორინგი.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობა რუსული გუბერნიების მსგავსად უნდა გამართულიყო. სწორედ ამ გზით ფიქრობდა იმპერატორი ერთბაშად მიეღწია საწადელისათვის. ადგილობრივ პირობებსა და, მითუმეტეს, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებს არავითარი ანგარიში არ ეწეოდა. მაგრამ ამ გეგმის სისრულეში მოყვანა პავლე I-ს არ დასცადა, რადგან 11 მარტს სასახლის ვადატრიალების შედეგად იგი მოკლეს.

ტახტზე ალექსანდრე I-ის ასვლას თუქცა არ შეუცვლია თვითმპყრობელობის საბოლოო მიზნები საქართველოში, მაგრამ ახალი იმპერატორი, განსაკუთრებით თავისი მეფობის პირველ წლებში, უფრო მოქნილ მეთოდებს მიმართავდა, ვიდრე მამამისი. იგი ითვალისწინებდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში პავლე I გეგმის განხორციელებას ადგილობრივი მოსახლეობის საყოველთაო უმჯავოლება მოჰყვებოდა, რაც მუქარას შეუქმნიდა თვითმპყრობელობის პოზიციებს ამიერკავკასიაში. გარდა ამისა, იგი ანგარიშს უწყევდა ინგლისის ინტერესებს ამ მხარეში, რომელთანაც დაახლოება ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის. ამიტომ იმპერატორი თავის ნამდვილ ზრახვებს ჩქმალავდა და საქმეს ისე წარმოსახავდა, თითქოს შემოერთებისა და სახელმწიფო ტახტის გაუქმების მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველო შინაგანად დამოუკიდებელი რჩებოდა. სწორედ ამიტომ 1801 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულებები აქ განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს — „საქართველოს“ ამყარებდა. „საქართველოს“ მმართველობა ბევრი რამით რუსულ საგუბერნიო მმართველობას ჰგავდა, მისი საფუძველი იყო 1775 წლის რუსული საკანონმდებლო აქტი — დებულება გუბერნიების შესახებ, მაგრამ

<sup>1</sup> См. Полное собрание законов Российской империи, изд. первое (1 ПСЗ), т. 26, док. № 19770.

ამ მმართველობას მრავალი სპეციფიკური ნიშანიც ჰქონდა, რაც მას მართლაც დამოუკიდებლობის იერს აძლევდა. მაგალითად, ძალაში რჩებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საგადასახადო სისტემა, ძველი ქართული გადასახადები და ბაჟი; სამოქალაქო სამართალწარმოებაში ძველებურად შეიძლებოდა ქართული კანონებისა და ადამ-წესების გამოყენება; მთიულესა და არაქართველ მოსახლეობაში შენარჩუნებულ იქნა ძველი სამოქალაქო სამართალი; სახაზინო სოფლებში მმართველობა ძველი მოურავების ხელში დარჩა; დაწესებულებებში ზოგიერთ თანამდებობაზე დაინიშნენ ქართველი თავადები, რომელთაც ერთი წლის შემდეგ უფლება ეძლეოდათ თავისი წრიდან თვითონვე აერჩიათ ამ თანამდებობის პირნი. განსხვავება იყო აგრეთვე ზოგიერთი დაწესებულების სტრუქტურასა და ფუნქციებში. მაგრამ ამ სპეციფიკური ნიშნებიდან მთავარი მინც ის იყო, რომ საქართველოს ახალი ადმინისტრაცია უშუალოდ იმპერიის არც ერთ უმაღლეს და ცენტრალურ დაწესებულებას არ ექვემდებარებოდა: ყველა ადგილობრივი საქმე (სისხლის სამართლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეების გარდა) სპონტანურად წყდებოდა ე. წ. საქართველოს უზენაესი მთავრობის საერთო საკრებულოს, ვაქტორივად კი მისი თავმჯდომარის — საქართველოს მთავარმმართველის მიერ.

საქართველოს მთავარმმართველი ადგილობრივი სამოქალაქო ადმინისტრაციის უფროსი იყო, მაგრამ ამავე დროს იგი საქართველოს მთავარსარდალიც გახლდათ და კავკასიის ინსპექციის ინსპექტორიც, ასტრახანის სამხედრო გუბერნატორიც და სამოქალაქო მმართველიც<sup>2</sup>. ამრიგად, საქართველოს პირველი მთავარმმართველის გენერალ კ. ფ. კნორინგის (1801-1832) ბელისუფლება — როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო — უზარმაზარ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთი საქართველო კი ამ ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომ სწორია ის დასკვნა, რომ გენერალ კნორინგის თანამდებობა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას უახლოვდებოდა, რომელიც 1775 წლის „დებულებით“ განისაზღვრებოდა<sup>3</sup>. როგორც აღვნიშნეთ, წინათ კნორინგი „ქართული გუბერნიის“ გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა კიდევ, მაგრამ კინაიდან ქართლ-კახეთი ახლა უკვე გუბერნიად აღარ იწოდებოდა და განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო მისი მმართველობაც თავისებურად უნდა მოწყობილიყო, რაც ადგილობრივი ადმინისტრაციის ოპერატიულ მოქმედებას მოითხოვდა, შესაბამისად უნდა შეცვლილიყო ამ ადმინისტრაციის მეთაურის თანამდებობაც, ამიტომ კნორინგი ახლა საქართველოს მთავარმმართველად იწოდებოდა, ხოლო მისი კომპეტენცია გენერალ-გუბერნატორისას აღემატებოდა. იმპერატორის რესკრიპტის თანახმად მთავარმმართველს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული და თავის პიროვნებაში საქართველოს სამეფოს ყველა ხელისუფლებას აერთიანებდა<sup>4</sup>. იგი ყველა ადგილობრივ საქმეს განუკითხავად განაგებდა. მისი ძალაუფლება საქართველოში მხოლოდ იმით იყო შეზღუდული, რომ ვალდებული იყო: 1. სისამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საქმეებზე (თავდაზნაურთა სიკვდილით დასჯის ან მათთვის წოდების ჩამორთმევის შესახებ) თავისი დასკვნით იმპერატორისათვის გაეგზავნა; 2. თანამდებობებზე შერჩეული პირები დასამტკიცებლად სენატისათვის უნდა წარედგინა და 3. ანგარიში ჩაეღარებინა სახელმწიფო ხაზინადარისათვის. ყველა სხვა ადგილობრივ საქმეს კნორინგი თვითონვე წყვეტდა და ამის შესახებ ანგარიშს უშუალოდ იმპერატორს აბარებდა<sup>5</sup>.

იმ განსაკუთრებული სხვაობის მიუხედავად, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსა და რუსეთის შიდა გუბერნიების ადმინისტრაციულ წყობას შორის არსებობდა, მმართველობის ასეთი ფორმა მაინც მიუღებელი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. უკვე 1802 წლის ზაფხულში მთელი ქართლ-კახეთი მღვლვარებამ მოიცვა, ხოლო სულ მალე მთიულეთში აჯანყებამ იფეთქა. ამით თვითმპყრობელობის ავტორიტეტსა და ასე ძნელად მოპოვებულ პოზიციებს ამიერკავკასიაში ერთბაშად დაკარგვის საფრთხე შეექმნა. ამიტომ მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა სასწრაფოდ მიეღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. კერძოდ, საჭიროდ მიიჩნეს მმართველობის გარდაქმნაც. მთავრობის უმაღლეს წრეში<sup>6</sup> მისოსზრებაც

<sup>2</sup> იხ. საქ. ცხა, ფ. 112, ა. 1, ს. 1, ფურც. 1.

<sup>3</sup> ი. ი. სურგულაძე, *История государства и права Грузии*, Тб. 1968, стр. 153.

<sup>4</sup> *Акты, собранные Кавказской археографической комиссией* (აქტები), т. 1, док. № 548.

<sup>5</sup> იქვე, № 550.

<sup>6</sup> იქვე, №№ 548, 509.

<sup>7</sup> იქვე, № 548.

კი გამოითქვა, რომ მმართველობის სათავეში ქართული სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაენიშნათ და მისთვის ისეთივე ავტონომიური უფლებები მიენიჭებინათ, როგორც დასავლეთ საქართველოს მთავრებს ჰქონდათ. მაგრამ ამგვარი აზრი თვითმპყრობელობის ძალითად მიზნებს საქართველოში მეტიმეტად ეწინააღმდეგებოდა და მხარდაჭერა ვერ პოვა. იმპერატორი სხვა გზას დაადგა. მან არსებული ადმინისტრაციის უფლებები კიდევ უფრო გაზარდა და ამით მას მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭა. ამ გზით იგი ფიქრობდა მოეწესრიგებინა მმართველობის სისტემა და მოსახლეობაც დაეწყნარებინა. ეს კი დააჩქარებდა ამიერკავკასიის სხვა ნაწილების შემოერთებას, რაც იმპერიის ინტერესებთან გამომდინარეობდა.

1803 წლის 30 იანვრის რუსკრაბტში ალექსანდრე I საქართველოს ახალ მთავარმმართველს გენერალ პ. დ. ციციანოვს (1802-1806) მიუთითებდა, რომ ეს უკანასკნელი ვალდებული არ იყო დალოდებოდა განსაკუთრებულ ნებართვას ყველა იმ საქმეზე, რომელიც შეიძლება წამოჭრილიყო სამსახურის შესრულებისას, არამედ ემოქმედა თავისი შეხედულებისამებრ, ოღონდ ყველა განხორციელებული ღონისძიების შესახებ დაწვრილებით მოეხსენებინა იმპერატორისათვის<sup>9</sup>. ამასთან ერთად საქართველოს დაწესებულებებსაც მიეთითათ, რომ დაუყოვნებლივ შეესრულებინათ ციციანოვის ყველა განკარგულება ისე, როგორც უზენაესი ბრძანება («Как высочайшие повеления») იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არსებულ კანონებს ეწინააღმდეგებოდნენ<sup>10</sup>. გარდა ამისა, ციციანოვს უფლება მიეცა, რომ თავისი შეხედულებით დაენიშნა ყველა მოხელე, მათ შორის თავისი მოადგილე — საქართველოს მმართველიც. მხოლოდ ამის შემდეგ ისინი თვით იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა<sup>11</sup>.

ამრიგად, ციციანოვს უზარმაზარი ძალაუფლება მიეცა. იგი ანგარიშს მხოლოდ იმპერატორს აბარებდა, მის განკარგულებებს კი ადგილობრივი დაწესებულებები უსიტყვოდ ასრულებდნენ. მის საკუთარი შეხედულებით შეეძლო ემოქმედნა ზემოდან სათანადო ინსტრუქციის მიუღებლად, მათ შორის სისრულეში მოეყვანა საკუთარი გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საქმეებზე<sup>12</sup>, რომლებიც, როგორც აღენიშნეთ, ენორჩნის დროს საბოლოო გადაწყვეტილებისათვის იმპერატორს ეგზავნებოდა. არსებითად, ციციანოვი მეფის ხელისუფლებას ცვლიდა ადგილზე და მისი უფლებამოსილება გენერალ-გუბერნატორისას გაცილებით აღემატებოდა. ამაზე თვით ციციანოვიც მიუთითებდა<sup>13</sup>.

ამრიგად, სახელმწიფოს უმაღლეს და ცენტრალურ დაწესებულებებს ციციანოვსა და მის ადმინისტრაციაზე არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდათ. ამიტომ პ. დ. ციციანოვის მმართველობის პერიოდს, გარკვეულა აზრით, შეიძლება ეწოდოს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებში ადმინისტრაციული დამოუკიდებლობის პერიოდი, თუმცა ეს დამოუკიდებელი მმართველობა მეფის მოხელეების მიერ წარმოებდა და მთლიანად გამომდინარეობდა თვითმპყრობელობის პოლიტიკიდან ამ მხარეში. სწორედ შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე მთავარმმართველის საშუალებით ვარაუდობდა იმპერატორი ამ ეტაპზე უფრო ეფექტიანად გაეტარებინა თავისი პოლიტიკა საქართველოში.

• • •

პ. დ. ციციანოვის მმართველობის დროს თვითმპყრობელობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ამიერკავკასიაში, ხოლო მისი რეჟიმით უკმაყოფილო მოსახლეობის გამოსვლა სასტიკად ჩაახშო. ციციანოვის რეფორმების შემდეგ, რომლებსაც 1801 წლის 12 სექტემბერს დაკანონებული მდგომარეობის არსი არ შეუცვლია, მმართველობის მოწესრიგების საქმეს მთავრობა დროებით დამთავრებულად მიიჩნევდა, თუმცა ამ დროს საქართველოს მმართველობის სრულყოფის რამდენიმე პროექტი შედგა. ამასთან დაკავშირებით თვითმპყრობელობის ადმინისტრაციული პოლიტიკის გაგებისათვის მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფო საბჭომ 1810 წელს გამოიტანა საქართველოს მმართველის პ. მ. ლიტვინოვის პროექტის განხილვის შემდეგ. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ «...заняться внутренним положением Грузии и обратить внимание на введенное в область

<sup>9</sup> См. Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года, СПб, 1866, стр. 541—542.

<sup>10</sup> სსკ ცსა, ფ. 1377, ა. 1, ს. 37, ფურც. 75; საქ. ცსა, ფ. 2, ა. 1, ს. 22, ფურც. 13.

<sup>11</sup> იქვე, ფ. 1268, ა. 1, ს. 18, ფურც. 5.

<sup>12</sup> იქვე, ფ. 1377, ა. 1, ს. 37, ფურც. 80.

<sup>13</sup> იქვე, ფურც. 107.

<sup>14</sup> И. И. Сургуладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—160.

სიუ устройство... следует приступить... не иначе, как составив себе точнее понятие, на каком основании или в каких отношениях к пользе России Грузии существовать должно, и обяв уже все части правительственные и хозяйства, сообразя нравы и обычаи азиатския, уважив все политические отношения пограничного сего края, составить общую систему для управления его, а не приступать к какому-либо частным и впрочем весьма несущественным исправлениям; что во всех случаях таковую прочную систему для края сего не иначе основать можно, как когда окончится Персидская война (1804—1813 წ.წ. რუსეთ-ირანის ომი—რ. ლ.), когда утверждены будут с сей стороны пределы империи и приняты будут двором нашим решительные правила для будущего существования Грузии и областей, кои вновь присоединены быть могут; что, наконец, тогда необходимо будет заняться устройством того края вообще и постановить начала, на кои основаны быть должны все части в состав доброго правительства входящие»<sup>14</sup>.

ეს დოკუმენტი მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის ფრიალ მნიშვნელოვანია უმაღლესა მთავრობის აზრი, რომ საქართველოს მმართველობის სისტემაში რადიკალური ცვლილებების შეტანისათვის პირობები ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული. მაგრამ ამიერკავკასიის მმართველობის საერთო სისტემა არ გამოუმუშავებიათ აღნიშნული ომის დამთავრების შემდეგაც. მხოლოდ 20-იანი წლების ბოლოს, როცა თურქეთთან და ირანთან ახალი ძლევამოსილი ომების შედეგად ცარიზმმა საბოლოოდ შემოიერთა ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, უმაღლესმა მთავრობამ ხელი მოკიდა ამ მხარეში თავისი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და ამასთან ერთად ადმინისტრაციული რეფორმის ერთიანი პროექტის შედგენას. ასეთი რეფორმა 1840 წელს განხორციელდა, მანამდე კი აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობაზე მხოლოდ ნაწილობრივი ცვლილებები შეჰქონდათ, რაც ჰიოთადად მისი განსაკუთრებულობის მოსპობას გულისხმობდა. თანდათანობით გაუქმდა ძველი ქართული სავადასახლო სისტემა და იგი რუსულით შეიცვალა, პრაქტიკულად არ იყენებდნენ ქართულ სამართალს<sup>15</sup>, გააუქმეს მოურავთა ინსტიტუტი და ა. შ. ყველაფერ ეს მიზნად ისახავდა მოესპოთ აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობის დამოუკიდებლობის ფლუზიც კი და იგი მთლიანად რუსულ გუბერნიებთან გაეთანაბრებინათ. ეს კი ზღუდავდა და ამცირებდა საქართველოს მთავარმმართველთა კომპეტენციას. ამაზე მეტყველებს ის, რომ პ. დ. ციციანოვის არც ერთ მომდევნო მთავარმმართველს [(გუდოვიჩი (1806-1809), ტორმასოვი (1809-1811), პაულუჩი (1811-1812), რტიშევი (1812-1816)] არ გააჩნდა ისეთი ფართო და დამოუკიდებელი უფლებები, როგორც ციციანოვს.

მედის რუსეთის ეროვნული რაიონების ადმინისტრაციული წყობის, კერძოდ კი საქართველოს მთავარმმართველთა კომპეტენციის შესწავლისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, საკიროთა თვით იმპერიის მმართველობის ცენტრალურ აპარატში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებაც, რადგან ცვლილებებს მეტროპოლიაში გარდაუვალად თან სდევდა ცვლილებები მისი ვანაპირა მხარეებში. XIX საუკუნის დამდეგს გატარებულმა რეფორმებმა, როგორც ცნობილია, განამტკიცა ქვეყნის მმართველობის უმაღლესი და ცენტრალური აპარატი, ხოლო ადგილობრივი დაწესებულებები უფრო მჭიდროდ დააკავშირა ცენტრთან. ახლა სენატს მმართველობის ყველა ადგილობრივი დაწესებულება დაექვემდებარა; მმართველობის ბიუროკრატიული ცენტრალიზმი განმტკიცდა სამინისტროების ჩამოყალიბებით.

იმპერიის მმართველობის ცენტრალიზაციის ზრდის ტენდენცია შეუძლებელია არ შეხებოდა ეროვნულ რაიონებს, კერძოდ საქართველოს. მართლაც, XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როცა თვით რუსეთში ძირითადად დამთავრდა მთელი რიგი ადმინისტრაციული რეფორმების გატარება, საქართველოს მმართველობა სულ უფრო ექვემდებარება იმპერიის ცენტრალურ მმართველობას. ეს პროცესი იმით დაიწყო, რომ 1807 წლის ბრძანებულებით საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულოს ჩამოერთვა საქართველოს უმაღლესი სააპელაციო ინსტანციის უფლებები ამიერიდან სააპელაციო საქმეები სასამართლოს ექსპედიციიდან უშუალოდ სენატში გადადიოდა<sup>16</sup>, რაც საქართველოს მართვა-გამგეობის ორგანოების იმპერიის უმაღლესი დაწესებუ-

<sup>14</sup> სსრკ ცსა, ფ. 1152, ა. 1, ს. 96, ფურც. 142-143.

<sup>15</sup> იხ. რ. ლომინაძე, ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულის თარგმნის, პუბლიკაციისა და გამოყენების ისტორიიდან XIX ს-ის პირველ ნახევარში, „საბჭოთა სამართალი“, 1976, № 1, გვ. 84-88.

<sup>16</sup> 1ПСЗ, ტ. 29, № 22712.

ლებებისადმი დაწვემდებარებაზე მიუთითებს. საერთო საქრებულოს უფლებების შეზღუდვა ნიშნავდა მისი თვამჯდომარის — საქართველოს მთავარმმართველის უფლებების შეზღუდვა-საც. ახლა ისიც უფრო მეტად არის დამოკიდებული იმპერიის უმაღლეს და ცენტრალურ და-წესებულებებზე. ამას ძალზე თვალსაჩინოდ შემდეგი ფაქტი მოწმობს.

ახალმა მთავარმმართველმა გენ. ა. პ. ერმოლოვმა (1816-1827) ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე თხოვნით მიმართა უმაღლეს მთავრობას საქართველოს მთავარმმართველის უფლებების გაფართოების შესახებ. სამოქალაქო მმართველობის მიმართ იგი, კერძოდ, მო-ითხოვდა: 1. მმართველობის ყველა ნაწილი გადასცემოდა უშუალო მმართველობაში და პასუხისმგებლობაში; 2. უმაღლეს მოხელეთა გადაყენება მოეხდინათ მხოლოდ მასთან შეთან-ხმებით; 3. მისდამი რწმუნებული მხარის ყველა კანონისა და დადგენილების გამოცემა მო-ეხდინათ მხოლოდ მასთან კავშირით; 4. მთავარმმართველთან კავშირის დამყარება პასუხის-მთხოვნის უფლებით მინიჭებოდათ მხოლოდ სენატსა და მინისტრებს; 5. რევიზიისათვის მოვლინებული ყველა მოხელე და კომისია გამოეგზავნათ უშუალოდ მასთან დასკვნისათვის ამ რევიზიის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის შესახებ<sup>17</sup>.

მოყვანილი დოკუმენტი იმაზე მიუთითებს, რომ ერმოლოვს, რა თქმა უნდა, არ გააჩნდა ის უფლებები, რომლებსაც ითხოვდა. ე. ი. ცხადია, რომ საქართველოს მთავარმმართველთა კომპეტენცია ციციანოვის შემდეგ ძლიერ შეიზღუდა. აღსანიშნავია, რომ ამ მოთხოვნათა დამყარების შემთხვევაშიც კი ერმოლოვის უფლებამოსილებანი ციციანოვთან შედარე-ბით გაცილებით შეზღუდული აღმოჩნდებოდა.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ერმოლოვის თხოვნამ უთანხმოება გამოიწვია მინისტრთა კომიტეტის წევრებს შორის. ერთნი (ადმირალი მორდინოვი, გრაფი არაკჩევი, სამხედრო მინისტრი და სახელმწიფო კონტროლიორი) საჭიროდ მიიჩნევდნენ მთავარმმართველის უფლე-ბების არსებულ მდგომარეობაში დატოვებას, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს განსაკუთ-რებული მმართველობა უკვე აუცილებლად არ მიაჩნდათ, მეორენი კი (ფინანსთა მინისტრი, ინჟინერ-გენერალი დე ვოლანტი, შინაგან საქმეთა მინისტრი და საიდუმლო მრჩეველი გო-ლიციონი) დასაშვებად მიიჩნევდნენ ერმოლოვისათვის აღნიშნული უფლებების გადაცემას, ვინაიდან ითვალისწინებდნენ ავგილობრივ პირობებს და ამდენად საქართველოში განსაკუთ-რებული მმართველობის საჭიროებას<sup>18</sup>.

როგორც ზედათ, აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობის მიმართ მინისტრთა კომი-ტეტში ორი საწინააღმდეგო ტენდენცია გამოვლინდა: ცენტრალიზატორული და დეცენტრა-ლიზატორული. ალექსანდრე I ფაქტობრივად მათ დაეთანხმა, ვინც იმპერიის ბიუროკრატ-ული აპარატის ცენტრალიზაციისათვის და საქართველოს მმართველობის რუსულ საგუბერ-ნო მმართველობასთან ნიველირებისათვის გამოდიოდა. იმპერატორმა მიუთითა, რომ ყო-ველმა მთავარმმართველმა იმ წესებით უნდა იხელმძღვანელოს, რომლებიც დადგენილია მისი წინამორბედისათვის და ბრძანა ეს წესი დაეცვათ ყველა სხვა შემთხვევაში<sup>19</sup>.

ამრიგად, გენერალ ერმოლოვის მოთხოვნები მისი კომპეტენციის გაფართოების შესახებ უარყოფილ იქნა და იგი თბილისში ისეთივე უფლებებით ჩამოვიდა, როგორც მის წინამორ-ბედ მთავარმმართველებს — გუდოვიჩს, ტორმასოვს, პაულუჩის და რტიშჩევს ჰქონდათ<sup>20</sup>.

აღნიშნული ბრძანებულების ძალით საქართველოს მთავარმმართველებს ერმოლოვის შემ-დეგაც არ აძლევდნენ რაიმე განსაკუთრებულ დამატებით უფლებებს. რესკრიპტში ახალი მთავარმმართველის გენ. ი. ფ. პასკევიჩის (1827-1831) დანიშვნის შესახებ ნიკოლოზ I მიუ-თითებდა, რომ იგი იმავე უფლებებით ისარგებლებს, როგორც ერმოლოვს ჰქონდათ<sup>21</sup>. ასე გაგრძელდა შემდეგაც. ბარონ გ. ვ. როზენის (1831-1837), ხოლო მმართველობის პირველ წლებში (184) წ. რეფორმამდე) გენ. ე. ა. გოლოვინის (1837-1842) უფლებები უფრო მე-ტადაც შეიზღუდა, ვინაიდან გაიზარდა იმპერიის უმაღლესი და ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებების კონტროლი ამიერკავკასიის აღმინისტრაციაზე. მხარე გაივსო სხვადასხვა

<sup>17</sup> სსრკ ცსა, ფ. 560, თ. 10, ს. 90, ფურც. 2-7.

<sup>18</sup> იქვე, ფ. 1263, ა. I, ს. 96, ფურც. 326-333.

<sup>19</sup> იქვე, ფურც. 345.

<sup>20</sup> იხ. ჩვენი რეცენზია ჯ. ვათიშვილის წიგნზე Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973, «მაცნე», ისტორიის სერია, 1974, № 1, სტრ. 143-144.

<sup>21</sup> М. Щербатов, Князь Паскевич П, Спб., 1890, стр. 214.





კომისიებითა და რევიზიებით, ხოლო 1833 წელს შეიქმნა ამერიკაკაცისის მხარის მომწყობი კომიტეტი, რომელსაც უნდა განესაზღვრა ის მთავარი წესები, რომლებსაც ამერიკაკაცისის მმართველობა უნდა დაყრდნობოდა, საჭირო შემთხვევაში კი შეეძლო მოეთხოვა მასალები ადგილობრივი ხელისუფლებისაგან<sup>22</sup>. ე. ი. უმაღლეს მთავრობასა და საქართველოს მთავარ-მმართველს შორის გაჩნდა ახალი დაწესებულება, რომელსაც შეეძლო უკანასკნელისაგან ახსნა-განმარტება მოეთხოვა.

ციციანოვის შემდეგ საქართველოს მთავარმმართველთა უფლებების შეზღუდვაზე მიუთითებს აგრეთვე საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესის შეცვლაც. როგორც აღვნიშნეთ, პირველ ხანებში ციციანოვს ნება დევრთო სისრულეში მოეყვანა თავისი გადაწყვეტილებები ამ საქმეებზე. მაგრამ უკვე 1805 წელს ნაბრძანები იყო ისინი ასე ეწარმოებნათ: სასამართლოს ექსპედიციის განაჩენის განხილვის შემდეგ მთავარმმართველი თავისი დასკვნით საქმეს უგზავნიდა იუსტიციის მინისტრს, რომელიც ამის შესახებ მოახსენებდა იმპერატორს და ამ უკანასკნელის ბრძანებით საქმე საბოლოო გადაწყვეტილებასთან შეპქონდათ სახელმწიფო საბჭოში<sup>23</sup>. 1819 წლის 31 ივლისს კი, სახელმწიფო საბჭოს ვადაწყვეტილებით, რომელიც თვლიდა, რომ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფნის გამო, აღარ საჭიროებს იმ გამონაკლისებს სისხლის სამართლის საქმეთა საერთო წესიდან, რომლებიც წინათ საჭიროდ მიიჩნდათ, ნაბრძანები იყო საქმეები ეწარმოებინათ გუბერნიებისათვის დაწესებული წესით: ექსპედიციიდან მთავარმმართველთან, მისგან სენატში, ხოლო იქიდან. იუსტიციის მინისტრის დასკვნით სახელმწიფო საბჭოში<sup>24</sup>.

ამრიგად, 1805 და 1819 წლების ბრძანებულებები უკრძალავდნენ მთავარმმართველებს სისრულეში მოეყვანათ თავისი დასკვნები სისხლის სამართლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საქმეებზე და, ამ მხრივ, ისინი მთლიანად უტოლდებოდნენ გენერალ-გუბერნატორებს.

მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლები ხშირად უზენაეს ბრძანებულებებსაც არ ასრულებდნენ. მთავარმმართველები და მათი მოადგილეები თვითნებურად უმცირებდნენ დამნაშავეებს სასჯელს, ცკლიდნენ სასჯელის ფორმას, ან სრულიად აუქმებდნენ სასამართლოს ექსპედიციის განაჩენს<sup>25</sup>. სწორედ ამიტომ 1830 წლის 20 მაისს სენატმა დაავალდებულა საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება, ექსპედიციის გადაწყვეტილებასთან მათი უთანხმოების შემთხვევაში საქმეები თავიანთი დასკვნით წარმოედგინათ სენატში რუსულ გუბერნიებში არსებული წესით<sup>26</sup>. მაგრამ ამან ბარონ როზენის სასტიკი პროტესტი გამოიწვია. იგი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებას მოითხოვდა. მან იმას მიიღწია, რომ 1833 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით, „შორი მანძილის გამო“, საქართველოს მთავარმმართველს უფლება მიეცა სენატში წარუდგენლად შეემსუბუქებინა დამნაშავეთათვის ექსპედიციის მიერ მისჯილი სასჯელი, შეემცირებინა ციხეში მათი ყოფნის ვადა და სისრულეში მოეყვანა ეს გადაწყვეტილება. მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაში (სასჯელის გაზრდის, გაუქმების და ა. შ.) მას საერთო წესებით უნდა ეხელმძღვანელებ<sup>27</sup>.

არსებითად, მხოლოდ ამით შემოიფარგლა ის დამატებითი უფლებები, რომლებიც საქართველოს მთავარმმართველებს რუსული გუბერნიების გენერალ-გუბერნატორებისაგან განასხევებდნენ.

საქართველოს მთავარმმართველთა უფლებების შეზღუდვა სრულიადაც არ ნიშნავდა მათ მოვალეობათა შემცირებას. პირიქით, დროთა განმავლობაში მათ სულ უფრო მეტი მოვალეობანი ეკისრებოდათ. რუსეთთან ამერიკაკაცისის ახალი ნაწილების შეერთებასთან ერთად ისინი უკვე არა მარტო საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს მართავდნენ, როგორც ეს საუკუნის დასაწყისში იყო, არამედ სხვადასხვანაირად მოწყობილი მხარის ამ ნაწილებსაც. ეს, რა თქმა უნდა, გაფართოებასთან ერთად მათ მოვალეობას ართულებდა. ამიტომაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მოხელეთა რიცხვი მთავარმმართველის კანცელარიაში, რომელმაც

<sup>22</sup> 2ПСЗ, დამატ. № 6309. გ.

<sup>23</sup> 1ПСЗ, ტ. 32, № 24965.

<sup>24</sup> იქვე, ტ. 36, № 27783.

<sup>25</sup> იხ. სსრკ ცსა, ფ. 1377, ფ. 1, ს. 37, ფურც. 107; საქ. ცსა, ფ. 2, ა. 1, ს. 2514, ფურც. 1.

<sup>26</sup> ა. 1, ს. 4352, ფურც. 1.

<sup>27</sup> საქ. ცსა, ფ. 2, ა. 1, ს. 2514, ფურც. 32.

<sup>28</sup> იქვე, ფ. 26, ა. 1, ს. 4878, ფურც. 2.

1842 წელს 64 მილწიან<sup>28</sup>. ამის შედეგი იყო ისიც, რომ 1827 წელს შემოდგულ იქნა თბილისის სამხედრო გუბერნატორის ახალი თანამდებობა, რომელიც მთავარმმართველის სამხედრო და სამოქალაქო მოადგილე იყო მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით, ხოლო 1838 წელს გააუქმეს საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულო, რომელიც ამიერკავკასიისათვის საერთო დაწესებულებების არარსებობის პირობებში იძულებული იყო გაერჩია მთელი ამ მხარის საქმეებიც და ამიტომ თავს ვერ ართმევდა თავის მოვალეობას და მის ნაცვლად შექმნეს ამიერკავკასიის მხარის მთავარი მმართველობის საბჭო, რომელიც მთავარმმართველის სათათბირო დაწესებულება იყო მთელი ამიერკავკასიის საქმეებისათვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავესკვნათ, რომ 1840 წლის რეფორმისათვის საქართველოში მთავარმმართველთა უფლებები მათ პირველ წინამორბედებთან (კნორინგი, ციციანოვი) შედარებით გაცილებით უფრო შეზღუდული იყო და ისინი პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდებოდა გენერალ-გუბერნატორთა უფლებებისაგან. ამავე დროს მთავარმმართველთა მოვალეობანი სულ უფრო ფართოვდებოდა და რთულდებოდა.

\* \* \*

როგორც აღვნიშნეთ, თვითმპყრობელობა იმთავითვე ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველო თავის ცაიმედო და მოხერხებულ სტრატეგიულ და ეკონომიკურ ბაზად გადაქცევა, მაგრამ XIX საუკუნის პირველ მეცამედში თვით რუსეთის ეკონომიკის სუსტი განვითარების გამო ცარიზმის ეკონომიკური ინტერესები საქართველოში უკანა პლანზე იდგა, ხოლო მთავარი ყურადღება სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებზე იყო გადატანილი. მდგომარეობა მხოლოდ 20-იანი წლების დასასრულისათვის იცვლება, როდესაც თვით რუსეთში იწყება მნიშვნელოვანი ძვრები სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობაში და ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი უკვე შეერთებულია იმპერიასთან. ახლა დღის წესრიგში დგება სწრაფად მზარდი რუსული მრეწველობისათვის ამ მხარის ეკონომიკური ათვისების, მისი ნედლეულის წყაროდ გადაქცევის საკითხი. ამიტომ საქართველოს და ამიერკავკასიის უყურებენ არა მარტო როგორც მოხერხებულ სამხედრო-სტრატეგიულ ბაზას, არამედ როგორც მდიდარ კოლონიასაც.

თვითმპყრობელობის პოლიტიკის ასეთი მიმართულება მთელი ამიერკავკასიის მმართველობის ძირფესვიან შეცვლას მოითხოვდა, ვინაიდან ამ მხარის სხვადასხვა ნაწილში არსებული მმართველობის სხვადასხვაგვარი ფორმა ვეღარ უბასუხებდა ახალ მოთხოვნებს. ამიტომ 30-იან წლებში ამიერკავკასიის ადმინისტრაციული რეფორმის რამდენიმე პროექტი შემუშავდა. გატარდა უკანასკნელი, სენატორ ბარონ პ. ვ. განის კომისიის პროექტი, მაგრამ ჩვენი თემის კვლევისათვის საჭიროა სხვა პროექტების განხილვაც, ვინაიდან, როგორც სწორად აღვნიშნა ა. ვ. პრედტენჩენკომ, მთავრობის პოლიტიკა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. პოლიტიკა არის აგრეთვე ჩაფიქრებული გეგმები, რეფორმათა პროექტები, „დემაგოგია“ კ<sup>29</sup>.

განვიხილოთ, ძალიან მოკლედ, როგორ ითვალისწინებდნენ ეს პროექტები ამიერკავკასიის ცენტრალური მმართველობის მოწყობას.

1830 წელს წარდგენილი მთავარმმართველ პასკევიჩის პროექტი ამიერკავკასიის ორ გუბერნიად და ერთ ოლქად კოფდა, ხოლო მმართველობა შიდა გუბერნიების ანალოგიურად უნდა მოწყობილიყო<sup>30</sup>.

პასკევიჩს სავსებით უჭერდნენ მხარს სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი, მაგრამ მათ პროექტში მნიშვნელოვანი დამატებაც იყო. ისინი წინადადებდნენ იძლეოდნენ შექმნილიყო ე. წ. ამიერკავკასიის უმაღლესი მთავრობა, რომელიც ადგილობრივი მმართველობისა და სასამართლოს საქმეებზე ისრული ხელისუფლებით აღიჭურვებოდა<sup>31</sup>. ამრიგად, სენატორები საჭიროდ თვლიდნენ ადგილობრივი მთავრობისათვის გარკვეული დამოუკიდებლობა მიეცათ იმპერიის ცენტრალური დაწესებულებებისაგან.


სენატორების პროექტი 1833 წელს მცირედენი ცვლილებით მთლიანად მოიწონა სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტმა. დეპარტამენტი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო

<sup>28</sup> 2ПСЗ, ტ. 7, № 5650.

<sup>29</sup> А. В. Предтеченский, Очерки общественно-политической истории России в первой четверти XIX века, М.-Л., 1957, стр. 23—24.

<sup>30</sup> სსრკ ცსა, ფ. 1377, ა. 1, ს. 5, ფურც. 6-8.

<sup>31</sup> იქვე, ფ. 1268, ა. 1, ს. 1, ფურც. 5; აქტები, VIII, № 20.



ბართა-გამგეობის არა ერთი, არამედ ორი ცენტრალური ორგანოს შექმნა, კერძოდ: 1. ამიერკავკასიის უმაღლესი მთავრობისა, რომელსაც ისეთივე უფლებები მიეცემოდა ამ მხარეში, როგორც მინისტრთა საბჭოს ჰქონდა რუსეთში და 2. ამიერკავკასიის მთავარი სასამართლოსი, რომელიც ადგილობრივი სასამართლო საქმეების საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტისათვის უნდა დაწესებულიყო<sup>32</sup>.

1835 წელს წარდგენილ თავის პროექტში ამიერკავკასიის მხარის მომწყობი კომიტეტი ითვალისწინებდა ფართო უფლებების მქონე ამიერკავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობის შემოღებას. მართალია, ყველგან ისეთივე დაწესებულებები უნდა გახსნილიყო, როგორც გუბერნიებში არსებობდა, მაგრამ მთავარი სასამართლო იმავე მდგომარეობაში რჩებოდა, როგორც ამას წინა პროექტი ითვალისწინებდა<sup>33</sup>.

მაშასადამე, ეს პროექტებიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციისათვის გარკვეული დამოუკიდებლობის მიანიჭებას.

საბოლოო დასკვნებისათვის კომიტეტის პროექტი გადაეცა საქართველოს მთავარმმართველს ბარონ როზენს, რომელმაც ყოველგვარი რეფორმების წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი საჭიროდ თვლიდა მხოლოდ იმის განმტკიცებას, რაც უკვე შემოღებული და დაკანონებული იყო<sup>34</sup>. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1837 წელს პეტერბურგში ამიერკავკასიაში საგანგებო კომისია მიავლინა ბარონ პ. ვ. განის თავმჯდომარეობით, რომელსაც ადგილობრივი მდგომარეობა უნდა შეესწავლა და ახალი პროექტი შეედგინა.

პროექტი სულ მალე შეიშვენიერდა. იგი სრულიად არ ითვალისწინებდა ადგილობრივ პირობებს და ამიერკავკასიაში რუსული გუბერნიების თითქმის ანალოგიურ მმართველობას აშუარებდა. განსხვავება ფაქტობრივად მხოლოდ ის იყო, რომ იგი, წინა პროექტების მსგავსად, მთავარი სასამართლოს მოწყობას ითვალისწინებდა. მაგრამ როცა მთავარმმართველმა გოლოვინმა ასეთი სასამართლოს მოწყობა ზედმეტად მიიჩნია, განი მაშინვე დაეთანხმა მას, ვინაიდან თვლიდა, რომ «в политическом отношении это учреждение давало бы вид некоторого отделения Закавказской России от государства, тогда как все старания должно быть обращено на то, чтобы край этот более и более сливать с Россиею...»<sup>35</sup>.

ამიერკავკასიის მომწყობმა კომიტეტმა განის პროექტის ნაკლად მიიჩნია ის, რომ მასში მმართველობის მხრივ გათანაბრებულნი იყვნენ მხარის „ქრისტიანული და მუსულმანური პროვინციები“ და ყველგან ერთნაირი დაწესებულებების შემოღება იყო ითვალისწინებული<sup>36</sup>. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი გრაფი კისელიოვი მხარის სამოქალაქო მმართველობის მთელ მოუწყობლობას ამიერკავკასიაში იმპერიის კანონების ნაადრევი შემოღებით ხსნიდა<sup>37</sup>. ამ პროექტს სხვებიც აკრიტიკებდნენ. მაგრამ მისი მხარდამკვირნი უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. განმა მხოლოდ მინიმალურად გადააკეთა თავის პროექტი და 1840 წლის 10 აპრილს იგი დაამტკიცეს.

დასახელებული პროექტები დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: ყველა პროექტი ისეთი სისტემის შემოღებას ცდილობდა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს მხარის კოლონიურ ექსპლუატაციას. ერთადერთი არსებითი განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ ერთნი (პასკევიჩის, განის პროექტები) არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის არავითარ დამოუკიდებლობას, ხოლო სხვებს ეს დასაშვებად მიაჩნდათ.

მაგრამ იყო მოხელეთა ერთი ჯგუფი (როზენი, კისელიოვი და სხვ.), რომელიც ყოველგვარი რეფორმის წინააღმდეგი იყო და მხოლოდ არსებულის განმტკიცებას წიოთხოვდა. მისი პოზიცია, თუმცა არ ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის საერთო კოლონიურ პოლიტიკას ამიერკავკასიაში, მაგრამ მხარის ფეოდალური განვითარების პოზიციებიდან გამომდინარე და ამიტომ საჭიროდ თვლიდა უფრო ფრთხილი კურსის გატარებას. რაც შეეხება პასკევიჩსა და მის თანამოაზრეთა პოზიციას, იგი აზნაურულ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს ინტერესებიდან

<sup>32</sup> Из записок барона (впоследствии графа) М. А. Корфа, «Русская старина», 1900 г., январь, стр. 27—28.

<sup>33</sup> სსრკ ცსა, ფ. 1268, ა. 1, ს. 2, ფურც. 236-260.

<sup>34</sup> შ. ჩხეტია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, I, თბ., 1945, გვ. 38-39.

<sup>35</sup> სსრკ ცსა, ფ. 1253, ა. 1, ს. 7, ფურც. 183.

<sup>36</sup> შ. ჩხეტია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, I, გვ. 46.

<sup>37</sup> აქტები, IX, № 23.

გამომდინარეობდა, რომელიც კაპიტალისტური ელემენტებს ერწყმოდა და შეპირობებული იყო მათი კლასობრივი და პოლიტიკური ინტერესებით<sup>38</sup>. არსებითად ამ ორი ჯგუფის პოზიციები ბევრით არაფრით განსხვავდებოდა: დავა მხოლოდ ამიერკავკასიის კოლონიური მმართველობის ფორმებისა და მეთოდების ირგვლივ მიმდინარეობდა. მაგრამ ამასთან ამ საკითხში ნათლად ვლინდება ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია: ცენტრალიზატორული და დეცენტრალიზატორული. როგორც ვნახეთ, ამ ორი ტენდენციის ბრძოლა ჯერ კიდევ აღრე, ციციანოვის შემდეგვე დაიწყო, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა თანდათანობით იკვეცებოდა და ცენტრალიზატორული ტენდენცია იმარჯვებდა. განის პროექტის დამტკიცებით კი ამ ტენდენციამ მთლიანად გაიმარჯვა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ეს პროექტები აღმოსავლეთ საქართველოს უკვე აღარ მიიჩნევენ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. ასეთად ახლა მთელი ამიერკავკასია იგულისხმება და, ცხადია, ისინი მისთვის ერთიანი ცენტრალური მთავრობის დაწესებას ითვალისწინებენ. 1840 წლის 7 მაისის ბრძანებულებით იგი გამოეყო კიდევ კავკასიის ოლქს<sup>39</sup>.

1840 წლის 10 აპრილის კანონით<sup>40</sup> ამიერკავკასია ორ ნაწილად იყოფოდა: 1. საქართველოს — იმერეთის გუბერნია, რომელშიც საქართველოს უდიდესი ნაწილის გარდა სომხეთი და აზერბაიჯანი<sup>41</sup> დასავლეთი ნაწილი შედიოდა და 2. კასპიის ოლქი, რომელშიც შედიოდა აზერბაიჯანის დანარჩენი ნაწილი. მმართველობის მხრივ ორივე ნაწილი სხვადასხვაგვარად უნდა მოწყობილიყო, მაგრამ მხარის ცენტრალური მმართველობა ერთიანი იყო.

ამიერკავკასიის მმართველობის სათავეში იდგნენ მთავარმმართველი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი და მთავარმმართველობის საბჭო.

ამიერკავკასიის მთავარმმართველი ამ მხარის უზენაესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელე იყო. მისი კომპეტენცია არ განსხვავდებოდა გენერალ-გუბერნატორის კომპეტენციისაგან, მხოლოდ „მხარის სიშორისა და განსაკუთრებული მდგომარეობის გამო“ მის შეძლო 1. გაეუქმებინა საგუბერნიო დაწესებულებათა დადგენილებები და აირადი პასუხისმგებლობით სისრულეში მოეყვანა თავისი ვალდებულება, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ და დაწერილებით მოეხსენებინა ეს სენატისათვის და შეეტყობინებინა შესაბამისი მინისტრისათვის; 2. ნაკლები მნიშვნელობის სისხლის სამართლის დამნაშავეთა სასჯელის შემსუბუქება; 3. მნიშვნელოვან და გადაუღებელ შემთხვევებში, უწყსრიგობის აღკვეთისათვის, მოეხსნა თანამდებობის პირნი, მაგრამ ამის შესახებ იმპერატორისათვის მოეხსენებინა.

მთავარმმართველის მოადგილედ ამიერკავკასიაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი ითვლებოდა, რომლის უფლება-მოვალეობანი ისეთივე დარჩა, როგორც რეფორმამდე იყო. ასევე არ შეცვლილა მთავარმმართველობის საბჭოს სტრუქტურა და ფუნქციებიც. მაშასადამე, ამიერკავკასიის ცენტრალური მმართველობა, არსებითად, ისეთივე დარჩა, როგორც რეფორმამდე, 30-იანი წლების დასასრულს იყო. ახლა მხოლოდ ერთიანი საკანონმდებლო აქტით გაფორმდა ის, რაც უკვე ფაქტობრივად არსებობდა ამიერკავკასიაში. ამასთან ჩვენ მხედველობაში მხარის მხოლოდ ცენტრალური მმართველობა გვაქვს, ხოლო რაც შეეხება მმართველობის საშუალო და დაბალ ინსტანციებს (საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო), აქ ყველაფერი ძირვესვლიანად გარდაიქმნა. კერძოდ, საქართველოში მოისპო ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წინათ შემოდებელი ყველა დაწესებულება და ისინი რუსული გუბერნიების დაწესებულებებით შეიცვალა.

ამრიგად, 1840 წლის რეფორმა ფაქტობრივად წინა პერიოდის ადმინისტრაციული პოლიტიკის ბუნებრივი გაგრძელება იყო. ახლა მთლიანად (მაგრამ დროებით) გაიმარჯვა ამიერკავკასიის მმართველობის მოწყობის ცენტრალიზატორულმა ტენდენციამ და იგი ამ მხრივ რუსულ გუბერნიებს სავსებით გაუთანაბრდა, ხოლო მთავარმმართველის კომპეტენციის ჩა-

<sup>38</sup> А. Ш. Мильман, Политический строй Азербайджана в XIX — начале XX веков, Баку, 1966, стр. 107—108.

<sup>39</sup> С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, I, Тфл. 1907, стр. 166.

<sup>40</sup> 2ПСЗ, т. 15, №№ 13368-13371.

**მოქვეითება გენერალ-გუბერნატორის კომპეტენციამდე კანონითაც გაფორმდა.**

რეფორმის შედეგად დამყარებულმა მმართველობამ, რომელიც ადგილობრივ პირობებს არ შეეფერებოდა, იმთავითვე სასტიკი უკმაყოფილება გამოიწვია ამიერკავკასიის ყველა ნაწილში. საქმე მოსახლეობის შეიარაღებულ გამოსვლამდეც კი მივიდა. ამავე დროს გამწვავდა საომარი მოქმედებანი კავკასიის მთიელებთან და დაიძაბა საერთაშორისო ვითარება. ყოველივე ამან მეფის მთავრობა აიძულა გადაესინჯა თავისი ადმინისტრაციული პოლიტიკა ამიერკავკასიაში. იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა მმართველობის ცენტრალიზაციაზე, რომელმაც მას სასურველი შედეგები არ მოუტანა. 1842 წელს პეტერბურგში შემუშავებული „ვანაწესი ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობას“<sup>41</sup>, მნიშვნელოვნად აფართოებდა მთავარმმართველ ა. ი. ნეიდგარდტის (1842-1944) უფლებებს. მას უშუალოდ დაექვემდებარა მხარის მმართველობის ყველა ნაწილი, მიეცა ზედამხედველობის, ყველა მოხელის მოხსნა-დანიშვნისა და ყველა იმ საქმის გადაწყვეტის სრული უფლება, რომელიც ახალ კანონს არ მოითხოვდა.

ამრიგად, თვითმპყრობელობა იძულებული გახდა უარი ეთქვა თითქმის 40 წლის მანძილზე თანამიმდევრულად გატარებულ პოლიტიკაზე და ამიერკავკასიის ადმინისტრაციისათვის კვლავ ფართო უფლებები მიენიჭებინა. მაგრამ ყოველივე ეს არ მოასწავებდა ამ მხარეში ცარიზმის ძირითადი მიზნების შეცვლას. იგივე „ვანაწესი“ ავალებდა მთავარმმართველს ყოველმხრივ შეეწყო ხელი ამ მხარის რუსეთთან შერწყმისათვის. ამის მიღწევა კი ახალი საშუალებებით შეიძლებოდა, კერძოდ, ადგილობრივი ადმინისტრაციის მეთაურისათვის ვანუსაზღვრელი უფლებების მინიჭებით. ამიტომ 1844 წლის დასასრულს ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის თანამდებობა გააუქმეს, ეს ნაწარე ადმინისტრაციულად ისევ კავკასიის ოლქს შეუერთეს და მთელი ეს ტერიტორია კავკასიის სამეფისნაცვლოდ გამოაცხადეს. ამ ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სათავეში კი განსაკუთრებით ფართო უფლებების მქონე მეფისნაცვლი დააყენეს. ცარიზმის ცენტრალიზატორული მისწრაფებანი ამიერკავკასიის მმართველობაში კრაზთ დაშთარდა.

## ხსოვრების პიჯანი



ლეილა აბუევა ბავშვობაში პედაგოგობაზე ოცნებობდა, სურდა ქართული ენა და ლიტერატურა ესწავლებინა ნორჩებისათვის. მეცხრე კლასის მოსწავლე იყო, როცა შემთხვევით სასამართლო პროცესზე მოხვდა და ის დღე სამუდამოდ დაახსოვდა.

ზარი დაირეკა, ვაკვეთილები დამთავრდა. ლეილამ წიგნები ჩანთაში ჩაალაგა და ის-ის იყო შინ წასვლას აპირებდა, რომ თანაკლასელი ნუნუ ჯგუბურია მიუახლოვდა.

— მოდი, სასამართლოში წავიდეთ. მამიდაჩემს პროცესი აქვს მთელი ქალაქი იქ არის, ქურდებს ასამართლებენ.

ლეილა წამით ჩაფიქრდა, ახალი საინტერესო წიგნი ელოდა შინ, მაგრამ მეგობარს უარი ვეღარ უთხრა.

სასამართლოში რომ მივიდნენ, პროცესი უკვე დაწყებულიყო. ფეხაკრეფით შევიდნენ... ხალხით გაჭედილი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მოსამართლეს.

ზინაიდა ტარასის ესული ჯგუბურია განაჩენს კითხულობდა. მას ვამოხედვაში იმდენი სისპეტაკე და კეთილშობილება გამოსჭვიოდა, რომ მნახველს მისდა უნებურად მოკრძალებასა და პატივისცემას აღუძრავდა. ყველა იქ დამსწრე კარგად იცნობდა მას და ღრმად სწამდათ, რომ მოსამართლე სინდისის კარნახს არასოდეს უღალატებდა.

— რა ბედნიერია — თავისდაუნებურად წამოსცდა ლეილას. მას წინათაც ენახა პატივცემული ზინაიდა, მაგრამ ახლა პროცესზე მის მიერ გამოტანილმა განაჩენმა და მთლიანად პროცესმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ დღემ საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალი ცხოვრების გზა. პირველი ბავშვური გატაცება ჭეშმარიტმა მოწოდებამ შეცვალა.

მას შემდეგ თითქმის ოცდაათ წელზე მეტი გავიდა. ლეილა აბუევამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ჯერ პროკურატურაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი უკვე თორმეტი წელია ფოთის სახალხო მოსამართლეა.

ამ ხნის მანძილზე მრავალი დამნაშავე გაასამართლა. მოსამართლის

სამართლიანობამ და გულისხმიერებამ ბევრ მათგანს დაუბრუნა რწმენა და ცხოვრების სწორ გზაზე შემოაბრუნა, არაერთი ოჯახი გადაურჩა დაზარალებას. მისი ყოველი სიტყვა ყოველთვის გამოირჩეოდა სიმართლითა და უტყუარობით. პატიოსნება და ობიექტურობა იყო მისი სახის განმსაზღვრელი.

...შუალამი დიდი ხნის გადასული იყო. ყველას ეძინა. „პრავდის“ ქუჩაზე № 21 სახლის ერთი ოთახი მქრქალი შუქით იყო განათებული. მოსამართლე სამუშაო მაგიდასთან იჯდა და მეორე დღეს გასარჩევ საქმეს ფურცლავდა, ვინ იცის, მერამდენედ. ზედმინევნით იცოდა ყველა წვრილმანი, მაგრამ ვერა და ვერ თავსდებოდა მის გონებაში, რატომ უნდა წაერთმია ფედია ტულუშს ამხანაგისთვის საათი.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მაია და ზურაბი შემოვიდნენ.

— არ გძინავს, დედა? — ჰკითხა ზურაბმა.

— თქვენ, თქვენ რატომ არ გძინავთ? — გაეღიმა ლეილას, იცოდა, რომ მისი შვილებიც ხვალინდელ პროცესზე ფიქრობდნენ.

— დანაშაულის პატიება თუ შეიძლება. დედა? — ჰკითხა მეცხრე კლასელმა მაიამ.

— დანაშაულისათვის პასუხი ყველამ უნდა აგოს, ოღონდ მთავარია, სამართლიანად განსაჯო და დაარწმუნო დამნაშავე, რომ მისი მცდარი ნაბიჯი, დანაშაულის მთელი სიმძიმე მისხალ-მისხალ არის აწონილი.

კიდევ დიდხანს ფიქრობდა ხვალინდელ პროცესზე, ოცდაათი წლის ფედია ტულუშის ბედიც ადარდებდა, მაგრამ დამნაშავეს მეორე დღეს მაინც ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მთავარი ის იყო, რომ კანონის სიმკაცრის მიუხედავად დამნაშავე დარწმუნდა სასჯელის სამართლიანობაში. მიხვდა, რომ უმართებულო საქციელისთვის პასუხი უნდა ეგო კანონისა და ხალხის წინაშე. შემდეგ საპატიმროდან წერილიც გამოუგზავნა მოსამართლეს, რვა მარტის დღესასწაული მიულოცა. გულწრფელი მონანიებაც იყო მის სტრიქონებში და უდიდესი მადლიერებაც.

სხვა დროსაც ბევრი წერილი მიუღია, მისალოცი ბარათები ახალ წელს, რვა მარტს. თითოეულ მათგანში ისეთი სიტბოა გამოხატული, რომ მათი დავიწყება არ შეიძლება. ყოველთვის ახარებს იმ ადამიანთა ბარათები, რომლებიც გაუსამართლებია, და გრძნობს, რომ ისინი ნამდვილად სწორ გზაზე დამდგარ კეთილ ადამიანებად დაუბრუნდებიან ახლობლებს, საზოგადოებას.


— უფრო მეტად ის მახარებს, როცა განქორწინების საქმეზე მოსულ ახალგაზრდებს დავარწმუნებ, რომ შვილების, საზოგადოების ინტერესები მათ ზოგიერთ წვრილმან ახირებაზე მაღლა დგას, — ამბობს ლეილა აბუევა, — დიდი სიხარული განვიცადე, როცა კოლხეთმშენის

ახალგაზრდა მუშამ და მისმა მეუღლემ ჩემთან საუბრის შემდეგ უკანვე წაიღეს განცხადება განქორწინების შესახებ.

ლეილა აბუევას დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული თავის კოლეგებს შორის, მას აფასებენ როგორც ერთდირებულ, კეთილსინდისიერ, თავმდაბალ ადამიანს.


საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოში გვითხრეს, რომ ფოთის სახალხო მოსამართლეს ლეილა აბუევას იცნობენ როგორც ზედმინვენით გულისხმიერ და ჰუმანურ მოსამართლეს. ქალაქში უყვართ და პატივს სცემენ, რომ იტყვიან სამართლიანობის ნიმუშად მიაჩნიათ. იგი წლების მანძილზე საქალაქო საბჭოს დეპუტატი, ქალთა საბჭოს წევრი, ამხანაგური სასამართლოს საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, სამართლის სახალხო უნივერსიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორია. საუკეთესო მუშაობისათვის მიღებული აქვს საქართველოს იუსტიციის მინისტრის რამდენიმე მადლობა და საპატიო სიგელი. მუშაობაში წარმატებისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამკერდე ნიშნით.

ლეილა აბუევა ერთი იმ რჩეულთაგანია, ვისაც ენდობიან ვისიც სჯერათ და სწამთ ადამიანების ბედზე ფიქრი მისი ცხოვრების უმაღლესი მიზანია.



ნეიბორი  
მეტი  
პინა  
ნაბ იბი  
ქა შა  
ინტ





# სიახლანი მკროველთა საკენსიო უკრუნველყოფაში

„საბჭოთა სამართლის“ რედაქცია გვპრეზენტობს ილევას კენსიონარებისათვის 20 პროცენტი დანაშაულის დარიცხვასთან დაკავშირებით. შურალის მკითხველთა გვთხოვენ გავაცნოთ მათ 1983 წლის 1 იანვრიდან კენსიაზე დანაშაულის დარიცხვის საკითხში კენსიონარებისათვის გათვალისწინებული ცვლილებები. ჩვენ ვთხოვთ საჭარბულად სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კენსიათა და დანაშაულის სამართლის უზრუნველყოფის მთავარი იურიდიული დეპარტამენტი, განვიხილოთ ეს სიახლანი.

ცნობილია, თქვა მან რომ 1983 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის სსრ კავშირის კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 18 დეკემბრის № 1117 დადგენილება „შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობებში კადრების დენადობის შემცირების შესახებ“. ამ დადგენილებით პენსიაზე 20 პროცენტი დანაშაულის დარიცხვებით იმ მუშებზე და მოსამსახურებებს, რომლებსაც აქვთ მამაკაცები — 35, ხოლო ქალებს — 30 წლის საერთო სტაჟი და მათ შორის 25 წელი უწყვეტად ნამუშევარი აქვთ ერთ საწარმოში, ერთ დაწესებულებაში ან ერთ ორგანიზაციაში.

დანაშაულის დარიცხვის დროს შედგება ენაზე მათ ქალებს, რომელთაც ჰყავთ შვილები, მათთვის საკმარისია 30 წლის საერთო და მათ შორის ერთ დაწესებულებაში 20 წლის განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი პენსიაზე ზემოაღნიშნული დანაშაულის დასარიცხვად. კენსიონარი არ განსაზღვრავს შვილთა რაოდენობას და ასაკს, ამიტომ ქალს თუნდაც ჰყავდეს ერთი შვილი (ასაკის მიუხედავად) იგი მაინც მოიპოვებს 20 პროცენტი დანაშაულის დარიცხვის უფლებას — თუ აქვს 30 წლის საერთო და 20 წლის ერთ დაწესებულებაში განუწყვეტელი შრომის სტაჟი. ამ შედეგით ქალი მაშინაც ისარგებლებს, თუ შვილი დანაშაულის დასარიცხვად მიმართვის დროისათვის გარდაცვლილი ჰყავს.

პენსიაზე 20 პროცენტი დანაშაულის დარიცხვებით იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფო პენსიას იღებენ მოხუცებულობის გამო. საკომპლემენტო პენსიაზე ამ დანაშაულის დარიცხვა არ არის გათვალისწინებული. დანაშაულის დარიცხვა აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 139

უწყების შესაბამისად მოხუცებულობის ნორმით დანიშნულ ინვალიდობის პენსიას, აგრეთვე პენსიას, რომელიც საკომპლემენტო სპეციალისტებს დანიშნული აქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 20 ივლისის № 622 დადგენილების შესაბამისად.

პენსიაზე დანაშაულის დასარიცხვად აუცილებელია მუშა-მოსამსახურეს ნამუშევარი ჰქონდეს ერთ საწარმოში, ერთ დაწესებულებაში ან ერთ ორგანიზაციაში. ეს ნიშნავს, რომ ის პირები, რომლებიც 25 წელი განუწყვეტლად მუშაობდნენ ერთ სისტემაში (და არა ერთ დაწესებულებაში), დანაშაულის მიღების უფლებით ვერ ისარგებლებენ. სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს განმარტებაში გათვალისწინებულია, რომ პირებს, რომლებიც სამუშაოდან გათავისუფლდნენ დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო და ერთდროულად ვადაში კვლავ მოეწყენ ახალ სამუშაოზე, შეუნარჩუნდეთ დანაშაულის დასარიცხვად საჭირო განუწყვეტელი შრომის სტაჟი. განუწყვეტელი სტაჟი შეუნარჩუნდებთ და ერთ დაწესებულებაში მომუშავეებს გაუთანაბრდებიან აგრეთვე ის პირები, რომელთა დაწესებულებასაც სხვადასხვა მიზეზით შეეცვალათ დაქვემდებარება, სახელწოდება, სტრუქტურა.

ერთ საწარმოში, უწყვეტად მუშაობის სტაჟი მუშაკს შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გადაიყვანეს სხვა საწარმოში, რომელიც გაყოფის, შერწყმის ან შეერთების გზით იქმნება იმ საწარმოს ან საწარმოების ბაზაზე, სადაც გადაყვანამდე მუშაობდა, აგრეთვე თუ სტრუქტურული ქვედანაყოფი (ჯგუფი, სექტორი, ლაბორატორია, განყოფილება, სამქრო და ა. შ.), სადაც ის მუშაობს, ერთი საწარმოდან მეორეს გადაეცა.

გათავისუფლებული პარტიული, პროფკავ-

შირული და კომკავშირული არჩევითი სამუშაო იმავე საწარმოში არ წყვეტს დანამატის მიღების უფლების მიმნიჭებელ მუშაობის სტაუსს.

დანამატის მიღების უფლების მიმნიჭებელი მუშაობის საერთო სტაუსი არ წყდება მაშინაც, თუ მუშაკი სამხედრო სამსახურში გაწვივის, არჩევითს თანამდებობაზე გადავიდა, სასწავლებლად, საზღვარგარეთ, სამუშაოდ გაგზავნეს, დროებით სხვა საწარმოში გადაიყვანეს, ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო გაათავისუფლეს, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი თავის საწარმოს დაუბრუნდა იმ ვადებში, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 13 აპრილის № 262 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო დაზღვევის ხაზით დახმარების დანიშვნისას მუშა-მოსამსახურეთა უწყვეტი შრომის სტაუსის გამოთვლის წესებით. ამასთან დრო, რომლის მანძილზე ერთ საწარმოში მუშაობა შეწყვეტილი იყო, დანამატის მიღების უფლების მიმნიჭებელ სტაუსად არ ითვლება.

კანონით გათვალისწინებულია, რომ 1938 წლის 1 იანვრიდან პენსიაზე დანამატი მუშაობის განუწყვეტელი სტაუსისათვის დარიცხოს იმისდა მიუხედავად, თუ როდის ჰქონდა მუშას ან მოსამსახურეს ერთ საწარმოში, მუშაობის საჭირო უწყვეტი სტაუსი,

პენსიის დასანიშნად მიმართვამდე თუ უფრო ადრე.

თუ შრომის წიგნაკი არ შეიცავს საჭირო ცნობებს ერთ საწარმოში მუშაობის უწყვეტი სტაუსის გამოთვლელად, საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას წარედგინოს საწარმოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დამატებითი საბუთები.

პენსიაზე 20 პროცენტი დანამატი დაერიცხებათ იმ პირებს, რომლებიც მუშად ან მოსამსახურედ მუშაობენ ამ აქტის სამოქმედო შედეგების დღისათვის, ე. ი. 1988 წლის 1 იანვრისათვის ან მოგვიანებით. ამასთან, თუ პენსიონერი დროებით მუშად ან მოსამსახურედ მუშაობს, ეს მხედველობაში არ მიიღება, დანამატის დასარიცხად აუცილებელია პენსიონერს დანამატის დარიცხვის საკითხზე მიმართვის დროისათვის უკანასკნელად არანაკლები 4 თვე მაინც ჰქონდეს ნამუშევარი.

კანონით დანამატის დარიცხვის დრო განსაზღვრულია შემდეგნაირად: თუ მუშა-მოსამსახურემ, რომელსაც აქვს დანამატის დასარიცხად საჭირო პირობები, აღნიშნულის დარიცხვას საკითხზე მიმართა 15 რიცხვამდე, დანამატის დარიცხვა მოხდება მიმართვის თვის 1 რიცხვიდან, ხოლო თუ მიმართა 15-ის შემდეგ — მოჰდევნო თვის 1 რიცხვიდან.

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსთან დაკავშირებით ამინსტიის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობს რა სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან:

ა) პირნი, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ საბრძოლო მოქმედებაში საბჭოთა სამშობლოს დასაცავად;

ბ) პირნი, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით;

გ) ქალები.

2. განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელისაგან, მიუხედავად დანიშნული ვადისა, მსჯავრდებულნი;

ა) ქალები, რომლებსაც არასრულწლოვანი შვილები ჰყავთ, აგრეთვე ფეხმძიმე ქალები;

ბ) 60 წელზე უფროსი მამაკაცები და 55 წელზე უფროსი ქალები.

გ) I და II ჯგუფის ინვალიდები.

3) განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მამრობითი სქესის არასრულწლოვანნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ჩათვლით, რომლებსაც აღრე არ მოუხდიათ სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

4. განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან მსჯავრდებულნი, რომელთა სასჯელის ვადის დარჩენილი ნაწილი იქვს თვეზე ნაკლებია.

5. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც მისჯილი აქვთ გაზავნა დისციპლინურ ბატალიონში.

6. განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობითად შრომაში სავალდებულო ჩაბმით (გარდა იმ პირებისა, რომლებზედაც ვრცელდება ამ ბრძანებულების 1-5

მუხლების მოქმედება) მსჯავრდებულნი ვადით:

ა) სამ წლამდე ჩათვლით;

ბ) სამიდან ხუთ წლამდე ჩათვლით, რომლებსაც მოიხადეს თავისუფლების აღკვეთის სულ ცოტა ერთი წელი.

7. შეუმცირდეთ სასჯელის მოუხდელი ნაწილი:

ა) ბრძანებულების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით, და ბრძანებულების მე-3 მუხლში დასახელებულ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით, — სანახევრად;

გ) პირებს, რომლებსაც პირობითად აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, და პირებს, რომლებიც პირობით გაათავისუფლეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით და რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის საწარმოებში და მშენებლობებზე; — ერთი მესამედით.

8. განთავისუფლდნენ გადასახლებისა და გადასახლების სახით დამატებითი სასჯელის მოხდისაგან ბრძანებულების 1-ლ, მე-2 და მე-4 მუხლებში ჩამოთვლილი პირნი.

9. წარმოებთ მოისპოს ყველა სავალდებულო საქმე და სასამართლოებში განუხილველი საქმეები.

დანაშაულებზე, რომლებიც ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა;

დანაშაულებზე, რომლებსთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით, ან სასჯელი, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან რომლებიც ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს ბრძანებულების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა;

დანაშაულებზე რომლებსთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ორ წლამდე ჩათვლით ან დანაშაული, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.



რომლებიც ჩაიდინეს ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა.

ბრძანებულების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი პირების მიერ ამ ბრძანებულების ძალაში შეესვლამდე ჩადენილ იმ დანაშაულთა საქმეებში, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე ბრძანებულების მე-3 მუხლში აღნიშნული პირების მიერ ჩადენილ იმ დანაშაულთა საქმეებში, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით, სასამართლო, თუ საჭიროდ ცნობს დანიშნოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის იმ ვადების ფარგლებში, რომლებიც ბრძანებულების აღნიშნულ მუხლებშია გათვალისწინებული, ანუ სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელისაგან. ამ შემთხვევაში ბრძანებულების 1-ლ და მე-3 მუხლებში გათვალისწინებულ ვადებზე მეტი ხნით სასჯელის დანიშვნისას, აგრეთვე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის დანიშვნისას სასამართლო სასჯელს სანახევროდ ამცირებს.

ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ბრძანებულების მე-5 მუხლში ჩამოთვლილი პირების მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებში სასამართლო, თუ საჭიროდ ცნობს დანიშნოს სასჯელი დისციპლინურ ბატალიონში გაზღვანის სახით, ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელისაგან.

10. ამ ბრძანებულების მე-6 მუხლის საფუძველზე განთავისუფლება არ ვრცელდება:

- ა) პირებზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ვადიანი სამხედრო სამსახურის ვავლის დროს, აგრეთვე მსჯავრდებულებზე, რომლებიც სასჯელს იხდიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში, და კოლონია-დასახლებებში;
- ბ) არასრულწლოვანებზე;
- გ) მსჯავრდებულ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

11. ამნისტია არ შეუფარდეთ პირებს:

- ა) რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუ-


თრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, აგრეთვე „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-14, 14<sup>1</sup>, 15, 16, 17, 20, 23, 24 და 25 მუხლებით, „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით, მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით, მე-6 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-11 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით, მე-13 მუხლის „ა“ მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტით, მე-19 მუხლის „ე“ პუნქტით და 21-ე მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის“.

ბ) რომლებიც ცნეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად.

გ) რომლებიც მსჯავრდებული არიან შემდეგი დანაშაულებისათვის: განზრახ მკვლელობა (ძლიერი სულიერი აღელვების ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი მკვლელობის გარდა); სხულის განზრახ მიმე დაზიანება (ძლიერი სულიერი აღელვების ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით მიყენებულის გარდა); მილიციის მუშაის ან სახალხო რაზმელის სოცოცხლის ხელყოფა; დამამძიმებელ გარემოებაში გაუპატიურება; ძარცვა; ყაჩაღობა; განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობა; სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებებში: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალებისა ან ასაფეთქებელ ნივთიერებათა მტაცებლობა; ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა; განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა, აგრეთვე იმ დანაშაულთათვის, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე, 162-ე, 190<sup>1</sup>, 190<sup>2</sup>, 190<sup>3</sup>, 207-ე, 209, 210, 213, 224, 224<sup>1</sup>, 224<sup>2</sup>, 227-ე, 228-ე მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით;

დ) რომლებსაც აღრე მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახ დანაშაულისათვის;

ე) რომლებიც ამნისტიით ან შეწყალების წესით წინათ იყვნენ განთავისუფლებულნი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან



სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადის მთლიანად მოხდამდე და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული;

ვ) რომლებიც ბოროტად არღვევდნენ რეჟიმს სასჯელის მოხდის დროს;

ზ) რომლებსაც არ გაუვლიათ ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და ვენერიულ დაავადებათა მკურნალობის სრული კურსი.

12. ეს ბრძანებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მიმთაშაშვილი

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 20 დეკემბერი.

### ჩვენნი კომენტარი

შურნალის კორმესკონფანტი ესაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსს ბ. ლილუაშვილს და სთხოვა განეხიროს ამინისტრიის გამოყენების წესი.

ამინისტრის, თქვა მან, გამოყენებენ: კომისიები — იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და იმ პირთა მიმართ, რომლებიც პირობით მსჯავრდებულნი არიან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან პირობით არიან განთავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით;

მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოები — იმ პირთა მიმართ, რომელთა საქმეები მათს წარმოებაშია;

სასამართლოები — იმ პირთა მიმართ, რომელთა საქმეები სასამართლოს წარმოებაშია და არ განხილულა ბრძანებულების ძალაში შესვლამდე. აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა საქმეები განხილულია, მაგრამ განაჩენი არ შესულა კანონიერ ძალაში.

იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც განაჩენის აღსრულება გადავადებული აქვთ, პირობით არიან მსჯავრდებულნი ან დაჯარიმებული არიან (თუ ჭარიმა გადახდევინებული არ არის ბრძანებულების ძალაში შესვლამდე) ამინისტრიის გამოყენების საკითხს წყვეტს განაჩენის გამოტანი სასამართლო. ანალოგიურად წყდება საკითხი ამინისტრიის გამოყენების შესახებ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბრძანებულებებს ძალაში შესვლამდე პირობით ვადად იყვნენ განთავისუფლებული. იმ შემთხვევაში, თუ პირს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, განაჩენი კანონიერ ძალაშია. ხოლო თუ პირი არ იმყოფება პატიმრობაში, ამინისტრის გამოყენება ამ პირის საცხოვრებელი ადგილის ახლოს მოქმედი კომისია.


კომისიები დგება სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, შინაგან საქმეთა ორგანოს, ეუსტიციის, შრომა-განწორების დაწესებულების, სპეცკომენდატურის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

კომისიის სხდომაზე პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია. კომისიის გადაწყვეტილება არ განაჩივრდება, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს პროკურორის პროტესტის საფუძველზე.

ბრძანებულების I და II მუხლები ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველებს 38-ე მუხლის გამოყენებით პირობით არიან მსჯავრდებული, ან პირობით არიან მსჯავრდებული შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან კიდევ პირობით განთავისუფლებული არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ბრძანებულების I მუხლის „ა“ პუნქტი ეხება იმ პირებს, რომლებიც იმყოფებოდნენ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების შენაერთებში, ნაწილებში და ქვედანაყოფებში, მონაწილეობას აღებდნენ ბრძოლებში საბჭოთა სამშობლოს დასაცავად, აგრეთვე მტრის წინააღმდეგ მოქმედ პარტიზანულ რაზმებში, გამანადგურებელ ბატალიონებში და იატაკქვეშა ორგანიზაციებში.

ბრძანებულების I მუხლის „ბ“ პუნქტი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც დაჯილდოებულნი



ლი არიან სსრ კავშირის ორდენებით ან მედლებით: „მამაცობისათვის“, „უშაკოვის“, „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „ნახიშოვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, „შრომითი წარმატებისათვის“, „მამაცური შრომისათვის. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის 100 წელთან დაკავშირებით“, „მხედრული მამაცობისათვის. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით“, I და II ხარისხის „სამამულო ომის პარტიზანის“ „ლენინგრადის დაცვისათვის“, „მოსკოვის დაცვისათვის“, „ოდესის დაცვისათვის“, „სევსტოპოლის დაცვისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“, „კიევის დაცვისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „საბჭოთა იმერპოლარკუთის დაცვისათვის“, „1941-1945 წ. წ. დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“, „1941-1945 წ. წ. დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“

ბრძანებულების I მუხლის „ბ“ პუნქტი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც დადგენილი წესით ჩამორთმეული აქვთ ასრ კავშირის ორდენები და მედლები.

ბრძანებულების მე-2 მუხლი ეხება ქალებს, რომელთაც ჩამორთმეული არა აქვთ დედობის უფლება და ჰყავთ შვილები, დაბადებული 1964 წლის 26 დეკემბრის შემდეგ, აგრეთვე ორსულ ქალებს.

ამ მუხლით ამნისტია ვრცელდება ორივე სქესის პირებზე, თუ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე დადგენილი წესით ცნობილი არიან I და II გჯუფის ინვალიდებად ან კომისიის მიერ მასალების განხილვისას თუ მამაკაცებმა მიღწეის 60წელს, ხოლო ქალებმა 55 წლის ასაკს. დაბადების დღის და თვის დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულ ასაკს მიღწეულად უნდა მივიჩნიოთ მამაკაციები, დაბადებული 1923 წლამდე, ხოლო ქალები — 1928 წლამდე.

ბრძანებულების მე-3 მუხლი ეხება მამრობითი სქესის პირებს, რომლებიც დაიბადნენ 1964 წლის 26 დეკემბრის შემდეგ. ხოლო ქალთა სქესის არასრულწლოვანებზე ვრცელდება ბრძანებულების I და II მუხლი.

მე-4 მუხლი ეხება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებულ პირებს, რომელთაც კომისიაზე მასალების განხილვის დღისთვის მოსახდელი დარჩათ თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე ნაკლები ვადით.

ბრძანებულების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტი ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც კომისიაზე მასალების განხილვის დროისათვის მოხადეს თავისუფლების აღკვეთა არანაკლები ერთი წლისა.

ბრძანებულების მე-4 და მე-6 მუხლები ეხება იმ მსჯავრდებულებებს, რომელთა მიმართ განაჩენი შევიდა კანონიერ ძალაში ბრძანებულების გამოცემამდე.

განმარტებულია ისიც, რომ პირები, რომლებზეც ვრცელდება ბრძანებულების 1, 2 და 4 მუხლები, გარდა გასახლებისა და გადასახლებისა, არ თავისუფლდებიან სასჯელის დამატებითი ღონისძიებისაგან.

ბრძანებულების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებს ნასამართლობა არ ეხსნებათ. მათ მიმართ ნასამართლობის მოხსნის საკითხი წყდება კანონით დადგენილი წესით, ამასთან ნასამართლობის დაფარვის ვადა აღირიცხება სასჯელის ვაქტობრივად მოხდის გათვალისწინებით.

ბრძანებულების II მუხლის „გ“ პუნქტის გამოყენებისას მხედველობაში არ მიიღება იმ პირთა ნასამართლობა, რომლებიც მსჯავრდებულები არიან პირობითი მსჯავრით, გადავადებული აქვთ განაჩენის აღსრულება ან მსჯავრდებულები არიან პირობითი შრომაში სავალდებულო ჩაბმით, თუ ამ სასჯელის მოხდის პერიოდში არ ჩაიდინენ ახალ დანაშაულს ან კანონით დადგენილი საფუძველებით გაგზავნილი არ იქნებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

ბრძანებულების II მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, ამნისტია არ გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინათ შეწყალების წესით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გადაზე აღრე იყვნენ განთავისუფლებული (იმის მიუხედავად მოხსნილი აქვთ თუ არა ნასამართლობა) ან მათ მიმართ წინათ გამოყენებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებიან ამნისტიის შესახებ.

სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლებულად ჩაითვლებიან მსჯავრდებულები, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ სასჯელის ვადის შემცირებასთან დაკავშირებით, აგრეთვე პირები, რომელთაც თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი შეეცვალათ სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით შეწყალების წესით ან ამნისტიის შეფარდების გამო.

ამნისტია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნასამართლოს გამწესრიგებელ, სამსჯავრო სხდომაზე, საკასაციო ინსტანციაში ან საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის დროს.



სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომაზე ამნისტიის გამოყენება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

— როდესაც პირი, რომლის მიმართ საქმე ამნისტიით უნდა შეწყდეს, არ იყო მიცემული სამართალში;

— როდესაც სამართალში მიცემულის ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, საქმე ამნისტიით წყდება.

— როდესაც გარემოებანი, რომლებიც იწვევს საქმის ამნისტიით შეწყვეტას, აღმოჩნდა, სამართალში მიცემის შემდეგ, მაგრამ სასამართლო განხილვის დაწყებამდე. ამ შემთხვევაში საქმე განმეორებით განიხილება გამწესრიგებელ სხდომაზე.

ამნისტიით საქმის შეწყვეტა გამწესრიგებელ სხდომაზე არ დაიშვება, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ამ შემთხვევაში საქმე განხილული იქნება სამსჯავრო სხდომაზე და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში სასამართლო გამოიყენებს ამნისტიას.

თუ პირის ქმედება, რომელიც სამართალში მიცემული იყო იმ დანაშაულისათვის, რომელიც ბრძანებულების „ა“ და „ვ“ პუნქტებშია მითითებული, განაჩენის დადგენის დროს გადაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის იმ პუნქტებზე, რომლებზეც არ ვრცელდება მითითებული პუნქტები, სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს ახალი კვალიფიკაციის შესაბამისად და თუ არსებობს ამის საფუძველი გამოიყენებს ამნისტიას.

ამნისტიით პირის სასჯელისაგან განთავისუფლების შემთხვევაში, სასამართლომ განაჩენში ან განჩინებაში საქმის შეწყვეტის შესახებ უნდა გადაწყვიტოს ნივთმტკიცებთა და აღწერილი ქონების შემდგომი ბედი.

იმის გამო, რომ ამნისტია არ ვრცელდება დანაშაულით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართლებრივ შედეგებზე, სასამართლოს განაჩენი, ქონებრივი ანაზღაურების ნაწილში უნდა აღიზრდეს იმის მიუხედავად, რომ მსჯავრდებულმა ამნისტიით განთავისუფლებულია სასჯელის მოდინაგან.

## პრემიები ქართველ იურიისტებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება და დაადგინეს, რომ 1983 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს სერგო მინასის ძე ჭორბენაძეს წიგნისათვის „ცხოვრება და დეპოლიტიზაცია ჩავახაშვილისა“, რომელიც გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა 1981 წელს.

ნაშრომში საინტერესოდ არის განხილული დიდი იუანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მისი დამსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე, ნაჩვენებია.

რომ იუანე ჯავახიშვილი თავისი დროის ეროვნული ისტორიის მთავარი მოვლენების აქტიური შემოქმედი მონაწილე იყო, მიჰყვებოდა იმ დროის დამახასიათებელი დემოკრატიული მიმდინარეობის იდეურ-პოლიტიკურ ხაზს წიგნი XX საუკუნის პირველ ნახევარში ქარ-

თელი ხალხის კულტურული ცხოვრების ვრცელი მემბრანაა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარი საარქივო სამმართველოს მიერ დაწესებულია ნ. ბერძენიშვილის სახელობის ორი პრემია (პირველი და მეორე). არქივმეცნიერობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქეოლოგიის დარგში საუკეთესო შრომისათვის. წლეულს პირველი პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში წარდგინული იყო პროფესორ ი. ს. დოლიძის (სიკვდილის შემდეგ) და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის დ. ლ. ფურცელაძის „ვახტანგ VI კანონების“ ქართული და რუსული გამოცემების. ეს ნაშრომები 1980—1981 წლებში გამოიცა და მკითხველთა დამსახურებული აღიარება მოიპოვა. ორივე წიგნმა დაიმსახურა ნ. ბერძენიშვილის სახელობის პირველი პრემია.

წიგნისათვის „მორალური ნორმების მნიშვნელობა საბჭოთა სამოქალაქო სამართალში“, რომელიც 1980 წელს გამოსცა გამომცემლობამ „მეცნიერება“ ჯ. ბ. ხმეშინიანს მიენიჭა საკავშირო ლენინური კომპავშირის პრემია მეცნიერების დარგში.

## საპარტიო სსრ უმაღლესი სასამართლო პლენუმი

1982 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მ. ედიშერაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში 1982 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1981 წლის მუშაობის ანგარიშის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1982 წლის 30 იანვრის №1 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებანი წაიკითხეს აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ დ. ტაბაშვილიმ, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კობახიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ლ. ბეშინაძემ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, ძირითადად უზრუნველყოფენ კანონების სწორად გამოყენებას, სასამართლო საქმეების და საჩივრების სწორად გადაწყვეტას.

მაგრამ სასამართლოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ვხვდებით კანონის დარღვევებს, აღმოვჩენილი არ არის მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდადების ან დანაშაულის ჩამდენი პირების მცდარი გამართლების ცალკეული ფაქტები, სამართალდარღვევათა უმართებულო იურიდიული კვალიფიკაციის, ჩადენილი დანაშაულის განსასჯელის პიროვნების შეუსაბამო სასჯელის დონის ძიებათა დანიშნის, განსასჯელთა დაცვის უფლების დარღვევის შემთხვევები.

სასამართლო შეცდომების გასწორება ეკისრება შემდგომ სასამართლოებს, ზემდგომი სასამართლოების მხრივ სასამართლოს საქმიანობისადმი ზედამხედველობის ძირითადი ფორმაა საკასაციო წარმოება. რომელიც საშუალებას იძლევა უველზე სწრაფად გასწორდეს სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები, თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს უსწორო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა. იგი ხელს უწყობს საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების ამო-

ცანების შესრულებას და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში წლების მანძილზე სახალხო სასამართლოების მიერ დაშვებული მნიშვნელოვანი რაოდენობის შეცდომები სწორდება არა საკასაციო წესით, არამედ სასამართლო ზედამხედველობის წესით, ესე იგი უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

ეს მცდარი პრაქტიკა დიდ ზიანს აყენებს დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეს, მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ასუსტებს მათს რწმენას საბჭოთა კანონების ძალისადმი და სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების სამართლიანობისადმი.

1982 წელს აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებმა, თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ მხრივ რამდენადმე გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა, მაგრამ ზედამხედველობის წესით მაინც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობის სასამართლო შეცდომებს ასწორებენ.

უკველივე ეს იმის ბრალია, რომ ისინი არ ეწევიან სათანადო მუშაობას სახალხო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის ხარისხის ამაღლებისათვის, სახალხო სასამართლოები დროულად არ განუმარტავენ მოქალაქეებს საკასაციო გასაჩივრების პროცესუალურ უპირატესობებს საზედამხედველო გასაჩივრებასთან შედარებით, დამაკმაყოფილებელი არ არის ზემდგომი სასამართლოების საკასაციო ინსტანციების მუშაობაც.

„გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ბ. ხონიანიძემ.

აღინიშნა, რომ როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად გაირკვა, სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ გაუპატიურების საქმეებს.

ამასთან სასამართლოების საქმიანობაში არის შეცდომები.

გაუარესდა დასჯითი პრაქტიკა ამ კატეგორიის



საქმეებზე, საგრძობლად გაუარესდა წინასწარი გამოძიების ხარისხი, ჯერ კიდევ ვაწყდებით ქმედობის უსწორო კვალიფიკაციას, რაც უმთავრესად საქმის ვარემოებათა არასრულყოფილი გამოკვლევის, დამნაშავეს მოქმედების, მისი განწარხვის შინაარსისა და მიმართულების, დამნაშავესა და დაზარალებულის რეალური ურთიერთობის მცდარი შეფასების შედეგია. სასამართლოები დამნაშავესათვის სასჯელის განსაზღვრის დროს ყოველთვის არ ითვალისწინებენ დამნაშავეს პიროვნებას, მისი ბრალის ზომას, აგრეთვე გაუპატიურების ჩადენამდე დაზარალებულის ქცევის ხასიათს. ეს შეცდომები იწვევს განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას, ზრდის მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობას.

„სასამართლოების მიერ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალისათვის მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის №15 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება ვაკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. დევედარიანმა.

პლენუმზე ითქვა, რომ რესპუბლიკის სასა-

მართლოები ძირითადად სწორად იყენებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის №15 დადგენილებას „სასამართლოების მიერ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალისათვის მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“.

ამასთან, სასამართლოები ყოველთვის სრულად და ამომწურავად არ ადგენდენ მუშაკის ქმედობაში მატერიალური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელ სამართალდარღვევის ელემენტებს (ზარალს, მიზეზობრივ კავშირს ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის. მუშაკის ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, მის ბრალს ზარალის მიყენებაში); ზოგჯერ სწორად არ განისაზღვრება მუშაკისათვის დაკისრებული მატერიალური პასუხისმგებლობის სახეობა, არცთუ იხე იშვიათია შემთხვევები, როდესაც სასამართლოები უსაფუძვლად ამცირებენ ახანაწლავრებელი ზიანის ოდენობას, ირღვევა სარჩელის წარდგენის ვადები.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შეხამების დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. რაზმაძე.

### საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში

1982 წლის 10 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ღია პარტიული კრება, რომელშიც განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოებისადმი. კრების მონაწილეები გაეცნენ მიმართვას — „კომუნისტებს, კომკავშირელებს, რესპუბლიკის სამართ ორგანოების ყველა თანამშრომელს“.

კრებაზე გამოვიდნენ სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი გ. დილიუაშვილი, კადრების სამმართველოს უფროსი ა. გოგობერიშვილი, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის განყოფილების უფროსი თ. საბაიშვილი, კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციის და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი კონსულტანტი ს. ჩიქია, სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი კონსულტანტი, სამინისტროს ადგილკამის თავმჯდომარე ი. ნანობაშვილი, კანონთა კრებულის მომზადების რედაქციის უფროსი რედაქტორი ნ. მელია, კადრების სამმართველოს უფროსი კონსულტან-

ტი, სამინისტროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ო. გულიევი და მმაჩების, ადვოკატურის და ნოტარიატის სამმართველოს კონსულტანტი დ. კოვზირიძე, სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი გ. მიქანაძე.

გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს თავიანთი სამმართველოებისა და განყოფილებების საქმიანობაზე, აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი და მოუწოდეს ყველას საშემსრულებლო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. კრებაზე აღინიშნა ფორმალუზმისა და ბიუროკრატუზმის ფაქტები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვაწყდებით სახალხო სასამართლოებისა და სანოტარო კანტორების საქმიანობაში. ეს საყვედური უპირველესად ითქმის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურების შესახებ. რაც შემდგომ ინსტანციებში მოქალაქეთა სამართლიან უქმყოფილებასა და საჩივრებს იწვევს. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აგ-

რთვე სახმარებლოთა მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებების აღსრულება, რომლებიც სახელმწიფო სათვისთების განვლანგვა-დატაცებით მიყენებული წარალის ანაზღაურებას შეეხება. მაგრამ ხაზგასმით აღინიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებანიც, რომლებსაც ვსვდებით საშუალო რგოლის მუშაკთა დაკომპლექტების საქმეში.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება მჭიდროდ არის დაკავშირებული კადრების სწორ შერჩევასა, განაწილებასა და აღზრდასთან. ეს საკითხი საინინსტროს ხელმძღვანელობის მუდმივი საზრუნავია. ამის შედეგად გაუმჯობესდა იუსტიციის ორგანოების მუშაკთა შემადგენლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დანაშაულის თავიდან აცილებას. სხვა აღმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად იუსტიციის საინინსტროს ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა პროფილაქტიკური საქმიანობა, რაც დიდი აღმზრდელობითი ფორმებისა და შინაარსის მატარებელია. მართალია, ამ მხრივ გარკვეული დადებითი მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. საჭიროა ახალ-ახალ საშუალებათა გამოძებნა ამ უბანზე საქმიანობის გამოსაცოცხლებლად.

საინინსტროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. მიქანაძე: — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, თქვა მან, შთაბეჭედავი დოკუმენტია. მასში ღრმად არის განალიზებული აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა, გამოვლენილია არსებული ნაკლოვანებანი და დასახულია გზები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აქედან გამომდინარე საინინსტროს პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახულია ამოცანა — კიდევ უფრო პრინციპულად იბრძოლოს სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის საქმიანობის ყველა უბანზე სრული წესრიგის დამყარებისათვის.

სოციალისტური კანონიერების სრულყოფისა და საინინსტროს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია პარტიული ორგანიზაციის ყველა რგოლის ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა, მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა და შესრულებისადმი ქმედითი კონტროლის განხორციელება.

შემდეგ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა კრიტიკულად შეაფასა საინინსტროს ცალკეული სამმართველოებისა და ვანყოფინების საქმიანობა, მოიყვანა კონკრეტული მა-

გალითები მათი მუშაობიდან, დაასახელა კარგი და ცუდი ფაქტები, რომლებიც დამანათლებელია საინინსტროს ცენტრალური პარტიისათვის და გაანალიზა შექმნილი მდგომარეობა. წერილში აღნიშნული ფაქტები მეტწილად ჩვენც შეგვხვება, — განაგრძო გამიქანაძემ, — ეს ფაქტები დროულად უნდა განვიხილოთ და შევფასოთ, რათა შესაბამისად სრულყოფილი ჩვენი შემდგომი საქმიანობა. სავარაუდო რეკომენდაციებს კი ალბათ სათანადო ყურადღებას დაუთმობენ საინინსტროს კომუნისტები, კომკავშირელები, რიგითი მუშაკები და პირუთენელ, თავიანთ სიტყვას იტყვიან ყველანი, რათა წარმატებით გადაიჭრას იუსტიციის ორგანოთა წინაშე მდგომი პრობლემები. ამისათვის საინინსტროს პარტიულმა ორგანიზაციამ უკვე შეიმუშავა სპეციალური სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისად თითოეულმა კომუნისტმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას თავისი საქმიანობა სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი აღმინისტრაციული ორგანოებისადმი, — თქვა ა. შუშანაშვილმა, — უპირველეს ყოვლისა პარტიული დოკუმენტია, რადგან აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა შეფასებულია პარტიული პოზიციებიდან. ეს დოკუმენტი ხანგრძლივი დროისთვის არის გათვალისწინებული და მიღებულია ფართო დემოკრატიულ საწყისებზე. ამიტომ მისი ძირითადი დებულებანი დღეიდანვე უნდა აისახოს ჩვენს სამუშაო გეგმებში, რადგან იგი კომპლექსური დოკუმენტია და მასში პარტიული ორგანოების მიერ ჩვენი საქმიანობის ყველა მხარეა მიგნებული, დასახულია თითოეული სამსახურის, თითოეული ორგანოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის გზები.

წერილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნიშანდობლივი თვისება მისი კეთილმოხურებობაა და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ეს დოკუმენტი მოუწოდებს აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს, რომ მათი რიგები გაიწმინდოს უღირსი პირებისაგან, კეთილხინდისიერი კადრებით დაკომპლექტდეს იგი. პარტიის ეს მოთხოვნა ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედად უნდა იქცეს.

წერილში სწორად არის მითითებული, რომ რესპუბლიკაში დიდი მუშაობა განხორციელდა კანონიერების როლის ასამაღლებლად. თითქმის არ არის ჩვენი საქმიანობის არც ერთი უბანი, რაზედაც პარტიის ცენტრალურ კომი-



ტეტს არ ჰქონდეს მიღებული ფუნდამენტალური დადგენილება. ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად ისმენს ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

წერილში ადგილი აქვს დათმობილი იმას, რომ ყველა დანაშაული არ იხსნება. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჯეროვნად ვერ ვებრძვით სპეკულანტებსა და ზომა-წონაში მომტყუებლებს, გამოძიებისა თუ სხვა გაუმართლებელი მიზეზების გამო პასუხისმგებლობაში ვერ ვაძლევთ ასობით დამნაშავეებს, საქმე გვექნება ეგრეთ წოდებულ დანაშაულის გაუსნელობის დაკანონებულ ფორმასთან, რასაც აუცილებლად შეურობებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ჩვენ სწორად გვესმის წერილში დაყენებული საკითხები და ისიც, თუ როგორ უნდა გარდავქმნათ მუშაობა. საჭიროა ჩვენი სისტემის ყველა რგოლი მუშაობდეს სრულყოფილად და გეგმიანად, დიდი პასუხისმგებლობითა და იმის შეგნებით, რომ ყველამ იცოდეს თავისი საქმე, თავისი ადგილი.

დისციპლინური პრაქტიკა უნდა შემუშავდეს და სრულყოფილი გახდეს სამინისტროს ძირითად რგოლებში, სამმართველოებსა და გან-

ყოფილებებში იმის გათვალისწინებით, რომ მტ მზრუნველობას ვიჩენდეთ აღამიანებისადმი. ჩვენთვის ცნობილია, რომ არც ერთი სხდომის მიღვანი, აღმასრულებელი ან ნოტარიუსი არ არის რაიკომის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი. საჭიროა ამ მიმართულებითაც ვიმუშაოთ.

რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის წერილში მითითებული შენიშვნებისა და ამოცანების განხორციელებისას ბევრი სიძნელე შეგვხვდება, მაგრამ, იმედია, შევძლებთ ეს სიძნელეები გადავლახოთ, თუ ერთიანი ფრონტით, ჩვენი ენერჯითა და მონდომებით შევასრულებთ პარტიის განაწესს — ვიქნებით საქმისა და ქვეყნის ერთგულნი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი და პასუხისმგებლობა ამაღლებული მუშაკები, ისეთები, როგორც ჭეშმარიტ კომუნისტებს შეეფერებათ.

პარტიულ კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა. კრებას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი რ. ფაილოძე.

განხილულ საკითხზე მიღებულია რეზოლუცია.

### სამართლებრივი სსრ პარტიისთვის

1988 წლის 12 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიული ორგანიზაციის დია კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების კომუნისტების, კომკავშირელებისა და ყველა მუშაკისადმი.

მოსხენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალური აპარატის პარტიული კომიტეტის მიღვანი გ. სხირტლაძე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების კომუნისტების, კომკავშირელებისა და ყველა მუშაკისადმი, თქვა მომხსენებელმა, სავსებით სწორად არის ნათქვამი, რომ საქართველოს სამართალდაცვი ორგანოების ყველა პატიოსან და ერთგულ მუშაკს შეუძლია სამართლიანად იამაყოს იმ წვლილით, რომელიც მათ შეაქვთ ჩვენს რესპუბლიკაში მორალური კლიმატის გაჯანსაღებაში, საქმოსნებისა და კომბინატორების, მექროთამებებისა და სპეკულანტების, მუქთანორებისა და ჭურღლების, მძარცველებისა და ხული-

გნების და, ხაერთოდ, ყველა ჯურის დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ჯეროვნად აღინიშნა რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში მომხდარი პოზიტიური ძვრები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში უფრო სრულყოფილი გახდა სამართალდაცვი ორგანოების საქმიანობის ფორმები და მეთოდები სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

მიუხედავად ამისა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვეობის მოთხოვნებს, შეუფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ხშირია ჭურღლობის, ძარცვის, ყაჩაღობის, ხულიგანური გამოხდო-

მების, ავტომაქანების გაატყების, მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შემთხვევები. ამასთან ზოგან დაბალია ადმინისტრაციული ორგანოების ავტორიტეტი. ბევრი მძიმე დანაშაული გაუხსნელი რჩება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრავალი დამნაშავე არხინად დანაშარდობს ჩვენ გვერდით და ამზადებს ახალ ბოროტმოქმედებას. ეს ყველაზე მეტად უნდა გვაღელვებდეს ჩვენ, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს.

სამართალდაცვითი ორგანოების თითოეული მუშაკის წმიდათაწმიდა მოვალეობა ის არის, რომ არც ერთი დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩეს. რა უნდა გააკეთოს რესპუბლიკის პროკურატურამ, რომ ეს ფრად დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე წარმატებით გადაიჭრას? ჩვენი აზრით, თავიდათვი კადრებია. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ამაღლდეს პროკურატურის ორგანოების ახალგაზრდა სპეციალისტთა პროფესიული და იდე-

ურ-პოლიტიკური მომზადების დონე. ამ საქმეში თავისი როლი უნდა შეასრულოს პროკურატურის ახალგაზრდა მუშაკთა სკოლამ-ზოგერთს მიაჩნია, თითქოს კადრებთან მუშაობა მხოლოდ კადრების განყოფილებას ევალებოდეს. ეს მცდარი აზრია. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მაღალპროფესიული კადრების შერჩევა, აღზრდა და სწორად განაწილება ყველას ერთობლივი საქმე და მუდმივი საზრუნავია. ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა ახლებურად უნდა გარდაიქმნას, რადგან სხვანაირად წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

მკვეთრად უნდა ამაღლდეს პროკურატურის ყველა რგოლის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის დონე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა საზგასმით აღნიშნა, რომ მკვეთრად უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა პარტიული, სახელმწიფოებრივი და შრომითის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. ეს სიტყვები ჩვენი მომავალი საქმიანობის სახელმძღვანელო პროგრამად უნდა იქცეს. კერძოდ, ახალ მოთხოვნათა დონეზე უნდა ავიყვანოთ სიცოცხლისტური კანონიერების შესრულებისადმი სამოკუთროსო შედეგმხედველობა. როგორც იტყვიან, პროკურორის თვალს არ უნდა გამოჩრქეს დისციპლინის არც ერთი დამრღვევი — ეს იქნება ლოთი, გამცდენი თუ წარმოების დეზორგანიზატორი. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში აქტიურად უნდა ამოგვიდგნენ მხარში საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელები, მთელი საზოგადოებრიობა.


ღრმად უნდა გვწამდეს, რომ ერთობლივი და ურთიერთშეთანხმებული მუშაობის გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევთ.

დაბეჭივებით უნდა ითქვას, რომ პროკურატურის ორგანოების შემდგომი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად უნდა იქცეს პატიოსანი მშრომელი ადამიანების გაცნობადობა, საჩივრები და წინადადებანი, მათში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ყველა ის ნაკლოვანი მხარე, რომლებიც ჩერ კიდევ შეინიშნება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ მათზე დროულ და სწორ რეაგირებას დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს.

კრებაზე გამოვიდნენ: სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი შედამხედველობის განყოფილების პროკურორი ნ. ერქომაიშვილი, საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. შაშკინი, არასრულწლოვანთა შესახებ კანონების შესრულებისადმი შედამხედველობის განყოფილების პროკურორი ვ. ხერიანოვა, ტრანსპორტზე კანონების შესრულებისადმი შედამხედველობის განყოფილების უფროსი დ. ერადე, საერთო შედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე ა. დაუთაშვილი, ხაორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების პროკურორი ი. რატიშვილი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე დ. გარიშვილი, შრომა-გასწორების დაწესებულებების კანონიერების დაცვისადმი შედამხედველობის განყოფილების პროკურორი კ. გახარია.

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკების მისამართით გამოთქმული შენიშვნები საკვებით სწორი და საფუძვლიანია, და ყველაფერს იღონებენ, რათა გამართლონ პარტიისა და ხალხის ნდობა, ისე გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა, როგორც ამას საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი მოითხოვს. კრებაზე გამოსულმა ორატორებმა კონკრეტულად ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ წინაშე დგას და გამოთქვენ მოსაზრებანი მათი დროულად გადაჭრისათვის.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ვ. რაშპაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების კომუნისტების, კომკავშირელებისა და ყველა მუშაკისადმი კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის მიმართ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა



იჩენს მუდმივ ყურადღებასა და მზრუნველობას. ამას ჩვენ, პროკურატურის მუშაკებმა, უნდა ვუპასუხოთ თავდადებული შრომით. ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობა ერთგულად ვიდგეთ მშრომელი ადამიანების ინტერესების სადარაჯოზე, ამისათვის კი აუცილებელია თითოეული მუშაკი დღითი დღე იმადლებდეს პროფესიულ ოსტატობას, იძლეოდეს პირადი პატიოსნებისა და მაღალი პასუხისმგებლობის მაგალითს, სწავლადეს და თავის საქმიანობაში ნერგავდეს მოწინავეთა დიდ გამოცდილებას. ახლა ჭერი ჩვენზეა და უნდა ვიფიქროთ, რომ თითოეული ჩვენგანი არ დაიშურებს ძალღონეს, რათა პირნათლად შეასრულოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნომბრის პლენუმის მიზანდასახულობანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვის-

ტოს ცნობილი დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

კრებამ მიიღო შესახაზისი დადგენილება და დამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების კომუნისტების, კომკავშირელებისა და ყველა მუშაკისადმი წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა.

საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალური აპარატის პარტიული კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი თ. აკოლუა.

### საპროტოკოლს სსრ უმაღლეს სასამართლოში

1982 წლის 9 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელმაც განიხილა „რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა მუშაკისადმი“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან გამომდინარე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

წერილში დაყენებულმა აქტუალურმა საკითხებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია ღამის ირგვლივ საქმიანი კამათი გაიმართა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სკკპ წევრებმა: მისაღებისა და საჩივრების განყოფილების გამგემ, პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ბ. ბებინაშვილმა, საერთო განყოფილების უფროსმა ვ. კამკამიძემ, კონტროლის ჯგუფის უფროსმა ბ. ბარბაქაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა, პარტიურის მდივნის მოადგილემ ე. ხიტიარიაშვილმა, უმაღლესი სასამართლოს წევრმა, პარტიურის წევრმა ბ. მხვამიძემ, სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის განყოფილების უფროსმა, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარემ შ. ხელაშვილმა, უმაღლესი სასამართლოს წევრმა, პარტიურის მდივანმა რ. პიტაშვილმა, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, პარტიურის წევრმა პ. პარბაქაძემ.

კამათის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს წერილი იმ გენერალური ხაზის გაგრძელებაა, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ

დასახა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და დანაშაულობათა პროფილაქტიკის საქმეში. აღნიშნა ის წარმატებანი, რომელსაც უმაღლესი სასამართლოს კომუნისტებმა მიაღწიეს მოქალაქეთა მიღების, მათი საჩივრების დროულად და საფუძვლიანად შესწავლის, სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლის, სასამართლო გარჩევისათვის საქმეთა მომზადების ხარისხის ამაღლების და პროფილაქტიკური მუშაობის მიმართებით. ამავე დროს ხაზი გაესვა საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლების, ბიუროკრატიზმის ცალკეული შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, პროკურატურის ორგანოებთან მუშაობის კოორდინაციის, ძირეული სასამართლო ორგანოების და უმაღლესი სასამართლოს მუშაობის ხარისხის ამაღლების აუცილებლობას, აღნიშნა გამოძიებაში არსებული ნაკლოვანებანი, პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების საჭიროება. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება თითოეული კომუნისტის პირადი პასუხისმგებლობისა და ინიციატივაზე ამაღლებაზე.

კრებამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი მიიღო სახელმძღვანელოდ, დასახა ღონისძიებანი და დამტკიცა ამ წერილიდან გამომდინარე 1983 წლის სამუშაო გეგმა. კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი მ. ნიციშვილი.

# ბიბლიოგრაფია

## ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1982 წელს გამოქვეყნებული მასალების საკითხავი

### მოწინავე, სარედაქციო საბჭომი, მოწინავე, სარედაქციო საბჭომი, მოწინავე

ავამადლოთ ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, № 6, გვ. 7-10.

დიდი გარდაქმნების ხანა, № 2, გვ. 3-7.

თავისუფალ ერთა ურღვევი კავშირი, № 6, გვ. 3-6.

კანონიერების პრინციპი განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციაში, № 5, გვ. 3-6.

კვლავ მაღალი შეფასება, № 4, გვ. 3-6.

საქართველოს სსრ ახლადარჩეულ სახალხო მოსამართლეთა სია, № 3, გვ. 23-27.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღება საქართველოს სსრ პროკურატურის ყველა მუშაკს, № 3, გვ. 4.

საქართველოს პარტიული აქტივის კრება, № 1, გვ. 3-4.

სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსახულთა არჩევნების შედეგების შესახებ, № 3, გვ. 22-23.

ცნობა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსახულთა არჩევნების შედეგების შესახებ, № 3, გვ. 22-23.

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, № 8, გვ. 4.

### სამართლის თეორიის, სადისკუსიო

### საკითხავი, კრიმინოლოგია, კანონის კომენტარი.

გამყრელიძე ო. კ. — არის თუ არა დავის საფუძველი. № 2, გვ. 26-30.

გოლოშვილი გ. ა. — სამოქალაქო სამართალწარმოების გაკვიანურების მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები, № 2, გვ. 31-38.

ნათელაშვილი შ. ა. — საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები, № 4, გვ. 39-46.

პაპუაშვილი ა. ვ. — სოციალისტური სამართლის სისტემაში შრომა-გასწორების სამართლებრივი ნორმების ადგილის შესახებ, № 5, გვ. 17-23.

პაპკორია ს. გ. — სუბიექტის საკუთარი დანაშაულისადმი დამოკიდებულების ტიპოლოგია და მისი მნიშვნელობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში, № 4, გვ. 17-22.

ულამაძე ნ. ს. — სანოტარო წარმოების ზოგიერთი საკითხის გამო, № 4, გვ. 38.

უგრეხელიძე მ. გ. — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებური მითვისებისათვის, № 2, გვ. 18-20.

ფაფიაშვილი შ. გ. — თანამედროვე დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათება, № 6, გვ. 38-45.

ხოკოლავა ა. ა. — ახალი საბინაო კანონი, № 2, გვ. 21-25.

### სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის, დამნაშავეობასთან

### ბრძოლის საკითხავი

ბარაბაძე ა. მ. — საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობისათვის, № 3, გვ. 5-12.

გვეტაძე გ. ი. — შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა — ახალი ამოცანების დონეზე, № 5, გვ. 33-40.



- ზურაბაშვილი ა. დ., გაბიანი ა. ა., ლეჟავა გ. ვ., ნანეიშვილი ბ. რ.** — ნარკომანია და მასთან ბრძოლის სამედიცინო და სოციალურ სამართლებრივი საკითხები, № 1, გვ. 31-38.
- იახინსკი ი.** — დანაშაულის განმეორება და რეციდივი პოლონეთში, № 4, გვ. 53-62.
- კვიციანი ა. კ.** — სრულყოფილ სასამართლო კადრებთან მუშაობა, № 6, გვ. 60-65.
- კომანხიძე მ. ხ.** — იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე, № 6, გვ. 69-72.
- კოლბინი გ. ვ.** — გვაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული ორგანოებისადმი, № 1, გვ. 12-22.
- მელქაძე ო. ვ.** — რესპუბლიკის სახალხო კომიტეტის ორგანოების ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, № 6, გვ. 27-37.
- მირიანაშვილი გ. პ.** — აღგვევით მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები, № 6, გვ. 55-59.
- რეკუნჯავი ა. მ.** — განვამტკიცოთ კანონიერება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, № 1, გვ. 5-11.
- როინაშვილი გ. ვ.** — ავამაღლოთ ადვოკატურის ავტორიტეტი, მისი როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში, № 3, გვ. 37-42.
- რუხაძე ნ. დ.** — პარტიის ქალაქოში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი, № 2, გვ. 8-17.
- სირაძე ვ. შ.** — ბრძოლა მუქათხრობასთან და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებებთან: პრაქტიკა, ამოცანები და პრობლემები, № 5, გვ. 24-32.
- ქუთათელაძე ლ. ს.** — მომჭირნეობა და ყაიროთიანობა დროის მოთხოვნა, № 1, გვ. 39-47.
- ჭურაძე მ. ზ.** — გამომძიებელთა დიდი ფორუმი, № 3, გვ. 64-66.
- შუშანაშვილი ა. ა.** — სახალხო მოსამართლეების არჩევნები და ჩვენი ამოცანები, № 3, გვ. 28-36.
- საზარაძე გ. ი.** — სოციალისტური ქონების წვრილმანი დატაცება და მასთან ბრძოლა, № 2, გვ. 39-45.
- ხახანაშვილი შ. მ.** — საცხოვრებელი სახლიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება, № 6, გვ. 46-49.

სასამართლო პრაქტიკა

- არხენაშვილი ა. გ.** — ერთი გაკვირვებულ სამოქალაქო საქმის გამო, № 2, გვ. 64-65.
- კობახიძე ა. ვ.** — ჯარიმის როგორც სასჯელის გამოყენების საკითხისათვის, № 4, გვ. 43-46.
- მიქელაძე ჯ. ტ.** — ისევ სასამართლოს განაჩენებში დაშვებული უხეში შეცდომების გამო, № 2, გვ. 60-63.
- ხარია შ. ი.** — აქტიურად ვებრძოლოთ მუქათხრობას და პარაზიტობას, № 4, გვ. 36-37.
- ფარულავა გ. რ.** — სპეკულაციის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ, № 4, გვ. 31-35.
- ფაფიაშვილი შ. გ.** — თანამდებობრივი დანაშაულის ზოგიერთი სადაო საკითხი სასამართლო პრაქტიკაში, № 3, გვ. 47-55.
- ჩორგოლაშვილი ლ. ი.** — თვითნებურ ნაგებობათა გამო საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი სადაო საკითხი, № 1, გვ. 48-58.
- ცირამუა გ. ს.** — ავამაღლოთ სახალხო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხარისხი, № 6, გვ. 50-54.

აბრო-სამრეწველო კომპლექსის და სასურსათო პროგრამის სამართლებრივი საკითხები

- ახესაძე ა. მ.** — სოფლის მეურნეობის ახლებურად მართვის სამართლებრივი ასპექტები, № 2, გვ. 46-52.
- ახვლედიანი ზ. გ.** — ტიპობრივი ხელშეკრულება პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდისა და შესყიდვის შესახებ, № 3, გვ. 56-65.
- ღემოწავა ტ. ს.** — მოსაწესრიგებელი საკითხები, № 2, გვ. 53-54.

დადებითი გამოცდილება

- მეტრეველი ტ. ი.** — უპირველესი საზრუნავი, № 2, გვ. 55-56.
- ჩიჭვანი ი. ვ.** — მოქალაქეთა მიღების და საჩივრების განხილვის მაღალი კულტურისათვის, № 2, გვ. 57-59.

თარიღები

- ზანგური ო. გ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის შექმნა (საბჭოთა პროკურატურის სამოცი წლისთავისათვის), № 3, გვ. 3-9.

ინაური ა. ნ. — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სამოცი წლისთავი, № 1, გვ. 23-30.

კაბულოვა თ. შ. — კანონი ავტონომიური ოლქის შესახებ მოქმედებს (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამოცი წლისთავისათვის), № 4, გვ. 7-16.

კომახიძე მ. ხ. — საქართველოს სსრ ადვოკატურის ისტორიიდან (საბჭოთა ადვოკატურის სამოცი წლისთავისათვის), № 3, გვ. 43-46.

მაყაშვილი ვ. გ. — რევოლუციონერთა და პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა დაუღებელი ქომაგი, № 3, გვ. 67-71, № 4, გვ. 47-52.

მერკვილაძე ვ. ნ. — საბჭოთა საქართველოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ რჯახში, № 5, გვ. 7-16.

ლორია ვ. ა., ჩაჩუა მ. გ. — კადრების კვალიფიკაციის ამოღების კერა (საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამოღების მუდმივმოქმედი კურსებისათვის წლისთავისათვის), № 6, გვ. 66-68.

ყვანია გ. ფ. — სსრ კავშირის შექმნისათვის ამიერკავკასიის კომუნისტების ბრძოლის ისტორიიდან (სსრ კავშირის შექმნის სამოცი წლისთავისათვის), № 6, გვ. 11-20.

უგრეხელიძე ე. მ. — საქართველოს სსრ სუვერენული სახელმწიფოა, № 6, გვ. 21-26.

ფალიაშვილი ა. ი. — საბჭოთა პროკურატურის ძირითადი ეტაპები (საბჭოთა პროკურატურის სამოცი წლისთავისათვის), № 3, გვ. 13-18.

**ნარკვევები, საინტერესო თემაზე,**

**ნარკვევი.**

ანდლუაძე ნ. ი. — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შენობა, № 4, გვ. 79.

არხენაშვილი ა. გ. — საინტერესო ცხოვრება გრძელდება № 5, გვ. 52-53.

ბერიძე ვ. ვ. — საინტერესო ნაგებობა, № 2, გვ. 77.

გორგაძე ვ. ი. — წარსულის ფურცლებიდან, № 4, გვ. 67-68.

მესხიანი ვ. ი. — კანონის სამსახურში, № 5, გვ. 49-51.

ნარევი, № 2, გვ. 78-80.

სიღამონიძე ვ. ა. — გალაქტონ ტაბიძე — ლიტერატურული ექსპერტი, № 4, გვ. 65-66.

ქრისტესიაშვილი ი. — ომისა და შრომის ექსპერტი, № 6, გვ. 73-74.

**პრინტიპა და გიგლიოგრაფია**

ინჭირველი გ. ზ. — მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის, № 5, გვ. 63-76.

ფრანგოშვილი ა. ს., კაბაძე ვ. ლ. — გამოკვლევა საზოგადოებრივი აზრისა და მართლმშეგნების შესახებ, № 5, გვ. 57-59.

ცინცაძე დ. ი. — ნაშრომი დანაშაულის პროფილაქტიკაში სასამართლო როლის შესახებ, № 5, გვ. 60-62.

მეცნიერული ცხოვრება, № 6, გვ. 75-80. არბიტრაჟის პრაქტიკა, № 2, გვ. 70-71, № 4, გვ. 63-64.

ინფორმაცია, № 2, გვ. 72-76, № 3, გვ. 78-79, № 5, გვ. 77-80.

**ოფიციალური მასალა**

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა — საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ, № 1, გვ. 59-75; № 3, გვ. 72-73;

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა — საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ, № 3, გვ. 74-77.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, № 2, გვ. 66-67.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე, № 2, გვ. 68-69.

ცნობები ავტორთა შესახებ, № 1, გვ. 80; № 2, გვ. 80; № 3, გვ. 80; № 4, გვ. 80; № 5, ყდის მესამე გვერდი; № 6, ყდის მესამე გვერდი.

ჩვენი სივანის შემდეგ, № 5, გვ. 80.

**საპროლოგი**

გ. ბიჭაძის ხსოვნა, № 1, გვ. 76. ი. ს. დოლიძე, № 4, გვ. 75-78.



## ცნობები ავტორთა შესახებ

ალექსანდრე ამირანის ძე უშუანაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 40 მეცნიერული შრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

იპაკო ვალერიანის ძე ფუტყარაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტოლის ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი შრომისა და 8 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

თამაზ ფილიმონის ძე საბიაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

თამაზ ირაპლის ძე დონჯაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმისა და პლენუმის სამდივნოს უფროსი. მეორედ გამოდის ჩვენი უურნალის ფურცლებზე.

ბურჯან ისაქის ძე ნაჭყვიაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერული შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

ანდრო ალექსანდრეს ძე ბაბიანი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 58 სამეცნიერო შრომის, მათ შორის 5 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

მარიამ იოსების ასული დიდიბულიძე — ეკონომ-გეოგრაფი, დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, მესამედ გამოდის ჩვენი უურნალის ფურცლებზე.

რევაზ გივის ძე ბაჩყალიძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციოლოგიური გეოგრაფიის კათედრის დოცენტი, 58 შრომის, მათ შორის 4 მონოგრაფიის ავტორი.

რევაზ ალექსანდრეს ძე ლომინაძე — შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 10 მეცნიერული შრომის და ერთი ბროშურის ავტორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი უურნალის ფურცლებზე.

ლილი ზაქარიას ასული მანისუბაძე — საქართველოს რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის რედაქტორი, უურნალისტი, პირველად იბეჭდება ჩვენი უურნალის ფურცლებზე.

ირინე არტემის ასული ლლონტი — საქართველოს სსრ სოცურ-რევლუციის სამინისტროს პენსიებისა და დახმარებების სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს უურნალისტრა კავშირის წევრი, სამი ბროშურის ავტორი, მეოთხედ იბეჭდება ჩვენი უურნალის ფურცლებზე.



# ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენცია

## მკითხველთა მკითხველი!

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია 1983 წლის თებერვლიდან ივლისის ჩათვლით აწყო მკითხველთა დაუსწრებელ კონფერენციას. მოგმართავთ თხოვნით, გამოთქვათ თქვენი აზრი ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ირგვლივ, გვაცნობოთ, რომელი რუბრიკა იპყრობს თქვენს ყურადღებას, რა მასალა მოგწონს. განსაკუთრებით კი რა ხასიათის წერილები და სტატიები არ მოგწონს. გადაწყვეტილია ჟურნალში შემოვიღოთ ახალი რუბრიკა „მკითხველის რჩევით და წინადადებით“, რომელშიც გამოქვეყნდება თქვენ მიერ შემოთავაზებული თემები. თქვენს ყველა კრიტიკულ შენიშვნას ჩვენ გავითვალისწინებთ 1984 წლის სამუშაო და თემათიკური გეგმის დაზუსტებისა და დამტკიცების დროს. გვინტერესებს თქვენი მოსაზრება ჟურნალის მხატვრული და ტექნიკური გაფორმების სრულყოფის თაობაზეც.

მკითხველთა დაუსწრებელ კონფერენციაში თითოეული ჩვენი ხელისმომწერის, უპირველესად მუდმივი მკითხველის მონაწილეობა ხელს შეუწყობს ჟურნალის იდეურ-პროფესიული დონის ამაღლებას, მისი შინაარსის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებას, მკითხველებთან რედაქციის კავშირის განმტკიცებას.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ!

ჩვენი მისამართია: თბილისი, პლენანოვის პროსპექტი № 103, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია.

ველით თქვენს წერილებს.

გარეკანის პირველ გვერდზე: გეორგიევსკის ტრაქტატის ერეკლე მეორის მეორე რატიფიკაციის ტექსტი.

---

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 1, 1983 (на грузинском языке).  
Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

---

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

685/77



ფასი 60 კპვ.

ინფორმაციის 76185

### ავტორის საპუბლიკო!

1. სტატიები და სხვა მასალები რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორის მიერ ხელმოწერილი, ორ ეგზემპლარად, მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი.

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდ 14 გვერდს, სხვა მასალისა — 8 გვერდს.

რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები აღმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაზე.

3. სტატიაში გამოყენებული ციტატები აუცილებლად უნდა იყოს პირველ წყაროსთან შედარებული და ავტორის მიერ ვიზირებული. სქოლიოში უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი, წიგნის გამოცემის წელი, აგრეთვე ციტირებული მასალის გვერდი.

4. სტატიები და სხვა მასალები დამუშავებული უნდა იყოს ლიტერატურულად და თან დაერთოს ანოტაცია რუსულ ენაზე.

5. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

7. სამეცნიერო-კვლევითი გეგმით შესრულებული ნაშრომისათვის პონორარი არ გაიცემა.

8. სხვა პერიოდულ გამოცემაში უკვე გამოქვეყნებული მასალები ჟურნალში არ დაბეჭდება.

9. ჟურნალის რედაქცია მკითხველებს აწვდის მოკლე ცნობებს ავტორებზე. ამიტომ სტატიებს თან უნდა დაერთოს ავტორის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, რამდენი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის უმნიშვნელოვანესი, სად ეწევა სამეცნიერო-კვლევითს, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობას.

ამ პირობების დაუცველად გამოგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.